№31 (298) ● 17 სექტემბერი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი





**ვახტანგ მაისაია:**

## გიორგი მარგველაშვილი — ქართველი ნიკიტა ხრუშჩოვია

**გოგი თოფაძე:**

მორალური კუთხით თუ მივუდგებით, მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილის პასუხის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს წავა, გადადგება თუ გააგრძელებს მოღვაწეობას

**პეტრე მამრაძე:**

## მარგველაშვილი „კალიგულას“ სასახლეში კაი გულიანად „გულაობს“

# ელისო კილაძე – ღრმა დაშიფვრის აგენტი თუ უკვე გაშიფრული ფალსიფიკატორი?

**ვლადიმერ ხოშტარია:**

## ქვეყანაში პრორუსული კი არა პროქართული ძალა უნდა გაძლიერდეს



**მამა ბასილი:**



## დროა, პატრიარქმა თანამოსაყდრე აიყვანოს...

**ზაურ კალანდია:**

რუსულ-მეგრული კალენდარი, რუსულ-მეგრული „დედა ენა“ და მანქურთიზმი, რომელიც ენგურს შუაზე ჰყოფს



**კახა კახიშვილი:**



## შეიქმნება თუ არა მესამე პოლიტიკური ძალა?

საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის



# რამაზ საყვარელიძე: საზოგადოებას აქვს იმედი, რომ ღარიბაშვილი ნაცებს დაასრულებს!

„საერთო გაზეთი“ ექსპერტ **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.

**— ბატონო რამაზ, ცოტა ხნის წინათ, ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გააკეთა - მარგველაშვილი მთავრობის წევრებში კონკურენტებს ხედავსო. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ივანიშვილ-ღარიბაშვილის გუნდი მარგველაშვილის გუნდთან ცოტა ხანში სერიოზულად იქნება კონფრონტაციაში, რაკი ამას არც ერთი მხარე მალავს? და საერთოდაც, რამ გამოიწვია ეს დაპირისპირება (თუკი, მართლაც არიან დაპირისპირებულნი და ეს პოლიტიკური თამაში არ არის, რაც ქართულ პოლიტიკაშიც ხშირია)... რა ვერ გაიყვეს?**

— არ ვიცი, პოლიტიკა საერთოდ თამაშიაო ამბობენ, ასე რომ, გაყოფა-არგაყოფაც თამაშია. რაც შეეხება გუნდებს, პოლიტიკურ გუნდად იმ ჯგუფის კვალიფიცირება, ვინც მარგველაშვილის გარშემოა ცოტა გადაჭარბებულად მიმაჩნია. ესენი არიან თანამშრომლები და არა პოლიტიკური გუნდის წევრები. მარგველაშვილს საკუთარი პოლიტიკური პარტია არ გააჩნია, შეიძლება დროთა განმავლობაში შექმნას, მაგრამ ამ ეტაპზე არ გააჩნია, ასე რომ, მას თავის პოლიტიკური გუნდი არ ჰყავს ( ამას თავადაც ხაზს უსვამს), ასე რომ, ის პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას არ აპირებს. შეუძლებელია პოლიტიკურ ბრძოლებში ჩაება პოლიტიკური გუნდი თუ არ გყავს. შესაბამისად, მე, არ მგონია, რომ ამ პირობებში უპრიანი იყოს ლაპარაკი იმაზე, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ დაპირისპირებასთან, რადგან თუკი გუნდი არ არის, მხარდამჭერების რაღაც რაზმი არ დგას პოლიტიკოსის უკან და ის მხოლობით რიცხვში არსებობს, ასეთ პოლიტიკოსზე, როგორც პოლიტიკოსზე, პოლიტიკურ ძალაზე ლაპარაკი არ არის ხომ. ბოლო ხანებში, გაჩნდა ვერსია, რომ მარგველაშვილი ამყარებს გარკვეულ კავშირებს ნაციონალურ მოძრაობასთან და ამ ვერსიას კიდევ ლევან ვასაძეც მიაწეპეს, რადგან მეგობრები არიან. აი, ეს უფრო ჟურნალისტური ვერსიაა (ჟურნალისტური იმ გაგებით, რომ ჟურნალისტები ყველა შესაძლო ვარიანტზე მსჯელობენ ხოლმე და მსჯელობის მერე ირკვევა რას უფრო მეტი საფუძველი აქვს, ანუ მსჯელობას ისინი ყველაფერზე იწყებენ და ამ ვერსიაზეც მე მგონი, ამიტომ შეჩერდა ყურადღება), რადგან ვინ, ვინ და მარგველაშვილმა ალბათ, ყველაზე კარგად იცის, როგორც იმ ადამიანმა, რომელმაც ბევრი პოლიტიკური პროცესი გამოიარა, რომ დღეს, საქართველოში ნაციონალური მოძრაობა მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის აღიქმება, როგორც ამ მოსახლეობის მიმართ მტრულად განწყობილი ძალა და ვინც რაიმე კავშირს დაამყარებს ამ ძალასთან ის მოსახლეობისთვის მიუღებელი იქნება.

**— ანუ მარგველაშვილის ნაცებთან გადაჯდომას გამორიცხავთ, ასეთი სცენარი არ არის შესაძლებელი?**

— გამოვრიცხავ, რომ ეს არ იცოდეს მარგველაშვილმა... ამას რა ცოდნა უნდა, აგერ, არჩევნები არის ამის ილუსტრაცია და მერე ამაზე, რომ წავიდეს პოლიტიკოსი ძალიან საეჭვოა. და ვხედავთ კიდეც ახლა უამრავი გადაადგილებებია ქართულ პოლიტიკაში, ბლოკები იკვრება, იხსნება და ა.შ, მაგრამ ნაციონალურ მოძრაობას არავინ ეკვრება. რატომ? იმიტომ, რომ ყველასთვის მეტ-ნაკლებად ცხადია, რომ ეს სიკვდილის ტოლფასია. ამიტომ პოლიტიკური თვითმკვლელობის მოსურნე სიცოცხლით სავსე მარგველაშვილი არის- მეთქი, ვერ ვიტყოდი, მეტიც, ამას ვერც დავუშვებ. შესაბამისად, ლაპარაკი იმაზე, რომ მარგველაშვილი პოლიტიკურ ბრძოლაშია ჩაბმული გადაჭარბებულად მეჩვენება.

**— ხელისუფლებას ურჩევთ, რომ დაუყოვნებლივ გადახედოს კონსტიტუციას?**

— მე მგონი, ჩემი რჩევის გარეშეც აპირებენ, რომ გადახედონ კონსტიტუციას, მაგრამ, რაც უფრო ჩქარა დაიდება დახვეწილი კონსტიტუცია და წინააღმდეგობების შემცველი არ იქნება, ალბათ ასეთი პრობლემები, რაც დღეს ამოტივტივდა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის, მთავრობის ინსტიტუტებს შორის მაშინვე თუ არა, მალევე მოიკლებს მომავალში.



**—პრესაში არაერთხელ დაიწერა, რომ ალასანია, მარგველაშვილი და ნაცების ნარჩენები გაერთიანდებიან, კალაძე ოცნებას დატოვებს და ა.შ. რაში სჭირდებათ ამ ჭორების დაყრა, ჭორის ავტორებსა და გამავრცელებლებს?**

— იმაში გეთანხმებით, რომ ბევრი ადამიანია დაინტერესებული, რომ აზრთასხვადასხვაობა დაპირისპირებად შეფასდეს, დაპირისპირება მომავალი ბრძოლისთვის მზადებად და მომავალი ბრძოლა კი, სამოქალაქო ომად. ამის მსურველები ნამდვილად არიან. მაგაზე სერიოზული მსჯელობა იმ პირობებში, როცა დღეს ვაანალიზებთ სიტუაციას ზედმეტად მეჩვენება მარტივი მიზეზების გამო, ჯერ ერთი, ერთი რამ მეჩვენება უდავოდ, რომ დღევანდელ პირობებში სანამ რომელიმე პოლიტიკური ძალა კოალიციის შიგნით, ვიმეორებ, რომელიმე, ან საერთოდ პარლამენტს გარეთ რომელიმე სუბიექტი იმ გავლენას არ მოიპოვებს, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერა ექნება, მანამდე ისე, ცალკე, რომელიმე ჯგუფი ნაბიჯს დამოუკიდებლობისკენ არ გადადგამს. და საერთოდ ეს ასეა, მომხრეებია პოლიტიკაში გადამწყვეტი და ნაბიჯს იქითკენ, რომ მომხრე აღარ გყავდეს არ დგამენ ხოლმე.

ის გეგმა, რითაც მიდის პროცესი ივანიშვილის გეგმაა და ამ გეგმაში არ ზის შიდა პოლიტიკური სიტუაციის დაშლა იქამდე, სანამ კარგ სტრუქტურად არ ჩამოყალიბდება სახელმწიფო მყარი ეკონომიკური და პრინციპული თვალსაზრისით. მარგველაშვილსაც იმასაც საყვედურობდა ივანიშვილი, რომ რა დროს დაპირისპირებებია ერთიანი უნდა ვიყოთო.

**— გამოდის, მარგველაშვილს ერთიანობა არ სურს, თუ რატომ საყვედურობდა, რატომ მაინცდამაინც მარგველაშვილი? ყოფილმა პრემიერმა ის ასეთ უარყოფით კონტექსტში უკვე მეორედ ახსენა, დიახ, მეორედ გააკრიტიკა?!**

— ივანიშვილი იმედგაცრუებას იოლად არ იტანს და ეს ფაქტია. ამიტომ მგონია, რომ ამ დაპირისპირების სიმძაფრის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ის ელოდა მარგველაშვილი იქნებოდა, თავად მარგველაშვილის ტერმინები, რომ ვიხმაროთ პლასტელინი, ამ დროს ის აღმოჩნდა ქვა. მე კი ვიცოდი, რომ მარგველაშვილი ქვაა და რაც მას მიაჩნია სწორად იმას გააკეთებს და სხვა ნაბიჯს არავის გამო არ გადადგამს, მაგრამ როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ივანიშვილმა, ეს არ იცოდა.

**— ნაციონალური მოძრაობა ვახსენეთ და არ შემიძლია არ გკითხოთ, შეუძლია რაიმე დესტაბილიზაციის მოწყობა ქვეყანაში (შს მინისტრი ჭიკაიძე აცხადებს, ნაცები დესტაბილიზაციას გეგმავენო)?**

— შეუძლია თუ არა დესტაბილიზაცია ნაციონალურ მოძრაობას? დიახ, შეუძლია, რა თქმა უნდა, რაღაც ხარისხის დესტაბილიზაცია ყველაფერს. წვიმა, რომ მოდის საქართველოში, ისიც დესტაბილიზაციას იწვევს. ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია გამოიყვანოს 200 კაცი დავუშვათ აქციაზე (არ ვიცი, რამდენად რეალურ ციფრს ვამბობ, მაგრამ, დავუშვათ 200 კაცი), ჭიკაიძე ამბობს, 500-იო. დიახ, კი ბატონო, გამოიყვანოს 500 კაცი, რა არის 500 კაცი საქართველოსთვის, რომელსაც 150 ათასი კაცი უნახავს აგერ, თბილისის ქუჩებში ? ის 500 კაცი, რომ გამოვიდეს ის 15 ათასი, რომელიც გამოვიდა იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა არ უნდოდა 2012 წელს, აი, ის 150 ათასი კაცი გამოვა მერე ქუჩაში და ვისი დესტაბილიზაცია მოხდება კიდევ საკითხავია. ასე რომ, სერიოზული მნიშვნელობის მიცემა ამ ფაქტორისთვის, რომ, არიქა, დესტაბილიზაცია მოხდება და ქვეყანა შეიძლება დაინგრეს, მე მგონი ზედმეტია, მაგრამ ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავად დესტაბილიზაციის ტიპის ხერხებზე უფრო აქვს აღებული ორიენტაცია და არა სხვა რამეზე, შეშლასა და არა ხელშეწყობაზე, დანგრევასა და არა აშენებაზე, ეს უკვე ზოგადი თემაა და ამ მხრივ გაკვირვებას ეს ვერსია არ იწვევს. დიახ, შეიძლება ნაციონალებს ასეთი იდეა ჰქონდეთ, მაგრამ შესაძლოა თავად შეეწირონ ასეთ იდეას.

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# გოგი თოფაძე:

# მორალური კუთხით თუ მივუდგებით, მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილის პასუხის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს წავა, გადადგება თუ გააგრძელებს მოღვაწეობას



**გვესაუბრება პარლამენტარი გოგი თოფაძე.**

**— ბატონო გოგი, ქვეყანაში ვითარება საკმაოდ დაძაბულია. ,,როგორ ფიქრობთ, კოაბიტაციამ და იმანაც, რომ ამ დრომდე არ მოხდა რეჟიმის პოლიტიკური შეფასება ამ ყველაფერზე ასახვა ხომ არ ჰპოვა?**

— მოგახსენებთ. სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს განვითარებულ მოვლენებს არაობიექტურად აფასებს, რაშიც დიდი წვლილი გარკვეულწილად, მასმედიასაც მიუძღვის, რადგან ინფორმაციის მიწოდება ხდება ტენდენციურად და არა ობიექტურად. ქვეყანას, ,,ნაციონალები'' 9 წლის მანძილზე ანგრევდნენ, ატარებდნენ აბსურდულ პოლიტიკას, დავკარგეთ ეკონომიკის განვითარების რეალური კურსი, ძირითადად, ამერიკელების კარნახით ვიმართებოდით. მსოფლიოში ვერავინ დამისახელებს ქვეყანას, რომელიც ამერიკამ ფეხზე დააყენა. ხანდახან, რუსოფილს მეძახიან. მინდა გითხრათ, რომ არც რუსებია ანგელოზები. საერთოდ, ერთ რომელიმე ქვეყანაზე ორიენტირება და მეზობლების ინტერესების უგულვებელყოფა, მართებულად არ მიმაჩნია. ყოვლისშემძლე რუსეთის მიმართ გამოხატული ჩვენი აგრესია, ქვეყანას არ წაადგება. პარლამენტში, ახლახან, უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით იყო საუბარი, გამოითქვა მოსაზრებები, ტანკები, ჯარები შევგზავნოთ, რუსეთს სანქციები დავაკისროთო. ეს დემაგოგიაა. ნახევარ მსოფლიოს სანქციები აქვს დაწესებული და ეს რუსეთისთვის მხოლოდ ღიმილს იწვევს და ჩვენ რა ძალა შეგვწევს? ძლივს გაიხსნა რუსეთის ბაზარი. სად წავიღოთ მერე ღვინო, ჩაი, ბოსტნეული და ა.შ. ეს პიარ-კამპანიაა და მეტი არაფერი. ამით იმის თქმა მინდა, რომ წინა ხელისუფლება ამ ხნის მანძილზე ქვეყანას არასწორად მართავდა. ავიღოთ, თუნდაც, ეკონომიკა — ,,მრჩეველები'' გვკარნახობდნენ ქვეყანაში ადგილობრივი არაფერი აწარმოოთ, ყველა პროდუქტი გარედან შემოიტანეთო. თუ გვინდა ხალხი დასაქმდეს, კონცეფცია — თითქოს, ჩვენი ტექნოლოგიებით დასავლეთს ველარ დავეწევით, ამიტომ საკუთარი წარმოება მოვკლათ, უნდა შევცვალოთ. ხალხის დასაქმების სხვა სისტემა, სოფლის მეურნეობისა და წარმოების გარდა, არ არსებობს. სახელმწიფო მოხელეს ან პარლამენტარს 10-10 დაცვა რომ დაჰყვებოდეს, ეს დასაქმება არაა, ეს, მხოლოდ 1-2%-ია. სოფლის მეურნეობის აღორძინებით ხალხს სამშობლოში დავაბრუნებთ. მოსახლეობის 25% ძირითადად, სოფლიდანაა საზღვარგარეთ წასული. სოფლად მოსახლეობის 51% ცხოვრობს. ახლა სოფელი ჩამკვდარია და მის ასაღორძინებლად ყველაფერს გავაკეთებთ. ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია ერთ-ორ წელიწადში ყველაფერი გაასწორო. მილიარდზე მეტი მარტო ვალი დატოვეს გასასტუმრებელი. ყოფილი პრეზიდენტი ჩვენი გუნდის მოსვლიდან კიდევ ერთი წელი ქვეყანას მართავდა, უამრავი პროექტი დაბლოკა, რაც ქვეყნის სწორ განვითარებას ხელს უშლიდა. კი, გეთანხმებით, საკადრო პოლიტიკაში ჩვენმა გუნდმა რაღაც შეცდომები დაუშვა, პროკურატურაშიც იყო ხარვეზები, ბევრგან თანამდებობებს ისევ ,,ნაციონალები'' ინარჩუნებენ, მაგრამ თანდათან ყველაფერი გასწორდება. წეღან მასმედიის როლი ვახსენე. პრესისა და ტელევიზიის ზოგი წარმომადგენელი ბევრს სცოდავს, რაც გაკეთდა იმ სიკეთეებს ვერ ხედავენ. ეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. პროფესიონალი ჟურნალისტის ვალდებულებაა მოვლენები ობიექტურად გააშუქოს. ესენი მხოლოდ იმას ცდილობენ, ცუდი რა თქვან, არადა, რამდენი კარგი რამ გაკეთდა: აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 22 საწარმო, მაგრამ სათანადოდ ვერ გავაშუქეთ; ადრე საავადმყოფოში ვერ მიხვიდოდი, დღეს ყველა დაზღვეულია. სამწუხაროდ, ჩვენს მიღწევებს სათანადოდ ვერ ვაპიარებთ. ავიღოთ შსს, ჯერ ერთი ის, რაც ადრე იმალებოდა, სტატისტიკა არ იყო, ახლა ყველაფერი შუქდება. წლობით, ჩვენი ქვეყანა, ნარკოტიკების ტრანზიტი იყო, ამით მავანმა მილიონები იშოვა, ხლა ეს აიკრძალა.

**— ახლა კრიმინალის მატებაზე საუბრობენ. ძველ ხელისუფლებას ავიწყდება რომ მისი მმართველობის დროს 25 ათასი პატიმარი და 300 ათასი პრობაციონერი ჰყავდა.**

— საზოგადოებას ისე აწვდიან ინფორმაციას, ხალხი დაიბნა. დიახ, ერთი წელი დავკარგეთ იმიტომ, რომ პროკურატურაში სათანადო კადრები არ გვყავდა. უკვე ბევრი საქმე გაიხსნა. ხომ ხედავთ, დასავლელი პარტნიორები გვიკიჟინებენ, უკან ნუ იყურებით, წინ იყურეთო. ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია კი ასეთია: დამნაშავე უნდა დაისაჯოს. მეც რომ დავაშავო რამე, პასუხი უნდა ვაგო. მარტო გელაშვილის საქმე რად ღირს, ისეთი ნაცემი იყო საავადმყოფოში რომ ვნახე, თვალებს არ დავუჯერე, კაცი თავიდან ააწყვეს იმის გამო, რომ სააკაშვილს ბინა არ დაუთმო, როცა თავის სასახლეს აშენებდა. ისინი ვინც უშუალოდ დაჩეხეს გელაშვილი, დღეს დავალების მიმცემებს ასახელებენ. ყინული დაიძრა, მაგრამ ხალხი სწორად ვერ აღიქვამს, რადგან ტელევიზია, პრესა არაობიექტურია. ივანიშვილს არ დაუმალავს, თავიდანვე თქვა — ერთი-ორი წელი გაგვიჭირდება, მაგრამ 3-4 წელიწადში ფეხზე დავდგებითო. მთელი საქართველო ზუგდიდიდან დედოფლის წყარომდე გადახნულია, იქ პროდუქტი ხომ მოვა?! ობიექტურად თუ შევაფასებთ, სხვაობას — რა იყო და რა გვაქვს, ადვილად დავინახავთ. აქტუალურია თემა ბიზნესმენებისთვის წართმეული ქონების დაბრუნების შესახებ. აქაც, სიცხადე უნდა შევიტანოთ: ჯერ ერთი 80% ქონება ისეთ ბიზნესმენებს წაართვეს, ვისაც ეს ბიზნესი ძველმა ხელისუფლებამ თავად მისცა. იქამდე, ბანკში ან კლერკები იყვნენ ან ლაბორანტები და უცებ მილიონერები გახდნენ. ისინი გაძარცვეს მათ, ვინც ეს მილიონები კანონის დარღვევით, საბაჟოზე არგატარებით აშოვნინეს და ახლა ჩვენ უნდა ვუხადოთ ფული?! თუმცა არიან ისეთებიც, ვინც მართლა უკანონოდ დააყაჩაღეს. მიდის ძიება, ყველაფერს შეისწავლიან. ცოტა უნდა დაგვაცადონ. ჯერ სხვა პროცესები მიდის. ყოფილი პრეზიდენტის დანაშაულობებზე მთელი ჯგუფები მუშაობს. ხალხი ჩქარობს, ქონებას რატომ არ გვიბრუნებენო. ჯერ შევისწავლით საიდან აქვთ ეს ქონება, რატომ წაართვეს და თუ ციხეში წამებით აიძულეს ქონების დათმობა, ყველაფერი გაირკვევა და სამართალიც იზეიმებს.

**— თუმცა, მანამდე ,,ნაციონალები'' დროს არ კარგავენ, ეკრანებიდანაც მხოლოდ მათ ბრძნულ სახეებს ვუყურებთ და რჩევა-დარიგებებს ვისმენთ.**

— კი, პარლამენტშიც ასეა. რაღაც კონკრეტული თემა რომ გადის, ორმოცივე ,,ნაციონალი'' გამოდის და ილანძღება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგი ბიძინა ივანიშვილს დედას არ აგინებს მაგრამ, საკმაოდ აგდებით მოიხსენიებს. ჩემი აზრით, ამაზე ხალხი უნდა აღშფოთდეს. განა, სხვა ვინ შეძლებდა იმის გაკეთებას, რაც ივანიშვილმა ქვეყნისთვის გააკეთა, ვინ მოიცილებდა ამათ? ,,ნაციონალებს'' ეგონათ ხელისუფლებაში ყოფნა 50 წელი განაღდებული ჰქონდათ და ასე იმიტომ გულაობდნენ. გამოჩნდა ქართველი კაცი, რომელმაც ეს ,,სენი'' მოგვაშორა. მან ყველაფერი საქართველოში ჩადო, ქველმოქმედება გასწია, ამდენი მეცნიერი, კულტურული მემკვიდრეობა შეინახა. ამ დროს ,,ნაციონალები'' მოურიდებლად ლანძღავენ, ეს კრიმინალია, ეს ხალხი დასაჭერია. ამის მოთმენა როგორ შეიძლება, ტრიბუნაზე გამოდიან და ერთმანეთს ასწრებენ ივანიშვილის ლანძღვაში. მაგალითად, მე, ივანიშვილის ადგილას, მათ ვუჩივლებდი. ბატონი ბიძინა მათთან დავას არ კადრულობს, თორემ წესით, ცილისწამებისთვის პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

**— ბატონო გოგი, ახლახან, შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოხატა პოლიტიკური პირების დევნის გამო. როგორ ფიქრობთ, რატომ შფოთავს დეპარტამენტი კრიმინალების მიმართ აღძრული საქმეების გამო?**

— შეერთებული შტატების სხვა მაგალითები რომ მოვიყვანოთ, მათი მხრიდან ობიექტურობა არსადაა დაცული. მათ თავიანთი ინტერესები აქვთ. ყოფილი პრეზიდენტი მათ დავალებებს ასრულებდა, ბრაიზას და სხვებს ჩვენი ბიუჯეტიდან ქორწილებს უხდიდა.არა აქვს ამერიკას სხვაზე სალაპარაკო — რა გააკეთა ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, ვერ ვხედავთ? ეგვიპტეში დალაგებული ქვეყანა არია, თავის წესებით ცხოვრობდნენ. დღეს ამერიკა აღარ არის მთელს პლანეტაზე ერთმმართველი, იგი ამ ძალაუფლებას კარგავს. ამერიკის ელჩი სულ იმას გვეუბნება — უკან ნუ იყურებით, წინ იყურეთო. ამაზე ღარიბაშვილი სწორად პასუხობს: თუ თქვენთან კანონი კანონობს, ჩვენთან რატომ არ უნდა იკანონოს, დამნაშავე უნდა დაისაჯოსო. ამერიკას არ უნდა, რომ დამნაშავეები დაისაჯონ. მეორე მომენტიცაა, სააკაშვილს საქართველოში ჩადენილ დანაშაულობებზე პასუხი რომ აგებინონ, წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი ჩავარდება ხათაბალაში, ვინც მას ეხმარებოდა. ამიტომ სააკაშვილი ყველას აფრთხილებს. მარტო ბრაიზას ქორწილი რად ღირს, ჩვენი ხარჯებითაა სულ დაფინანსებული. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან პრინციპული კაცია, ის არაფერს არ დათმობს.



6 gv.



# ვახტანგ მაისაია:

# სააკაშვილის მიერ გაუპატიურებული კონსტიტუცია თუ ხელახლა არ დავწერეთ, შეიძლება ის დესტაბილიაციის და სამოქალაქო დაპირისპირების წყაროდ იქცეს...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ვახტანგ მაისაია**.

**— ბატონო ვახტანგ, როგორც პოლიტოლოგი, როგორ შეაფასებთ დამოუკიდებელი საქართველოს მიერ განვლილ გზას დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. ქვეყანა კვლავ ვერ დალაგდა. პოლიტიკური კონფრონტაცია თითქოს ღრმავდება, თქვენ რას ფიქრობთ?**

— **ედუარდ შევარდნაძიდან** მოყოლებული, გვაქვს არშემდგარი ქვეყნის იარლიყი და დღევანდელი პოლიტიკური პროცესები ამას ადასტურებენ კიდევაც. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში ხელისუფლების გადაცემა მშვიდობიან პირობებში არ ხორციელდებოდა — 1991-92 წლების სამხედრო გადატრიალების შედეგებით, რომელსაც დღემდე ვიმკით და დამთავრებული „ვარდების რევოლუციით“, რომელიც არის იგივე პოლიტიკური გადატრიალება.

ჩვენ გვქონდა კიდევ მესამე, კონსტიტუციური გადატრიალებაც. დიახ, **სამხედრო, პოლიტიკური და კონსტიტუციური გადატრიალება, სამივე გამოსცადა ჩვენმა ქვეყანამ**.

2005 წლის 14 თებერვალს მაშინდელი პრეზიდენტი სააკაშვილი გამოვიდა პარლამენტში, გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობის საკითხი და მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია.

აქედან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების ლეგიტიმურობა თავისუფლად შეგვიძლია დავაყენოთ კითხვის ნიშნის ქვეშ.

ტრიუმვირატი, რომელიც ასევე პოლიტიკური გადატრიალების შედეგად მოვიდა და ლეგიტიმაცია, ასე თუ ისე, მოახერხა, სამწუხაროდ, 2005 წელს, **ჟვანიას** მკვლელობის შემდეგ დაქვეითდა **ბურჯანაძის** უფლებამოსილებანი და ამ ფონზე სააკაშვილმა ხელისუფლების უზურპაცია შეძლო. ამიტომ ვამბობ, **2005 წლის 14 თებერვალი არის კონსტიტუციური გადატრიალების დღე**.

ამ უზურპირებულმა ხელისუფლებამ კონსტიტუციის პოლიტიკური გაუპატიურება განახორციელა.

ეს გაუპატიურებული კონსტიტუცია გვაქვს დღესაც. ამიტომ ვამბობ, რომ კონსტიტუცია არის შესაცვლელი. იგი არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს კრიტერიუმებს. ეს არის, ფაქტობრივად, გადატრიალების შედეგად მიღებული კონსტიტუცია. დღეს ეს დოკუმენტი იმდენად ჩიხშია მოქცეული, რომ ქმნის დისბალანსს ხელისუფლების შიგნით და გახლავთ დესტაბილიზაციის წყარო. მეტსაც გეტყვით, ამ კონსტიტუციით ჩვენ შეიძლება, სახელმწიფოებრიობაც კი დავკარგოთ. რადგან **პრემიერსა და პრეზიდენტს შორის უთანხმოებებმა შეიძლება ქვეყანა კვლავ სამხედრო გადატრიალებამდე მიიყვანოს**.

ქვეყანაში იკვეთება ე. წ. კლანური დაპირისპირებების საფრთხე.

სხვათა შორის, ჩემი დაპატიმრების ერთ-ერთი მიზეზი სააკაშვილის ხელისუფლებაში კლანური დაპირისპირების ანალიზი იყო.

დიახ, მაშინ იჭერდნენ პოლიტიკური ანალიზის გამოც, მაგრამ ახლა, როცა ემზარ კვიციანი დაპატიმრებულია, არ გამიკვირდება, კვლავ რომ დამაპატიმრონ პოლიტიკური ნიშნით.

მოკლედ, საფრთხეები კვლავ არსებობს, მაშინ, როცა ხელისუფლებაში არის ისეთი ფიგურა, როგორიც გახლავთ, **ირაკლი ალასანია**, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, პოლიტპატიმრების გამოშვება შეცდომა და დანაშაული იყოო და გამოყო ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ადამიანები, შემოიღო ტერმინი კონტრდაზვერვის საფრთხე, ამ მიდგომით მე ვარ სახელმწიფოსთვის საშიში და ჩემი კვლავ დაპატიმრება მოსალოდნელია. თეორიულად, რა თქმა უნდა.



**— პოლიტპატიმრებს მოგეხსნათ ის ბრალეულობანი, რის გამოც დაგაპატიმრეს?**

— მოგეხსენებათ, ჩვენი სიცოცხლე საპატიმროებში მუდმივი საფრთხის ქვეშ იყო. საპყრობილეში ჩემს მიმართ აპირებდნენ ისეთივე მეთოდების გამოყენებას, რაც გამოიყენეს **სერგო თეთრაძის** მიმართ, არსებობს მოწმეები, რომლებსაც ჩემი მკვლელობა დაავალეს.

ეს სხვა საუბრის თემაა და, მგონი, გადავუხვიეთ ძირითად საკითხს, მაგრამ ეს გახლავთ ილუსტრაცია იმისთვის, რომ პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დღეს არის პოლიტიკური დაპირისპირება. როდესაც თავდაცვის მინისტრი ამბობს, რომ პოლიტპატიმრები ქმნიან კონტრდაზვერვის საფრთხეს, ეს უკვე სერიოზული განცხადებაა.

დღეს ალასანია სასტიკად ეწინააღმდეგება **ემზარ კვიციანის** არათუ თავდებით ან გირაოთი გათავისუფლებას, არამედ საერთოდ ციხიდან გამოშვებას. მოგეხსენებათ, ბატონი ირაკლი აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იყო მაშინ, როცა კოდორის სპეცოპერაცია ჩატარდა. თუ არსებობს კავშირები ამ ამბებში, ეს კვლევის და გამოძიების თემაა.

ყოველივე ეს კი, სააკაშვილის მითითების გარეშე, შეუძლებელი იყო, რომ განხორციელებულიყო, რადგან სააკაშვილი იყო მაშინ უმაღლესი მთავარსარდალი და სპეცოპერაცია მის გარეშე ვერ ჩატარდებოდა.

ახლა **ბარამიძე** რომ უტიფრად ლაპარაკობს, მან ჩაატარა სპეცოპერაცია აფრასიძეების წინააღმდეგ სვანეთში და შემდეგ სააკაშვილმა აღიარა, რომ მისი დასტურით და თანხმობით მოხდა ყველაფერი.

იმას გარდა, რომ ბარამიძე არის პოლიტიკური ქილერი, რომელიც ჰააგის ტრიბუნალის წინაშე უნდა იდგეს და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისთვის — ბავშვებისა და ქალებისადმი სროლისთვის სამართლდებოდეს, დაუსჯელი დადის და სააკაშვილიც დანავარდობს მსოფლიოს ქვეყნებში.

**— თქვენ წელან არშემდგარი ქვეყანა, როგორც ტერმინი, ახსენეთ საქართველოსთან მიმართებაში. რადგან ჩვენი ქვეყანა ჯერ „არშემდგარია“ და დემოკრატიას ახლა სწავლობს, ამბობენ, რომ ასეთი ქვეყნის მეთაურებს ბევრი შეცდომა და გადაცდომა შეიძლება ეპატიოთ.**

— არსებობს დანაშაულები, რაც არავის ეპატიება. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისთვის დაისაჯა, სხვათა შორის, **მილოშევიჩი** და არა მხოლოდ თვითონ, არამედ მისი ძალოვანი მინისტრებიც.

სააკაშვილმა, როგორც ვთქვი, თვითონვე აღიარა, რომ მან გასცა აფრასიძეების ოჯახის წინააღმდეგ იარაღის გამოყენების ბრძანება. იქ ქალები და ბავშვები დაიჭრნენ, ერთი ქალბატონი დაიღუპა, ერთიც ფსიქიატრიულში მოხვდა, დაპატიმრებული ადამიანები შემდეგ დახვრიტეს. ასევე დაიღუპა პაატა ქარდავაც, რომელიც მიბჯენით მოკლეს და მერე ზღვაში გადააგდეს ისე, რომ მისი გვამიც არავის უნახავს. გაუჩინარებულია ცინდელიანიც... ჰააგის ტრიბუნალმა უნდა განიხილოს ეს საკითხები.

სხვათა შორის, ბარამიძეც ხშირად ლაპარაკობს პოლიტპატიმრებზე. მკვლელს არ უნდა ჰქონდეს ამის უფლება, ის კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის საქართველომ ჰააგის ტრიბუნალზე უნდა გაგზავნოს.

აი, აქაა ჩვენი არშემდგარობა.

**როგორც აფრიკაშია „ბანანის რესპუბლიკა“, ჩვენც ვართ „ხაჭაპურის რესპუბლიკა“.**

**— წელან კონსტიტუციურ გადატრიალებაზე საუბრობდით. მისი შედეგების ლიკვიდაციაზეც ვილაპარაკოთ.**

— ჯერ ერთი, კონსტიტუცია ისეა დაწერილი, ვერ გაარკვევ, ვინ არის ქვეყნის პირველი პირი. მეორეც, კონსტიტუცია საპარლამენტო მოდელზეა მორგებული, მაგრამ საპრეზიდენტო მოდელის ნარჩენებია შიგ. მე ვფიქრობ, ახალი კონსტიტუცია უნდა დაიწეროს.

დღევანდელი კონსტიტუცია ქვეყნის დესტაბილიზაციის და თვით სახელმწიფოებრიობის გაქრობის რეალური მიზეზი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი





# გიორგი მარგველაშვილი — ქართველი ნიკიტა ხრუშჩოვია

შეიძლება გახდეს. კონსტიტუცია დღეს ვერ განსაზღვრავს, ვინ არის პოლიტიკური ლიდერი და ვინ არის პოლიტიკური ლიდერშიპი. ასე შევდივართ მართული და შემდეგ უმართავი ქაოსის მდგომარეობაში.

**სამწუხაროდ, ნებისმიერ დროს საქართველოში შეიძლება განხორციელდეს პოლიტიკური ან სამხედრო გადატრიალება.**

ჩვენი გეოსტრატეგიული მდგომარეობაც მძიმეა და ასეთ პირობებში, გადატრიალების საფრთხე უფრო მძაფრდება.

აფხაზეთში ხაჯიმბას გაპრეზიდენტების შემდეგ ის რეალობა შეიქმნა, რომ, თუ სამხედრო სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტს მოაწერს ხელს აფხაზეთი რუსეთთან უსაფრთხოების სივრცის შექმნასთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთი ოფიციალურად არის შესული რუსეთის ფედერაციის სამართლებრივ სივრცეში, რაც იგივეა, როგორც ანექსია.

მაგრამ აფხაზეთში უფრო დიდი ნაღმია ჩადებული. ის თავისი ტერიტორიული მოწყობის ახალ მოდელზე გადადის, რადგან აპირებენ აფხაზეთის ფედერალიზაციას.

**ხაჯიმბა, სავარაუდოდ, მომავალ წელს დაიწყებს ამ გეგმის განხორციელებას. გამოიყოფა სამი სუბიექტი, ზემო სვანეთის, სამეგრელოს — გალის რაიონის და თვით აფხაზეთის ნაწილით.** აფხაზეთი თვითონ აპირებს ფედერალიზაცია მოახდინოს პუტინთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. დეკემბერში ამ დოკუმენტს ხელი მოეწერება და საქართველო დადგება იმ დილემის წინაშე, როგორც დგას უკრაინა ყირიმის პრობლემის წინაშე.

**— მაგრამ რა ხდება ცხინვალთან მიმართებაში?**

— ცხინვალში გასული წლის ნოემბერში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. იქ განსხვავებული ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩრდილოეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა უკვე მოაწერეს ხელი გაერთიანებაზე, ერთ სუბიექტად ალანიის სახელწოდებით უნდა შესულიყვნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

ცხინვალთან ჩვენ გვაქვს თითქმის იგივე მდგომარეობა, რაც აფხაზეთთან, თუმცა აფხაზეთთან მაინც უფრო რთული ვითარებაა. რუსეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობს. იგი ახორციელებს მცოცავ ოკუპაციას. აჩოჩებენ საზღვრებს ჩვენი მიმართულებით და სურთ ხელში ჩაიგდონ სტრატეგიული მონაკვეთი — დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი მაგისტრალი. სამხედრო გზის მონაკვეთი, თბილისი-გორის მონაკვეთი მოაქციონ თავიანთი იურისდიქციის ქვეშ.

ხურვალეთთან ჩვენი პოსტი და რუსული პოსტი, ფაქტობრივად, 20-30 მ-შია.

დღეს ჩვენ საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით რუსეთის ფედერაციასთან. ეს დაფიქსირებულია კიდევაც უელსის სამიტის დეკლარაციაში.

ახლა მესამე საფრთხეზე გესაუბრებით. სხვათა შორის, ეს ჩემი კვლევის ძირითადი თემა გახლავთ, მე ვარ პოლიტიკური ისლამის მკვლევარი და ამ საფრთხეებზე დიდი ხანია ვსაუბრობ.

ჯერ კიდევ მაისში გავაკეთე პროგნოზი, რომ ისლამური ხალიფატი გამოგზავნიდა შავ ნიშნულს ჩვენი მიმართულებით. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ჩემი პროგნოზი ახდა. სექტემბერში სწორედ ისლამურმა ხალიფატმა შეუთვალა პუტინს: ჩვენ მოვდივართ თქვენსკენ. რაშიც არა მხოლოდ რუსეთი და პუტინი იყო ნაგულისხმევი, არამედ მთელი კავკასია. კერძოდ კი საქართველო და აზერბაიჯანი. საქართველოში, მოგეხსენებათ, მრავლადაა მუსულმანური ანკლავები.

ის ინციდენტი, რაც ქობულეთში მოხდა, ძალიან სერიოზული გამოძიების თემად უნდა იქცეს. მოსალოდნელია, რომ ჩვენ დაგვარტყას ხალიფატმა. ხალიფატთან რომ ხუმრობა არ შეიძლება, ყველამ ვიცით.

ჩვენ კი არა, აშშ-მა ვერ გაბედა დაპირისპირებოდა ისლამურ ხალიფატს.

კავკასიელმა ისლამისტებმა მოქმედების გეგმად აიღეს თურქული იმარატის მოდელი, რაც გულისხმობს შამილის მოდელის იდენტიფიცირებას. შამილმა თავის დროზე შექმნა თურქული მმართველობის მოდელი და დღეს კავკასიელი ისლამისტები ამბობენ: ჩვენ გამგრძელებელი ვართ შამილის გზის და როგორც შამილი ებრძოდა, 21-ე საუკუნეში ჩვენ ვებრძვით რუსეთს.

მათ ჩვენ მუქარაც გამოგვიგზავნეს თავის დროზე. გახსოვთ, ლაფანყურის ოპერაციის შემდეგ ვიდეორგოლი რომ გავრცელდა.

ისლამურმა ხალიფატმა კავკასია უკვე მოაქცია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების ჩარჩოებში, რაც ნიშნავს, რომ იმარატის მოდელი უნდა გავრცელდეს საქართველოს ტერიტორიაზე.

და ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ხალიფატის შემადგენლობაში ქართველი მეთაურები არიან.

**— ქისტები?**

— ისინიც და არა მარტო. არიან სხვა რეგიონიდან წამოსული ქართული წარმოშობის მუსულმანებიც. ხუთი საველე მეთაური არის ქართული წარმოშობის.

ამ სამი საფრთხის ფონზე, როცა კონსტიტუცია შესაცვლელია და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ქვეყანა ბეწვის ხიდზე გადის.

ხმამაღლა ვაცხადებ, საქართველოში არის ღრმა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც შეიძლება გადავიდეს ღრმა პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში შეიძლება დაიწყოს სამოქალაქო ომის ტიპის დაპირისპირება.

**— ამ დაპირისპირებისთვის ნიადაგს პრეზიდენტი მარგველაშვილიც ხომ არ ქმნის? იგი რატომღაც გუნდურ თამაშს**



**გაურბის და ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის გულისწყრომაც არაერთხელ დაიმსახურა.**

— თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ გიორგი მარგველაშვილი ქართველი ნიკიტა ხრუშჩოვია. იგი მთელი განვლილი ცხოვრებით აბსოლუტურად შეესაბამება ხრუშჩოვს — იგი თავის დროზე თითქოს ბიძინა ივანიშვილის ერთგული იყო, თუმცა საკმაოდ სტრატეგიული მნიშვნელობის პერიოდში უღალატა მას და მისი იგნორირება მოინდომა ისე, როგორც ხრუშჩოვმა გააკეთა სტალინთან მიმართებაში.

მარგველაშვილის ტერმინია — პლასტელივი ვარ, სადაც მიმაგდებენ, იქ მივეწებებიო. ხრუშჩოვიც პლასტელინი იყო. მან ძალაუფლება ხელში სწორედ ამ პლასტელინობით ჩაიგდო.

ხრუშჩოვს არ ჰყავდა თავისი გუნდი, თავისი სოციალურ-პოლიტიკური დასაყრდენი და ბოლოს ის სრულ კრახამდე გაიმეტეს, იგივე მიქოიანმა და სხვებმა. ისიც გულგრილად ექცეოდა თავის მეგობრებს.

ხრუშჩოვი საკმაოდ გაიძვერა იყო, თავს წარმოაჩენდა სხვად და იყო სხვა, ანუ პოლიტიკური ქამელეონის უნარი ჰქონდა.

იგი პოლიტიკურად ელასტიური ადამიანი, ანუ პოლიტიკური პლასტელინი იყო.

ხრუშჩოვმა გადაწყვიტა კონსტიტუციის გადაწერა, სადაც კომუნისტური პარტიის ლიდერის პოზიციები საერთოდ იყო ამოშლილი. ამაში, შეიძლება, ცუდი არც არაფერი იყო, მაგრამ ეს გახლდათ ერთგვარი ეთიკური საკითხი. თუ მთელი შეგნებული ცხოვრება ლენინისდროინდელი კომუნისტი იყავი, ამ დროს ცვლი ფუნდამენტურ პრინციპს და გადატრიალებას ახდენ პარტიაში. რა კაცი ხარ?!

ხრუშჩოვიც პიროვნული მოტივის გამო გადაემტერა სტალინს.

ამიტომაც ვავლებ პარალელებს: ივანიშვილმა შენიშვნა მისცა მარგველაშვილს და მარგველაშვილი ამის გამო გაწყენდა, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მას შეუძლია მტერსაც შეეკრას, ოღონდ თავისი პოზიციები გადაირჩინოს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

3 gv.

**— ბატონო გოგი, რაც შეეხება ნატოში გაწევრიანებას, ახლახან, ოქროს ბარათი და დაპირება — მომავალ წელს ნატოს წევრი გახდებითო, მივიღეთ. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?**

— კონდოლიზა რაისმა 2008 წელს პირდაპირ თქვა: თქვენ ნატოში არ მიგიღებენო. რამდენიმე თვის წინ, ობამამ ოფიციალურად გამოაცხადა — ნატოში ვერ მიგიღებთო. ხან ამბობენ მაპს მოგცემთო, ხან რაღაც პარტნიორობას გვთავაზობენ. რა არის ეს პარტნიორობა? — ნატოში არ მიგვიღებენ, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენი ჯარისკაცები ავღანეთში უნდა დაიღუპონ. ახლა აფრიკაში უნდა წავიდნენ და იქ იბრძოლონ. ნატოს ეს უნდა. მეორე ვარიანტ განვიხილოთ — ვთქვათ, ნატოში მიგვიღეს და ჩვენც დავეთანხმეთ. როგორ ფიქრობთ, რუსეთი მოითმენს, რომ კავკასიის ქედზე ბალისტიკური რაკეტები დააყენონ და პირდაპირ კრემლს დაუმიზნონ? ხომ ხედავთ რა ხდება უკრაინაში? ჩვენ ხომ გადაგვყლაპავენ? ვინ მიგვიშვებს მაქამდე? განა არ იციან, ნატოში რომ არ გვიღებენ, უბრალოდ, ამით რუსეთს აშინებენ. ვერ შევალთ ნატოში, ეს ჩვენთვის ტრაგედია იქნება. ის დიდი ქვეყანა, რომელსაც აქედან ვლანძღავთ და ვაგინებთ, ამას არ აიტანს. მას თავის პრეტენზიები აქვს. ჯერ რუსეთს სანქციები დავუწესოთ და მერე ნატოში შევიდეთ? უკრაინაში რატომ ხდება ეს ამბები — იქაც ამერიკელებმა არ არიეს სიტუაცია? ამიტომ, ობიექტურნი უნდა ვიყოთ. სწორი პიარია საჭირო. „საერთო გაზეთი“ და თქვენი რედაქტორი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, სწორედ იმიტომაა დასაფასებელი, რომ თქვენ დარწმუნებული ვარ, სიტუაციას ყოველთვის ობიექტურად აფასებთ, რომელიმე პოლიტიკური ძალის პრესის ქვეშ არ ხართ. ამიტომაც არის თქვენი გაზეთი ეროვნული. თქვენ ობიექტურნი ხართ. და სწორედ თქვენ უნდა გააგებინოთ ხალხს სიმართლე, სხვა ამის გამკეთებელი არავინაა. ასე, რომ საქართველო სწორ გზას ადგას. იყო შეცდომები, მაგრამ ყველაფერი სწორდება, წინ მივდივართ, არავინ არავის აღარ აყაჩაღებს, ბიზნესი გამოცოცხლდა. ხალხს იმედი გაუჩნდა, რომ საკუთარ ბიზნესს არ წაართმევენ და მის დასათმობად ცოცხს არავინ გაჩრის.

**— ბატონო გოგი, ქვეყნის შიგნით მთავრობასა და პრეზიდენტის დაპირისპირებაზეც მინდა ვისაუბროთ. ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მარგველაშვილი მთავრობას კონკურენციაში ჩაუდგა. როგორია თქვენი პოზიცია?**

— პრემიერ-მინისტრს უდიდეს პატივს ვცემ, იგი ბოლომდე გულდამწვარი ქართველი პატრიოტია. რაც შეეხება მარგველაშვილს, ერთი რამ მნიშვნელოვანია — ადამიანს ვალდებულების და მადლიერების გრძნობა უნდა გააჩნდეს. მარგველაშვილს არ ვიცნობდი, სულ სამჯერ მყავს ნანახი პოლიტ.საბჭოზე. განა, მას დამოუკიდებლად გამარჯვების შანსი ჰქონდა? აქედან გამომდინარე, სუყველა პოლიტიკური პარტიებიც, პარლამენტიც ივანიშვილის დროშით გავედით. ივანიშვილმა იმდენი სიკეთე გააკეთა, ხალხმა მას დაუჯერა და ძველი ხელისუფლება მოვიცილეთ. არავის უნდა ჰქონდეს პრეტენზია იმაზე, თითქოს თავისი პერსონით შეძლო გამარჯვების მოპოვება. ამ კუთხით, მარგველაშვილს, აკლია მადლიერების გრძნობა, თავისი პოტენციალის რეალურად შეფასების უნარი. რაც არ უნდა დაძაბული ურთიერთობა ჰქონდეს ღარიბაშვილთან, მას, ბიძინა ივანიშვილთან, გარკვეული ვალდებულება აქვს. ასეთი კინკლაობა არ უნდა დაეწყო, ქვეყნის დასაცინი გახდა. ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე ის ნაბიჯები არ უნდა გადაედგა, რაც ბოლო პერიოდში გადადგა. ჯერ თქვა გარყვნილების ბუნაგში არ გადავალო და მერე დაუკითხავად შევიდა იქ. ამით უკვე გამოამჟღავნა, რომ ივანიშვილთან და ჩვენს გუნდთან მართალი არ არის. პირდაპირ გეტყვით, კაცმა, რომელმაც პირველ პირად მოგიყვანა, პრეზიდენტი გაგხადა, სულ მცირე პატივი უნდა სცე და გარკვეული საკითხები შეუთანხმო. ივანიშვილის გარეშე მას ხომ 1%-იც არ ჰქონდა გაპრეზიდენტების შანსი? ნუთუ მართლა ჰგონია, რომ 63% ხალხმა მას მისცა რაიმე დამსახურებისთვის? ქვეყანა უხერხულ სიტუაციაში ვარდება, მსოფლიოს თვალში სასაცილო ვხდებით. მარგველაშვილს ამ თემებზე, თუნდაც ქვეყნის პრესტიჟის შესანარჩუნებლად, ცალკე უნდა ესაუბრა ბატონ ბიძინასთან. მაგრამ, როგორც ჩანს, მას ქვეყანა და მისი იმიჯი დიდად არ ადარდებს.აადამიანურ მადლიერებას, ვალდებულებებს არ უნდა გადააბიჯო. ივანიშვილს მისთვის შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებია, თვითონ კი როგორ მოიქცა?! მარგველაშვილმა კარგად უნდა გააცნობიეროს, როგორ გახდა პრეზიდენტი და ამას ანგარიში უნდა გაუწიოს.

ერთი გუნდი ვართ და უნდა ვიცოდეთ, რომ ივანიშვილმა მოგვიყვანა ხელისუფლებაში და მის წინაშე გარკვეული ვალდებულებები გვაქვს. ვიმეორებ, მორალური კუთხით თუ მივუდგებით, მარგველაშვილს ივანიშვილის პასუხის მიხედვით უნდა გადაეწყვიტა წავა, გადადგება თუ გააგრძელებს მოღვაწეობას.

## მორალური კუთხით თუ მივუდგებით, მარგველაშვილმა ბიძინა ივანიშვილის პასუხის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს წავა, გადადგება თუ გააგრძელებს მოღვაწეობას



თამარ შველიძე
555 23 28 24

# დავდგეთ საქართველოსთან და დავიბრუნებთ საქართველოს!

## საინიციატივო ჯგუფის „პირველ ოქტომბერს ჩააბარეთ ანგარიში ქართველ ხალხს“

## განცხადება

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საქართველოსთვის დადგა პერიოდი, როდესაც ყოველგვარი ქართული დარტყმის ქვეშაა. ქართული მიწაც, ქართული ენაც, ჩვენი მართლმადიდებლობაც, ტრადიციებიც, ქართული კულტურა, მეცნიერება, ქართული განათლების სისტემა, ქართული სოფელი, მამული ჩვენი, საერთოდ, ანუ ყველაფერი, რაც ქართული იყო და ჯერ კიდევ არის - დადგა დარტყმის ქვეშ.

მძლავრობენ ძალები, რომელთათვისაც უპირატესია უცხო ქვეყნების პოლიტიკური ძალების მსახურება, ვიდრე საკუთარი ხალხის და ქვეყნისა. ტრაგედიაა, როდესაც სურვილი უჩნდება არა ერთსა და ორს, ხელისუფლებაში კი უმრავლესობას, რომ გაამერიკელდეს, გაინგლისელდეს, გაგერმანელდეს, გაფრანგდეს.. ჯერ ერთი,- ვერასდროს ვერ გახდება ფრანგი ის, ვისაც გაფრანგება უნდა; ვერ გახდება, ამერიკელი ის, ვისაც გაამერიკელება უნდა, მაგრამ თავის ქვეყანას კი ღალატობს... არადა ასეთი ძალები მომრავლდნენ პოლიტიკაში.

რაც დრო გადის, ქვეყანაში ძლიერდება უიმედობა, დეპრესია, ღრმავდება სიღარიბე, მიმბაძველობა, ყოველგვარი უცხოურის ქება, საკუთარის, მათ შორის ისტორიის ძაგება ჩვეულებრივ ამბად იქცა.

დამთრგუნველია, როცა ხედავ, რომ სახელმწიფოს განვითარების დავით აღმაშენებლისეულ პრინციპებს გარეთ უფრო აფასებენ, ვიდრე საქართველოში, როცა ბევრი ქვეყნისათვის სამაგალითო ხდება ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეოლოგია, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური, ნიკო ნიკოლაძის ეკონომიკური მემკვიდრეობა და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია, მაშინ როცა, ყველაფერ ამას იგნორირება უკეთდება მათ სამშობლოში. გვემართება ის, რაზეც სხარტად და ხატოვნად თქვა ქართველმა ხალხმა — თურაშაულის პატრონი ტყეში ვეძებთ პანტას.

მძიმე ჟამი უდგას ქვეყანას. მისი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ ყოფილა ასეთ მდგომარეობაში. ისტორია იმასაც ადასტურებს, რომ ასეთ პერიოდებში რწმენით და იმედით ერთ დიდ მუშტად იკვრებოდა ხალხი, ქართული აზრი, მძლავრობდა ქართული ცნობიერება. ქართული დროშის ქვეშ დგებოდა ახალგაზრდობა.

დღეს ხალხს და ქვეყანას იმედის ხელისუფლება და პოლიტიკოსები სჭირდება. სჭირდება მთავრობა, რომელიც მომავლით ცხოვრობს და არ არის ჩარჩენილი წარსულის ძაგებასა და განქიქებაში. სჭირდება პოლიტიკოსები, რომლებიც თავისუფალნი არიან სიძულვილისაგან, არ იმართებიან ქვეყნის გარედან, პატიოსნად ცხოვრობენ და აანალიზებენ საკუთარ საქმიანობას - არიან თვითკრიტიკულნი და არა თვითკმაყოფილნი. ქვეყანას სჭირდება ხელისუფლება და პოლიტიკოსები, რომელთაც შეუძლიათ მოქმედებაში მოიყვანონ ქვეყნის მთელი პოტენციალი - როგორც ინტელექტუალური და ადამიანური, ასევე ბუნებრივი და გეოგრაფიული, რომელთაც ესმით, რომ ყოველგვარი ქართული და ეროვნული ნადგურდება მაშინ, როცა ქვეყნის მოსახლეობა იბრძვის არსებობისათვის, ხოლო ქვეყანა ბრწყინდება მაშინ, როცა მისი ხალხი, თითოეული ადამიანი იბრძვის საკუთარი თავის რეალიზაციისათვის.

ჩვენ - საინიციატივო ჯგუფი „პირველ ოქტომბერს ჩააბარეთ ანგარიში ქართველ ხალხს“ ასეთ ჭრილში ვხედავთ დიდ ქართულ მოძრაობას „დავიბრუნოთ საქართველო“.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველ ოქტომბერს ხელისუფლებამ არა უბრალოდ ანგარიში უნდა ჩააბაროს ხალხს და ქვეყანას, არამედ პატიოსნად თქვას, რა ვერ შეძლო და რაც მთავარია, თქვას ის, რის გაკეთებასაც აპირებს.

ბატონო ხელისუფალნო, თქვენ ხალხს დაპირდით სამართლიანობის დადგენას, დაპირდით საარსებო მინიმუმს, დაპირდით საბანკო პრობლემების მოგვარების სისტემას, დაპირდით წართმეულის დაბრუნებას, დაპირდით კიდევ ბევრ რამეს.

პირველ ოქტომბერს ხელისუფლებაში თქვენი მოსვლიდან ორი წლის თავზე ჩააბარეთ ანგარიში ხალხს.

როგორი ფორმით უნდა მოხდეს ეს?

ჩვენ ვთვლით, რომ ხელისუფლებამ ამის ფორმა თვითონ უნდა მოძებნოს. ერთი კი ნამდვილად ვიცით, რომ ხალხს ანგარიში უნდა ჩააბაროს როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

დავდგეთ საქართველოსთან და დავიბრუნებთ საქართველოს!

საინიციატივო
ჯგუფის სახელით
**დავით გველესიანი,**
ხელოვანი
**ლეონ ფირცხალავა,**
მეცნიერი
**თეიმურაზ შაშიაშვილი,**
პოლიტიკოსი
12.09.2014 წ.

ვლადიმერ ხომერიკი:

# ქვეყანაში პრორუსული კი არა პროქართული ძალა უნდა გაძლიერდეს, რომელიც, პირველყოვლისა, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დაიცავს

## ელისო კილაძემ თავისი თავი და შემკვეთები გაშიფრა იმით, რომ სააკაშვილის „შპარგალკა“ კიდევ ერთხელ გამოიყენა



*ორიოდე დღის წინათ გაზეთმა „ქრონიკა+“-მა „საერთო გაზეთის“ მისამართით ახალი ჭორი, ცილისწამება, დეზინფორმაცია და ვითომ კომპრომატი „მოძებნა“ - თურმე „საერთო გაზეთს“ რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი ვლადიმერ ხომერიკი აფინანსებს. არ ვაპირებდით ამ დეზინფორმაციაზე თქვენი ყურადღების შეჩერებას, ძვირფასო მკითხველო, რომ არა ერთი ფაქტი - ხუთშაბათს დამირეკა ერთმა კოლეგამ და მითხრა, ბატონი ვლადიმერ ხომერიკი თბილისშიაო, ამ შემთხვევას კი ნამდვილად ვერ გავუშვებდი ხელიდან.*

*გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ბატონ ვლადიმერ ხომერიკთან.*

**— ბატონო ვლადიმერ, რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „ქრონიკა+“-ში, რედაქტორმა ელისო კილაძემ დაბეჭდა დეზინფორმაცია, თითქოს თქვენ აფინანსებთ „საერთო გაზეთს“. როგორია თქვენი კომენტარი?**

— ელისო კილაძე ჩემთვის გაუგებარი სუბიექტია. სხვადასხვა ადამიანები მას აფასებდნენ, როგორც პროვოკატორ ჟურნალისტს, რომელიც ოღონდ დაკვეთა ჰქონდეს, ყველაფერს წერს. მეც ვარ ამის ცოცხალი მოწმე. კარგად მახსოვს, როგორ კარნახობდნენ, რა დაეწერა და რა არა. ძალიან გამიკვირდა, რომ დღეს ეს ქალბატონი იმეორებს ისეთ სისულელეებს, რასაც სააკაშვილი და მისი მთავრობა ამბობდა ხოლმე. ეს მე, რა თქმა უნდა, არ მაღიზიანებს, მეცინება მხოლოდ. ელისო კილაძემ თავისი თავი და დამკვეთები გაშიფრა იმით, რომ სააკაშვილის „შპარგალკა“ კიდევ ერთხელ გამოიყენა. ვიცი, მე ვინ ვარ. მე სხვა კატეგორიაში გავდივარ, ელისო ცდი-



ლობს თავის თავს პიარი გაუკეთოს ჩვენთვის შავი პიარის გაკეთების ხარჯზე, მაგრამ აქ მოხდა პირიქით, შეიძლება ვიღაც ერთეულმა დაიჯეროს ეს, მაგრამ საქმეში ჩახედული ნებისმიერი კაცისთვის უბრალოდ სასაცილოა. ხალხი ჭკვიანია, ხალხსაც ესმის ვინ ვინ არის და ეს არ იმუშავებს. ვიმეორებ, უბრალოდ, ელისომ შეასრულა ერთი რიგითი შეკვეთა...

**— ვისი დაკვეთა შეასრულა?**

— ვისი „შპარგალკაც“ გამოიყენა, იმისი...

ბოლო ხანებში მაქსიმალურად ვიკავებდი თავს კრიტიკისაგან, რაკი ეს ახალი მთვრობა სწორ გზას დაადგა და ცდილობდა გამოსავლების მოძებნას — ხელს აღარ ვუშლიდი. მეც რომ დავუწყო კრიტიკა, როგორც ზოგი იქცევა, ჩასაფრებული კაცის პოზიციიდან, არ იქნება სწორი.

**— იქნებ სწორედ ეს არ მოსწონთ ვიღაც-ვიღაცებს?**

— დიახ, შესაძლოა, შეშფოთებულნი არიან გარკვეული ძალები იმით, რომ მე ამ მთავრობას არ ვარტყამ. აქვე მინდა დავაზუსტო, რომ მთელ მთავრობას კი არ ვუჭერ მხარს, არამედ მხოლოდ იმ პერსონალიებს, რომლებიც დღეს ცდილობენ საქართველოს ინტერესების გატარებას, ანუ ღარიბაშვილსა და მის გუნდს. რაც შეეხება „საერთო გაზეთს“, პირველ რიგში, იმის თქმა მინდა, რომ **„საერთო გაზეთი“ ძალიან საინტერესო და სამართლიანი გაზეთია. მე მის მთავარ რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას ერთადერთხელ შევხვდი - წიგნ „გრუზინსკაია პაეზია“–ს პრეზენტაციაზე.** დიახ, მე მაშინ ვესაუბრე ბატონ ვახტანგს, ძალიან მომეწონა მისი სარედაქციო სტრატეგია და მიდგომები. მაშინ მივეცი პირველად მის ჟურნალისტს ინტერვიუ, მაგრამ ის, რომ მე მომწონს „საერთო გაზეთი“, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მე ამ გაზეთს ვაფინანსებ. სისულელეა და მეცინება, როცა მე ამას მაბრალებენ. თუმცა დამაბრალონ! მთელ საქართველოს ვაფინანსებ თუ უნდათ და ნეტავ, მქონდეს მაგდენი და მართლა დავაფინანსებდი. კილაძის ბრალდების არაპირდაპირი „არგუმენტი“ შეიძლება ისაა, რომ ლადო ბედუკაძე თავის წიგნს ბეჭდავს „საერთო გაზეთში“. მე ვთვლი, რომ ბატონი ლადო ბედუკაძე არის საქართველოს პატრიოტი და გმირი. რაც მან გააკეთა იმ რეჟიმის მოსპობისთვის, ვთვლი, რომ ეს არის მთავარი ნაბიჯი, რომელმაც გადაწყვიტა სააკაშვილის გუნდის ბედი. **მას შემდეგ, რაც ციხის ფაქტები გამოვიდა გარეთ, ქართველ ხალხს უკვე ვერავინ გააჩერებდა.** მე ვკითხე ძალიან ბევრს, ვინც ციხეში იჯდა, პოლიტპატიმრებს და სხვებს და ვისაც არ ვკითხე, რეალურად ყველა აქებდა მას. რაც ბედუკაძემ გააკეთა, ეს ნამდვილად იყო დიდი რისკი და გმირობა და აქამდე არ მითქვამს, მაგრამ მე ის ადამიანი დავპატიჟე სპეციალურად მოსკოვში. იმიტომ, რომ აქ იყო საერთოდ უყურადღებოდ მიტოვებული და, ალბათ, განიცდიდა ამას — აი, საერო საქმე გავაკეთე, მაგრამ არავინ დააფასაო. მე მინდოდა მისთვის მორალურად დამეჭირა მხარი და სიგელით დავაჯილდოვე.

მე ბედუკაძესთან პოლიტიკური გეგმები არ მქონია და არც მაქვს, მაგრამ გავიგე, რომ, როცა ის საქართველოში დაბრუნდა, აგრესია წამოვიდა „ობიექტივისგან“. ხომერიკმა ბედუკაძე რომ წაიყვანა, ალბათ, ჩვენს წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავენო, არც მე და არც ბედუკაძეს ერთი სიტყვა არ გვითქვამს „ობიექტივის“ წინააღმდეგ, ჩვენ, უბრალოდ, ვთქვით, რომ „ობიექტივმაც“ ძალიან დიდი საქმე გააკეთა, ეს კადრები რომ გაახმაურა.

**— ბატონო ვლადიმერ, რა არის თქვენი საქართველოში ახლანდელი ჩამოსვლის მიზეზი?**

— ქეთი, რა თქმა უნდა, საქმიანი შეხვედრები მქონდა ჩანიშნული, რომელიც ჩავატარე ბათუმსა და თბილისში. მე შევხვდი საქართველოს სპეციალურ წარმომადგენელს რუსეთში ბატონ ზურაბ აბაშიძეს და ბატონ გელა დუმბაძეს, დიასპორის მინისტრს. ჩვენ ვისაუბრეთ იმ საკითხებზე, როგორ გავაუმჯობესოთ საქმე, რომ ქართული დიასპორა რუსეთში ემსახუროს საქართველოს, ლობირების პროცესი თავის თავზე აიღოს და იყოს განწყობილი საქართველოს ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების დასახმარებლად. ზუსტად ამაზე გვქონდა საუბარი, ვიმსჯელეთ, რა პროცესები მიდის დღეს რუსეთში, როგორ უყურებს და როგორი განწყობა აქვს საქართველოსადმი რუსეთის ელიტას და რა პოლიტიკას ატარებს დღეს რეალურად საქართველო. საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ ჩვენი დიასპორის აქტივობა აუცილებელია საქართველოსთვის. ეს უნდა იყოს პროცესი, სადაც რუსეთში მცხოვრები 700 ათასი ქართველი თავის წვლილს შეიტანს იმ საქმეში, რომ რუსეთის მთვრობამ საქართველოს ახალ მთავრობას სერიოზულად დაუჭიროს მხარი. შევთანხმდით, რომ პროცესები დღეს მიდის უკეთესად, ვიდრე ადრე მიდიოდა. ეს ის პროცესებია, რომელსაც საქართველოსთვის მშვიდობა და ეკონომიკური განვითარება მოაქვს.

**— იქნებ ორიოდე სიტყვა გვითხრათ, ზოგადად, ჩვენში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე?**

— მე მგონი, დღევანდელი მთავრობა ძალიან ჭკვიან და თავშეკავებულ პოლიტიკას ატარებს. და მე ისიც ვთქვი შეხვედრაზე, რომ ჩვენ არ უნდა შევადაროთ უკრაინა და საქართველო, ის პროცესები, რაც მოხდა. ერთადერთი იმით უნდა შევადაროთ, რომ ორივე საქმის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო ამერიკა. ჩვენ რომ ვადარებთ ჩვენს თავს უკრაინას, ამით დიდ და სერიოზულ შეცდომას ვუშვებთ. ფაქტობრივად, მოვუწოდებთ ვიღაცებს, რომ საქართველოს ტერიტორიები მიიტაცონ, არადა, პირიქით, ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა ეს საკითხი, რომ უკრაინაში ომი მიდიოდა და უნდა გვეთქვა, რომ უკრაინაში სხვა კონფლიქტია. მართლია, ტერიტორიული, მაგრამ სხვა. თუ უკ-

9 gv.

# კახი კახიშვილი: შეიქმნება თუ არა მესამე პოლიტიკური ძალა?

გვესაუბრება საარჩევნო პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, იურისტი **კახა კახიშვილი**.

**— კახა, თქვენ ბოლო დღეებში მესამე პოლიტიკური ძალის შექმნაზე საუბრობდით. რა ძალა იქნება ეს?**

— პრეზიდენტის არჩევნებში მოსახლეობის დაახლოებით 47%-მა მიიღო მონაწილეობა, ხოლო თვითმმართველობის არჩევნებში 43%-მა, რაც იმას ნიშნავს, რომ, დაახლოებით, 55% არ მივიდა არჩევნებზე. ამას თუ გამოვაკლებთ იმ ადამიანებს, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებიან, სადღაც 35-40%-მდე არის ამომრჩევლების რიცხვი, რომლებიც არ ენდობიან არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს. გამოდის, რომ 2016 წლამდე არსებობს პერსპექტივა შეიქმნას ძალა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ცნობადი სახეებით. სწორედ ამ ძალაზე ვსაუბრობ.

**— მოსალოდნელია თუ არა გამართლდეს ეჭვები, რომელიც გულისხმობს პარლამენტსგარეთ დარჩენილი ოპოზიციური სუბიექტების „ნაცმოძრაობასთან“ შერწყმას?**

— მე ვერ წარმომიდგენია ნინო ბურჯანაძის, ან კახა კუკავას გაერთიანება „ნაცმოძრაობასთან“.

„ნაცმოძრაობამ“ მშვენივრად იცის, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერასოდეს დაბრუნდება, ამიტომ მათი მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში რევოლუციის გზით ხელისუფლებაში დაბრუნებაა. რევოლუციური გზით ხელისუფლებაში რომ დაბრუნდე, ამისთვის ხალხში განწყობა უნდა შექმნა.

მათ, შეიძლება, ძალიანაც სურდეთ ახალი „ვარდების რევოლუცია“, მაგრამ ხალხში იმდენად დისკრედიტირებულნი არიან, არ მგონია, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მათ საპროტესტო, რევოლუციურ აქციებს მხარი დაუჭიროს. ისინი შეეცდებიან, იმუშაონ ხალხში საპროტესტო განწყობების გაჩენაზე და, ამავე დროს, დაიწყონ ფიქრი ისეთი პოლიტიკური ძალების შექმნაზე, რომელშიც გაერთიანდებიან მათი იდეოლოგიური მხარდამჭერები, ოღონდ არ იქნებიან ასოცირებულნი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“.

შეძლებს თუ არა ამას „ნაცმოძრაობა“, დრო გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, სურვილი და მცდელობა არის.

**— „ნაცმოძრაობას“ ისევ რომ გასჩენოდა პოლიტიკური ამბიციები და ახალი „ვარდების რევოლუციის“ მოწყობის სურვილი, ხელისუფლებას ხომ არ უნდა მოეხდინა „ნაციონალების“ 9-წლიანი მმართველობის შეფასება და ანალიზი? ნაცხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებები სისტემური დანაშაულის კვალიფიკაციას არ ატარებს?**



— რა თქმა უნდა, **ნაცმოძრაობის 9-წლიანი მმართველობა იყო სისტემური დანაშაულის შემცველი, თუმცა ამ დანაშაულობათა შესწავლა გამოძიების მაღალი ტემპებით არ მიმდინარეობს.**

მე ვფიქრობ, პროკურატურის მხრიდან თავიდანვე იყო დაშვებული შეცდომები, ძალიან სუსტი საქმეები დადეს სასამართლოში არსებითი განხილვებისთვის, როცა საქმე ეხებოდა „ნაცმოძრაობის“ უმაღლესი თანამდებობების პირებს, და დადგა გამამართლებელი განაჩენები.

მოგეხსენებათ, ყოველივე ეს ძალიან კარგად გამოიყენა „ნაცმოძრაობამ“ და შექმნა შთაბეჭდილება დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში, თითქოს მათ მიმართ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს და დამოუკიდებელი სასამართლო ამ უდანაშაულო დამნაშავეებს ამართლებს. ამიტომაც, შემდგომში, უკვე, პროკურატურის მხრიდან დაშვებული შეცდომების საფუძველზე და იმის ნიადაგზე, რომ, ძირითადად, ეპიზოდური ხასიათის გამოძიებას ჰქონდა ადგილი და ვერ გამოიკვეთა ვერც ერთი სისტემური დანაშაული, რა თქმა უნდა, პრობლემები შეექმნა თავად გამოძიებას. ყველა სისხლის სამართლის სპეციალისტმა იცის, რომ თუ საქმე თავიდანვე არ გაამაგრე, იგი სასამართლო პერსპექტივას დაკარგავს.

ამიტომ თავად პროკურატურის ხელმძღვანელობამ უნდა გააკეთოს ანალიზი. ხალხის მოთხოვნაა, გამოძიებული იქნას ყველა ის დანაშაული, რაც ჩადენილი იყო „ნაცმოძრაობის“ მიერ 9 წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მხოლოდ ეპიზოდურ ბრალეულობებს ვხედავთ და ისიც, ჩემი აზრით, არა იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, მასობრივ მოსმენებს, თვალთვალს, ადამიანების მასობრივ წამებას – პოლიციის შენობებში, ციხეებში, ქონების წართმევას სისტემური გზით, როდესაც ერთი ჯაჭვი იყო გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, ნოტარიუსი. ასეთი ტიპის საქმეები არ არის სამწუხაროდ, გამოძიებული.

ბუნებრივია, რაც დრო იწელება, მით უფრო გაჭირდება ამ საქმეების კვლევა. შედეგად მივიღეთ ის, რომ „ნაცმოძრაობა“ შეტევაზე გადმოვიდა.

ნებისმიერ ბრალდებაზე უკვე ითხოვენ, თუ ასე იყო, რატომ არ არის გამოკვეთილი დანაშაული, რატომ არ დააკავეს ის ადამიანები, რომლებიც დანაშაულს ჩადიოდნენ და რატომ არ არიან პასუხისგებაში მიცემულნი.

**— თქვენ წელან საერთაშორისო ასპარეზზე ნაციონალების პროპაგანდისტულ დემაგოგიაზე საუბრობდით — პოლიტიკურ ზეწოლებს და დევნას აქვს ადგილიო. იმას რატომ არავინ არ ლაპარაკობს, ხელისუფლებაში მათი ყოფნის პერიოდში 200-მდე პოლიტპატიმარი რომ იყო ქვეყანაში?**

— ყველა ვხედავთ, იმ 200 პოლიტპატიმრის მიმართაც არ არის ხელისუფლებაში ერთგვაროვანი განწყობა. კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან იყო განცხადებები, რომ შეცდომად მიიჩნევდნენ ცალკეულ პოლიტპატიმართა ამ სტატუსში აღიარებას. არის მცდელობა, რომ პოლიტპატიმრების თემის დისკრედიტაცია მოხდეს და თქვენ ხედავთ, „ნაციონალები“ ცდილობენ ყოველდღიურად, სხვა ტიპის დანაშაულები რაღაცნაირად მიაბან პოლიტპატიმრების თემას, რომ პოლიტპატიმრების, ამნისტიის და მსგავსი თემების დისკრედიტაცია მოახდინონ.

„ნაცმოძრაობას“ ეს, ნაწილობრივ, გამოს იმიტომ, რომ „ქართულ ოცნებაში“ არ არის ერთსულოვანი მიდგომა იმ საკითხებისადმი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია.

თავად „ქართულმა ოცნებამ“, ცოტა უცნაურია, მაგრამ თავად გადაწყვიტა ვილაცებს მოეხდინათ პოლიტპატიმრების თემის დისკრედიტაცია. იყო პერიოდი, როცა ამ კუთხით მათი განცხადებები, ფაქტობრივად, ტანდემში იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების შეხედულებებთან.



პოლიტპატიმრების თემა არის ერთი, მაგრამ არსებობს სხვა საქმეებიც, რომლებიც უკავშირდება სისტემურ დანაშაულს, რომლის საფუძველზეც პასუხისგებაში უნდა მიეცეს ის ადამიანები, რომლებიც სისტემის პირამიდის კენწეროს წარმოადგენდნენ.

**— პირამიდის კენწეროსთან ახლოს მდგომი მერაბიშვილი, ახალაია და უგულავა დაპატიმრებულნი არიან, მაგრამ ესენი „ნაცმოძრაობის“ ბირთვის მხოლოდ ნაწილებს წარმოადგენენ.**

— რაც მთავარია, თქვენ მიერ ჩამოთვლილ ადამიანებს ეპიზოდურ დანაშაულებზე აქვთ ბრალი წაყენებული და არა სისტემურ დანაშაულზე. ისინი სააკაშვილის, ადეიშვილის და კიდევ რამდენიმე პირის გარეშე ვერაფერს ვერ გაბედავდნენ. თუ რამე ხდებოდა, ხდებოდა სააკაშვილის ან ადეიშვილის მიერ, ასე ვთქვათ, მწვანეს ანთების შემდეგ.

ესენი კი პასუხისგებაში არიან მიცემული გაფლანგვაზე, თანხის მითვისებაზე. ჩვენ ვერ ვნახეთ საქმე, რომელიც გამაგრებული იქნება ჯაჭვით, რომელიც მიუთითებს ორგანიზებული დანაშაულის ნიშნებზე. ეს წამოწევს დანაშაულს, რომელიც ერთი ან ორი ადამიანის ბრძანების საფუძველზე ხორციელდებოდა, რომელშიც ძალოვანი სტრუქტურის, ან სხვა სტრუქტურის ნაწილი იქნებოდა ჩართული.

მაგალითად, ავილოთ ვანო მერაბიშვილის ბრალეულობა 26 მაისთან დაკავშირებით. იგი ვერაფერს ვერ გადაწყვეტდა, რომ არ ყოფილიყო ადეიშვილის ან თვითონ სააკაშვილის ბრძანება და არ ყოფილიყო ასეთი ფორმებით მიტინგების დარბევის თანხმობა მთავრობის

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

წევრების მხრიდან. ჩვენ ისიც ვიცით, რომ **26 მაისის მიტინგის დარბევაში არ მონაწილეობდა მხოლოდ შს სამინისტროს დანაყოფები**. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იქვე იყვნენ სასჯელაღსრულების, თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ჯგუფები. ამიტომ ცოტა უცნაურია მხოლოდ მერაბიშვილის დაკავება. მათ შორის, უცნაურია იმ პროკურორების პასუხისმგებლობისგან თავის არიდებაც, რომლებიც თავის დროზე „აპრავებდნენ" 26 მაისის დარბევას და თანამდებობის პირების დანაშაულებრივი ქმედებების ამსახველი საქმეების ჩაფარცხვით იყვნენ დაკავებულნი.



ცხადია, ორგანიზებულ დანაშაულსა და ეპიზოდურ დანაშაულს შორის დიდი განსხვავებაა და ჩვენ ამ ეტაპზე მხოლოდ ეპიზოდური დანაშაულებების გახსნას ვხედავთ. ასე თუ გაგრძელდა, სისტემურ დანაშაულზე საუბარი აზრს დაკარგავს. სისტემური დანაშაულის არც ერთი საქმე არ დევს დღესდღეობით სასამართლოში.

**— როცა „ნაცმოძრაობის" წარმომადგენლების სს პასუხისგებაში მიცემაზეა საუბარი, უნდა ვახსენოთ ის ადამიანებიც, რომლებსაც სს დანაშაული არ ჩაუდენიათ, მაგრამ ამ დანაშაულობათა წამქეზებლები, ე. წ. იდეოლოგები იყვნენ. მაგალითად, ჩიორა თაქთაქიშვილი, გია ნოდია, მიხეილ თავხელიძე და სხვები. ესენი არ უნდა მიეცენ პასუხისგებაში?**

— იდეოლოგიის გამო ადამიანს ვერ დასჯი, მაგრამ თუ გამოიკვეთება რომელიმე ძალოვანი სტრუქტურის მხრიდან წაქეზების მცდელობა დანაშაულისკენ, მხოლოდ მაშინ შეიძლება ის დანაშაულად ჩაითვალოს.

**— სააკაშვილის დაკავება რამდენად რეალურად გეჩვენებათ?**

— სამწუხაროდ, ეს რეალობად არ მიმაჩნია.

საერთაშორისო საზოგადოება ჩვენ არ გვიყურებს, როგორც შემდგარ დემოკრატიულ ქვეყანას. მათთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელი არაა 10 მილიონს მოიპარავს პრეზიდენტი თუ ოცს. სინამდვილეში, მათ შესანიშნავად იცოდნენ, რას ჩადიოდა აქ სააკაშვილი. მით უფრო, რომ მთელ ამ ფულს იგი საზღვარგარეთ ხარჯავდა.

**— თქვენ ზემოთ ისიც თქვით, ბევრ რამეში კოალიციის წევრების ერთსულოვნება არ შეინიშნებაო. ამიტომაც არ დაერქვა თავისი სახელი წინა რეჟიმის დანაშაულებრივ ქმედებებს?**

— არც შეიძლებოდა კოალიციაში ერთსულოვნება ყოფილიყო. ისინი ბიძინა ივანიშვილმა აირჩია და შეკრა. მათი ინტერესი იყო ბიძინა ივანიშვილის ქოლგის ქვეშ მოკალათება ან რომელიმე სამთავრობო პოსტის დაკავება.

ყველა ვხედავთ, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული პარტიები არიან დღეს კოალიციაში. ისინი ახლოსაც კი არ დგანან ერთმანეთთან პარტიული იდეოლოგიის თვალსაზრისით. მათ შორის წინააღმდეგობები უფრო რომ გაღრმავდებოდა და ყველა დაიწყებდა საკუთარი გუნდის გაძლიერებას, ეს ისედაც მოსალოდნელი იყო. ასე რომ, ასეთი ეკლექტური საზოგადოების ერთობა დიდხანს ვერ გასტანს და დღეს თუ კოალიცია არ იშლება, ისევ და ისევ იმის გამო, რომ კარგად იციან, კოალიციის უკან ბიძინა ივანიშვილი დგას და მას უდიდესი ავტორიტეტი აქვს.

კოალიციიდან რომელიმე პარტია რომც გამოვიდეს, მოსახლეობაში 3%-იანი მხარდაჭერაც კი არ ექნებათ.

დღეს ისინი თითქოსდა უწყინარ გზავნილებს უშვებენ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით — მომავალში ოდესღაც კოალიციის ოპოზიციაში თუ აღმოჩნდებიან, შეახსენონ საზოგადოებას, არ მოგვწონდა მაშინაც, მაგრამ კოალიცია იყო და ვერ ვამბობდითო. ამასთანავე ცდილობენ, რაც შეიძლება დიდხანს გაიხანგრძლივონ ხელისუფლებაში ყოფნა კოალიციის სახით.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ქვეყანაში პრორუსული კი არა პროქართული ძალა უნდა გაძლიერდეს, რომელიც, პირველყოვლისა, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დაიცავს



7 gv.

რაინაში რუსეთს რაღაც პრეტენზიები ჰქონდა და აქვს, რომ ეს მიწები არის მისი, ჩვენს შემთხვევაში, ქართულ მიწებზე რუსეთს პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს, იმიტომ რომ, სხვა სიტუაციაა. ჩვენ მაშინ უნდა გვეთქვა, მოდით, დავაბრუნოთ ის მოსახლეობა აფხაზეთში და მერე ჩავატაროთ რეფერენდუმი და დავემორჩილოთ იმას, რასაც იტყვის ხალხი. მაშინ სააკაშვილს ასეთი წინადადება არავისთვის შეუთავაზებია. დღესაც სააკაშვილის გუნდმა კვლავ ჩაყო ცხვირი იქ, სადაც არ უნდა ჩაეყო და ჩაიყვანა აქედან ის ბოევიკები უკრაინაში, რომლებიც ჰყავდა დათა ახალაიას აქ და ქართველ ხალხს აწვალებდნენ, ძარცვავდნენ და აშინებდნენ. აი, ეს ხალხი ჩაიყვანეს იქ, ემსახურებიან ამერიკის ინტერესებს, ეწინააღმდეგებიან რუსებს და ამით კიდევ უნდათ, რომ საქართველო ჩაითრიონ ამ ომში, რომელიც სულ არ უნდა აინტერესებდეს საქართველოს, რომელიც სულ არ არის საქართველოს საქმე. სააკაშვილის გუნდს სურს დესტაბილიზაცია საქართველოში და ჩვენი ჯარის იქ შეყვანა, თანაც



უნდათ, რომ თავისი ბოევიკები მოამზადონ იქ და გამოიყენონ აქ, თუ, რა თქმა უნდა, მოახერხეს და დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.

**— უდავოა, რომ რუსეთთან ურთიერთობა დათბა და არც ამერიკასთან გაფუჭებულა ურთიერთობა, რამდენად მოსალოდნელია ურთიერთობის კიდევ მეტი დათბობა რუსეთთან?**

— რუსეთს დღეს კარგად ესმის, რა მდგომარეობაა საქართველოში. ასევე მშვენივრად ესმის, რომ საქართველო დღესაც არ არის თავისუფალი და არ შეუძლია გაატაროს თავისი პოლიტიკა. იცის, რა ძალები უშლის ხელს ამის გაკეთებაში საქართველოს, გააზრებული აქვს „ნაციონალების" მნიშვნელობა, ის ზეწოლა, რომელიც მოდის ამ ძალებისგან და, რა თქმა უნდა, გააზრებული აქვს ამერიკის ფაქტორი. იცის, როგორ უშლიან ხელს და არ აძლევენ განვითარების საშუალებას ქართულ პოლიტიკას. მთავარი ის არის, რომ საქართველო დგამს სწორ ნაბიჯებს, ენას არ ატლიკინებს, ტყუილად არ ლანძღავს რუსეთს და არ ბღავის, როგორც ბღაოდა მიშა სააკაშვილის მთავრობა. დღევანდელი მთავრობა ალაგებს სიტუაციას იმ მიმართულებით, რომ რუსეთის ბაზარზე ღვინოც გაიყიდოს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტიც. რუსეთს ისიც კარგად ესმის, რა ფასად დაუჯდა საქართველოს მთავრობას ის ნაბიჯი, რომ მან მხარი არ დაუჭირა იმ ე.წ. სანქციებს, რომელიც ამერიკამ და ევროპამ გამოუცხადა რუსეთს.

**— სააკაშვილი და მისი გუნდი მუდმივად ავრცელებს ჭორებს, რომ რუსეთი მეორე ფრონტს გახსნის და ჩვენ დაგვავრტყამს.**

— ეს დიდი სისულელეა, რუსეთი მსგავს არაფერს აპირებს, პირიქით პოზიტიურად არის განწყობილი, უნდა ურთიერთობების დათბობა. და მე მგონი, თუ გატარდა სერიოზული, აწონილ-დაწონილი და თავდაჭერილი პოლიტიკა რუსეთის მიმართ ეს საქართველოსთვის სიკეთის გარდა არაფერს მოიტანს. და ეს იქნება შანსი ახალი მოლაპარაკებისა და პრობლემების მოგვარების მარტო ეკონომიკური კი არა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისითაც.

**— საქართველოში ამჟამად ძალიან უცნაური ვითარებაა, პოლიტიკური სპექტრი, ფაქტობრივად, არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ორი სერიოზული ძალა. ოპოზიცია გაყინულია, ახალი ოპოზიციის გამოჩენის შანსები მიზერულია. ხომ არ აპირებს ვლადიმერ ხომერიკი შექმნას თავისი საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართელოში, ან მხარი დაუჭიროს რომელიმე უკვე არსებულ პარტიას?**

— სრული სიმართლეა, დღეს საქართველოში რეალური ოპოზიცია ნამდვილად არ არსებობს. „ქართულ ოცნებას" ძალიან მწარე „ოპოზიცია" ჰყავს „ნაციონალების" სახით. რეალური ოპოზიცია, რომელიც იქნება დაინტერესებული, რომ ქვეყანა განავითაროს, მხარი დაუჭიროს ახალ მთავრობას, ანუ დაეხმაროს იმ ძალებთნ ბრძოლაში, რომლებიც ანგრევენ ჩვენ ქვეყანას, არ არსებობს. აი, ასეთი პროქართული ძალის შექმნა არის საჭირო. მე ბევრჯერ მოვისმინე, რომ აი, ჩვენ უნდა შევქმნათ პრორუსული პარტია, ხალხს უნდა რუსეთი და ამიტომო. მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. საქართველოში პრორუსული, პროამერიკული და სხვა ძალები არ არის საჭირო. ერთადერთი ძალაა საჭირო, პროქართული ძალა და ერთადერთი პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე.

**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**



# რუსულ-მეგრული კალენდარი, რუსულ-მეგრული „დედა ენა“ და მანქურთიზმი, რომელიც ენგურს შუაზე ჰყოფს

ზაურ კალანდია

ახლახან ერთი საჩოთირო გამოცემა – 2013 წლის კალენდარი მიჩვენა მეგობარმა.

დავინტერესდი, რამდენიმე დღით ვთხოვე და დამითმო.

კალენდარი 2013 წელს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სად რუსის ჯარი დღესაც დგას, სამურზაყანოშია დასტამბული.

მისი რედაქტორი და გამომცემელი ვინმე სალაყაია გახლავთ.

ბატონი სალაყაია მთლად ვინმე არ არის, სამურზაყანოში გამომავალი გაზეთი „გალი“-ს რედაქტორიცაა.

მართალი გითხრათ, არც ეს არის ტრაგიკული, მეგრული გაზეთი სხვა დროშიც გამოსულა და თუ საჭირო გახდა, ამ დროშიც გამოვა, ალბათ... ეს იმისი ბრალი უფროა, ქართველ სახელოვან მეცნიერებსა და ინსტიტუტებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, მეგრული და სვანური ცალ-ცალკე ენაა თუ დიალექტები... არის ასეთი მოსაზრებაც, რომ მეგრულ-სვანური უძველესი, ანუ პროქართული ენებია და ამ ოქროს საბადოს გონივრული ანალიზი და სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდებათ, ამბობს ბევრი.

„მეგრული ენა – ეს არის მეგრული ენა, ლინგვისტურად არც კილოა, არც დიალექტიო“, – წერს ნიკო მარი.

მე ნიკო მარის უფრო მჯერა ამ საკითხში, ვიდრე ღრმადპატივცემული მეცნიერი ფუტკარაძისა, რომელიც ჯიუტად ამტკიცებს, მეგრული ქართულის დიალექტიაო. მე არ მოვიძიებ და არ ამოვკრიბავ აკაკი წერეთლის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გრიგოლ რობაქიძის თუ სხვათა ნათქვამებს და ნააზრევს ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს ნებისმიერი წერა-კითხვის მცოდნე ქართველისთვის ხელმისაწვდომია.

„მე არც ერთ ენას არ ვწუნობ, თუა ქართული გვარისაო“, – ეს უკვე ვაჟაა!

მმეც მანდა ვარ... საჩოთირო სხვა რამეა და ვეცდები, ავხსნა.

ვთქვათ, ბატონ სალაყაიას მეგრულ-აფხაზური კალენდარი (გნებავთ, გაზეთი...) გამოეცა, მისასალმებელ ფაქტადაც ჩავთვლიდი. მეტსაც ვიტყვი, თუ აფხაზეთზე ვფიქრობთ, საერთოდ, მეგრული ენა საქართველოსა და აფხაზეთს შორის ყველაზე მყარი ხიდია.

მართალია, ბატონ სალაყაიას გვარი და ცოდნა უწყობს ხელს მეგრული გაზეთის გამოსაცემად და გამოსცემს კიდეც... ოღონდ, არა მეგრულ-აფხაზურად, არამედ რუსულ-მეგრულად... ისე, ჩემი დაკვირვებით, მეგრულში უფრო მოიკოჭლებს, ვიდრე რუსულში, ბატონი რედაქტორი! რაც შეეხება აფხაზურს, არ მიწყენს და, გალელ სალაყაიას კი არა, გუდაუთელ ნაღდ აფხაზებს – ნანბებს და წვიშბებს კარგა ხანია, მშობლიური ენა დავიწყებული აქვთ.

„მარგალური დო რუსული ნინეფიშაო“, – აწერია „იანვრის“ პირველ გვერდზე კალენდარს.

საინტერესოა, ბატონი სალაყაია თავად მივიდა ამ აზრამდე რუსულ-მეგრული კალენდარი გამოეცა თუ ვინმემ უკარნახა?

დღევანდელ სამურზაყანოელებს როგორ ვკადრებ, მაგრამ ბატონი სალაყაია და მისი დამქაშები ჩვენ – ენგურსგამოღმელებს (განსაკუთრებით – ცხენისწყალს აქეთ) არც მეგრელებად გვცნობენ და არც ქართველებად.

ქართულმა სახელმწიფომ უმჯობესია, მსოფლიო გლობალიზაციის საკითხებზე ფიქრს თავი ანებოს და საკუთარ (შინაურ) სამზარეულოს მიხედოს... მეცნიერებმა და მწერლებმაც გამოიფხიკონ ყურები, თორემ შეიძლება გვიანი გახდეს. მეგრული ანდაზაა – დანით გასაჭრელს ნაჯახის გასაჭრელად ნუ გაიხდიო!.. ხომ ხედავთ, ბატონმა სალაყაიამ მეგრული კალენდარი გამოგვიცა, ქალბატონმა ნარგიზა ბასარიამ „დედა ენა“ („ჩქინი ნინა“) „გვაჩუქა“, სადაც ერთი ქართული სიტყვა წამლადაც არ არის ნახსენები... სამაგიეროდ, თითოეულ მეგრულ სიტყვას რუსული და ინგლისური ახსნა და განმარტება ახლავს...

მართალია, ჯერხანობით ეს წიგნი („ჩქინი ნინა“) სამურზაყანოს სკოლებში არ შესულა, მაგრამ აკინძულია, საკმაოდ კარგად დაბეჭდილი და... კედელზე დატენილ თოფივით ჰკიდია...




ჩვენ, ქართველებს, მათი ფიქრით (სალაყაია-ბასარიას) ქართველობის მოსურნე მეგრელებს – პირი გვაქვს დაფჩენილი... ვისაც მოსწონს, ხომ მოსწონს, ვისაც არა – იმასაც!

სალაყაია აფხაზია?

ბასარია – მეგრელი...

შეიძლება აქ უადგილოა, მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა... ახლახან იეჰოვას თბილისის ფილიალმა თუ სამეფო დარბაზმა მეგრული და სვანური სახარების (ოთხთავი) თარგმანებით „გაგვახარა“... ტელე-ვერსიაც არსებობს მეგრულად გაწყობილი. რაც შეეხება „სახარებას“, თუ დაინტერესდება ვინმე, რუსთაველის პროსპექტზეც შეუძლია იყიდოს!

გამოდის, ჩვენი მთავრობის გარდა, ჩვენზე ყველა ზრუნავს!

დუგინი ცნობილი რუსი პოლიტოლოგია, გვესარჩლება – მეგრელებს არავის დავაჩაგვრინებო!..ჟირინოვსკი დედით ებრაელია, მამით – იურისტი, მაგრამ სულ ვახსოვართ...

ლავროვი ხომ მთლად ჩვენია – პლეხანოველი სომეხი.

მანქურთებად არ იბადებიან, მანქურთებად ხდებიან...

* * *

უძველესი ერი ვართ...

ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, 2300 წლის ერთიანობის ისტორია აქვს საქართველოს. ეს იდეა პირველად არმაზის ხევში თუ ციხე-გოჯში დაიბადა, შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ისტორიისთვის, მაგრამ არა საციცოხლო იყოს ერისათვის! მთავარია, ამ შეთანხმებას ამერ-იმერის ანუ ქართულ ტომთა გაერთიანება და გამარჯვება მოჰყვა – სახელმწიფო შედგა! მე, როგორც მეგრელს, ამ გაერთიანების მოსანგრე მგონია ჩემი თავი, არც ვინმეზე მეტად ვთვლი თავს და არც ვინმეზე ნაკლებად!.. ასე ვთვლი ჩემს დაჩაგრულ და გონებაარეულ აფხაზ ძმასაც! (რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის მოხდა, მას გამართლება არა აქვს, თუმცა აფხაზ კაცს თუ ჭირისუფალი დარჩა ამ სამყაროში, ისევ მე ვარ, მეგრელ-ქართველი კაცი!). ასე თვლის სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ბევრი სხვა ბრძენი ქართველი მოღვაწე.

ფარნავაზისა და ქუჯის შეთანხმება და ერთგულება – თითქმის თხუთმეტი საუკუნის შემდეგ ისევ კოლხმა კაცმა – ცოტნე დადიანმა თავისი ზნეობრივი გმირობითა და თავდადებით კიდევ ერთხელ და სამუდამოდ განამტკიცა ამერ-იმერის ერთიანობა!

რბილად რომ ვთქვათ, ოცდასამი საუკუნე საკმარისზე მეტია თითოეული კუთხის ნებისმიერი ქართველი თავს მშვიდად გრძნობდეს, ხოლო რომელ კუთხეს რა და რამდენი დამსახურება აქვს სამშობლოს წინაშე ანუ „ვის უფრო უყვარს, ძმანო, მამული“, ეს უკვე ჩვენი ცხოვრების წესსა და




დღევანდელობაშიც ჩანს. თუ ვინმე ახირდება, სიტყვა მაფშალიას ბულბული ჯობიაო, არც ეს არის ტრაგიკული. ეგონოს, ოღონდ, ორივე საკუთრად მიაჩნდეს...

* * *

ძველი ერი კი ვართ, მაგრამ მთლად იმდენისა არა ვართ, ეშმაკზე უფროსი ვიყოთ... ეშმაკი ხომ სამყაროსთან ერთად დაიბადა...

სამი რესპუბლიკა ხომ არის უკვე ჩვენს ტანჯულ მიწაზე... აი, მეოთხისთვის რა ტერიტორიაა მოზომილი, ვერ ვხვდები.

ჯერხნობით სამურზაყანოს უმიზნებენ, ვითომ? რატომაც არა! ბეჭდური სიტყვა არის, ადგილობრივი ტელევიზიაც, „დედა ენაც“... მართალია, ქალბატონი ნარგიზა ქართული ასომთავრულით სარგებლობს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ანბანსაც შეგვიქმნის...

საიდან და ვისგან მოდის ამისთვის ფული, არც ისე ძნელი მისახვედრია. რაღა დაგვრჩენია? დიდი არაფერი! მოკლედ, ერთი ჩემი უფროსი მეგობრის ნათქვამისა არ იყოს: „წინ მივდივართ უკან-უკან...“

* * *

ვხედავთ, პრობლემები არის, ჩვენ თუ ერი ვართ, თუ საქართველოს მომავალზე ვფიქრობთ, მეგრულ და სვანურ ენებს პატრონი სჭირდება. წინა კვირეების „საერთო გაზეთში“, მისი მთავარი რედაქტორის, ჩემი მეგობრისა და კოლეგის ვახტანგ ხარჩილავას ვრცელი წერილის „მარადიული ეჭვმიტანილიდან“ ამონარიდს დავიმოწმებ: „ქართულმა სახელმწიფომ დღეს არ იცის, რა უყოს მეგრულ და სვანურ ენებს, ქართული კულტურის, ქართული სახელმწიფოს ამ ორ უმშვენიერეს ძეგლს, ამ ორ ყველა სიმდიდრეზე დიდ სიმდიდრეს, ამ მარგალიტების სალაროს...“

„მარადიული ეჭვმიტანილიაო“, სამეგრელოზე წერს პოეტი.

ჩვენდა სამწუხაროდ, იმდენად დაკნინებულიყო სამეგრელო, რომ ბრძენი ილიას ფრთიან ფრაზას „სამეგრელოში მოველ და ვნახე საქართველო – ნამდვილი საქართველო“, ბოლო ორ სიტყვას („ნამდვილი საქართველოს“), ჩვენი ვაიმეცნიერები და მოღვაწენი შეგნებულად აცლიდნენ, მეგრელებს მართალი არ ეგონოთ, არ გათამამდნენო თუ არ გაგვიტოლდნენო!

ცუდია, რომ ასე იყო, კარგია, რომ ეს დამოკიდებულება დღეს არ არის!

აქ, ამ მეგრულ კალენდარში ისე გამიზნულად არის შემოცურებული კონსტანტინე გამსახურდიასა და ილია ვეკუას მეგრელობა, რომ ამ ორი ბუმბერაზი ქართველის ქართველობა უნდა ვამტკიცო მე – ზაურ კალანდიამ, მაგრამ ამას მათ წმინდა სულებს ვერ ვკადრებ და ვერც ამ გაზეთის მკითხველს...

კარგად ვიცით, თავის დროზე როგორ დამთავრდა მეგრული ავტონომიის საქმე, ისევ მეგრელმა ლავრენტი ბერიამ დაუსვა ამ საკითხს წერტილი...

ბერიას საქმეების გამართლებისგან ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, ის არავისზე ნაკლები ქართველი იყო და არც არავისზე ნაკლები მეგრელი!..

თავისი კუთხე უყვარდა და საქართველოც.

მაშინ კიდევ ერთ ავტონომიას გადავრჩით...

* * *

ზემოთ ზუგდიდის თეატრში მეგრულად დადგმული სპექტაკლი ვახსენე.

ქალაქ სოხუმში ცხოვრობდა ერთი გამორჩეული კაცი, ცნობილი მსახიობი და რეჟისორი ლეო ჭედია.

ახლახან, ლტოლვილობაში გარდაიცვალა.

წინა საუკუნის ოთხმოციანი წლებია.

სოხუმში ვარ.

ბატონი ლეო მიცნობდა, ჩემს უფროს ძმებთან მეგობრობდა. იცოდა, ჩემი ლიტერატურით დაინტერესება, ორ-სამჯერ ყავაც დაგვილევია ერთად, განსაკუთრებით, თბილისური მწერლური ამბები აინტერესებდა.

ერთხელ ყავას ვსვამთ და ბატონი ლეო მიყვება:

ოცდაორი წლისა ვარ, თეატრალური დავამთავრე თბილისში და ჩავედი ზუგდიდში. მეორე დღეს რაიკომიდან მომადგა კაცი სახლში... ისაკ ჟვანია გიბარებსო. გავვარდი, ბატონი ისაკი მეუბნება, ჩვენს თეატრში პიესა უნდა დადგა, ოღონდ მეგრულად, მეგრულ ენაზეო. ცოტა დავიბენი, მაგრამ უარი არ მითქვამს. ერთი თვე დამჭირდა, გადაჭედილი იყო თეატრი, ლამის ნახევარი სამეგრელო დაასწრეს სპექტაკლს სამ დღეში. რაღაც პატარა ფული მომცეს და წამოვედი თბილისში. მატარებელი გაჩერდა, რკინიგზის ბაქანზე კონსტანტინე გამსახურდია შევნიშნე, კრაველის ქუდშია, ტროსტით ხელში. ჩავუარე, შევხედე, იქნებ მიცნოს-მეთქი, ერთი-ორჯერ მყავს ნანახი ჩვენს სასწავლებელში. მგონი, მიცნო... ეი, შენო... მეუბნება. დიახ, ბატონო კონსტანტინე, – ვუღიმი. შენ ის ბიჭი ხარ, მეგრულად რომ დადგი პიესა ზუგდიდშიო? დიახ-მეთქი... უცებ გაფიცხდა, ტროსტი შემართა მაღლა... უხ, შენი... მეორედ არ გაბედო, თორემ...

გავხტი, თავს ვუშველე...

ბატონი ლეო დიდებული მთხრობელი იყო... ერთხანს პიესის ავტორმა დამაინტერესა, მაგრამ ის ისე, ემოციურად და მოქმედებაში აღმიწერდა ყველაფერს, სიტყვის ჩაგდებაც ვერ შევძელი.

* * *

რაც არ უნდა „ეჭვმიტანილი“ გავხდე თბილისში, ზუგდიდში თუ სამურზაყანოში, მაინც ვიტყვი:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო!
მე ასე მწამდა და მწამს!“

ქალბატონ ნარგიზა ბასარიამდე, 1900 წელს დაიწერა მეგრული „დედა ენა“ დათა აშორდიას მიერ...

1901 წელს დუტუ მეგრელმა ამ ლექსით უპასუხა.

აშორდიას დედა ენა სად გაქრა, ნეტავ?

ეს ლექსი-შედევრი, სანამ საქართველოა, იარსებებს.

რამდენად დიდი მწერალი და ბრძენი იყო ოთარ ჭილაძე, ბავშვობიდან ვიცოდი და ვიცნობდი, თუ თავის ქებაში არ ჩამომერთმევა, ვმეგობრობდით კიდეც...

ახლახან ბატონი ოთარის „ჩანაწერებში“ ამოვიკითხე: „თბილისში ყველაზე მეტად დუტუ მეგრელის ძეგლი გვჭირდებაო!“

დიდი მწერლები მარტო დიდ წიგნებს არ გვიტოვებენ, ისინი იქიდან გვამხნევებენ და გვმოძღვრავენ!..

**P.S. ისეთ თემებზე გვიწევს საუბარი, სოლომონ ბრძენის ხელდასმული რომ იყოს, თითო-ოროლა კაცი მაინც ვერ გადაწყვეტს. აქ იმ ადამიანების (ხალხის) აზრია მთავარი, რომლის სახელითაც, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ვლაპარაკობთ, არც თქვენ ხართ მამელუქებივით ეგვიპტეში გადახვეწილები და არც მე ვარ ვინმე ვენეციელი...**

**ჩვენ იმის საშუალება გვაქვს, შევხვდეთ, ვისაუბროთ, ვიკამათოთ... იქნებ ის მაინც გავარკვიოთ, სად გავჩერდით,რა გვინდა და საით მივდივართ ამ ბედკრული საქართველოს შვილები...**

## უცხოეთის პრესის მიხედვით

# რეფერენდუმების სეზონი

*2014 წელს უკვე უწოდეს რეფერენდუმების წელიწადი. ყირიმის კვალდაკვალ, „ბებერი ევროპა" არჩევნის წინაშეა. ამ შემოდგომაზე შოტლანდიის მოსახლეობა მისცემს ხმას, უნდა თუ არა დამოუკიდებლობა, მოგვიანებით კი — კატალონია.*

**ამ ყველაფერს „ყირიმის სინდრომად" აფასებენ. ზოგიერთი რუსი ექსპერტი მიიჩნევს, რომ კატალონიისა და შოტლანდიის დამოუკიდებლობის აღიარება დასავლეთისთვის ყირიმის რეფერენდუმის ლეგალიზების საფუძველს შექმნის. სხვები ფიქრობენ, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლოა.**

ჩნდება უამრავი კითხვა: რა გავლენას მოახდენს საერთაშორისო ვითარებაზე ევროპულ ქვეყნებში დაგეგმილი რეფერენდუმები, რა რისკს შეიცავს ისინი, შეიძლება თუ არა არსებობდეს პარალელები ყირიმში ჩატარებულ და ევროპაში დაგეგმილ რეფერენდუმებს შორის, მოახდენს თუ არა შოტლანდიასა და კატალონიაში გამართული საერთო-სახალხო გამოკითხვის შედეგები ევროპელთა შეხედულებაზე, რომელიც ყირიმის რეფერენდუმს ეხება?..

რუსეთის მოსახლეობა გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს შოტლანდიისა და კატალონიის რეფერენდუმებს და „გულშემატკივრობენ" შოტლანდიელებისა და კატალონიელების დიდი ბრიტანეთიდან და ესპანეთიდან გამოყოფას. ევროპელთა უმრავლესობას სურს, არსებული სტატუსკვო შენარჩუნდეს, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მთლიანობა არ დაირღვეს და პრეცედენტი არ შეიქმნას.

წარმოვიდგინოთ — შოტლანდიამ და კატალონამ დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადონ, ეს სტიმული იქნება სხვა ქვეყნებისთვის და ბევრი სახელმწიფოს შიდა საზღვრების უცვლელობას საფრთხე შეექმნება. ეს არავის სჭირდება, რადგან ევროზონის დიდ რეგიონებში დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

მსგავსი რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს სადაც გინდა — მაგალითად, ბელგიაში ან იტალიაში, რომლის ჩრდილოეთი ნაწილი კარგა ხანია ცდილობს გამოცალკევებას. სავარაუდოდ, ეს პროცესები ევროკავშირს დიდად არ დააზარალებს, მაგრამ ევროპაში დესტაბილიზაციის დონის მატება ევროკავშირს ირიბად მაინც შეეხება.

რუსეთელ ექსპერტთა ნაწილი იმედოვნებს, რომ შოტლანდიისა და კატალონიის დამოუკიდებლობის აღიარება ყირიმის ლეგიტიმაციაზეც მოახდენს გავლენას. სინამდვილეში, მათ შორის დიდი განსხვავებაა — როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი.




ფორმალური განსხვავება — შოტლანდიაში რეფერენდუმის საკითხზე უკვე დიდი ხანია მსჯელობენ. იგი ჩატარდება აბსოლუტურად გამჭვირვალედ, სანდო და პატივსაცემი საერთაშორისო ორგანიზაციების მეთვალყურეობით.

ყირიმში რეფერენდუმი „ხელის ერთი აქნევით" ჩატარდა, საერთაშორისო კონტროლზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ერთი აზრი ბატონობდა და შეჯიბრებითობა საერთოდ არ არსებობდა. ეს ფორმალური მხარეა.

ყირიმის რეფერენდუმის შინაარსობრივი არსი ასეთია: შოტლანდიასა და კატალონიას შეუძლია დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, მაგრამ ისინი არავისთან მიერთებას არ აპირებენ. ყირიმი კი, გარდა იმისა, რომ უკრაინის შემადგენლობიდან გამოვიდა, მაშინვე რუსეთის ტერიტორია გახდა. სწორედ ამიტომ ლაპარაკობენ ევროპელი ექსპერტები ტერიტორიულ ანექსიაზე.

შოტლანდიასა და კატალონიასთან დაკავშირებით ანექსიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ისინი გამოაცხადებენ დამოუკიდებლობას კოსოვოს მსგავსად. განსხვავება სერიოზულია და ამიტომაც ყირიმთან პარალელები უადგილოა.




აქ კოსოვოს მაგალითის მოხმობა ცუდ პრეცედენტს გვახსენებს — გავიხსენოთ, რა მოიმოქმედა რუსეთმა დასავლეთის ამ ნაბიჯის საპირწონედ — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

### რუსული მშვიდობიანობის კავკასიური ჩიხი

უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ხელს არ უწყობს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წინა წლებში მომხდარი „მიძინებული" კონფლიქტების მშვიდობიანად დასრულებას. იმ ტერიტორიებზე, სადაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის თავიანთი ისტორია და შეიარაღებული კონფრონტაციის, „სადავო" ან „აუღიარებელ" მიწაზე ცხოვრების გამოცდილება აქვთ, არცთუ იშვიათად უჩნდებათ სიმპათია მათ მიმართ, რომლებიც მსგავს გზას ადგებიან. ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა დამანგრეველი ომის სისატიკე და მას გაუძლო, შექმნილ პრობლემებთან გამკლავებას უსურვებენ დამოუკიდებლობისთვის ახლანდელ მებრძოლთ. ადრეულ წლებში, ამა თუ იმ ტერიტორიის თვითგამორკვევის საკითხის ასე თუ ისე გადაჭრის შემდეგ, ცდილობდნენ, ზედმეტად არ ემსჯელათ მასზე. დღესდღეობით, უკრაინული კონფლიქტის ფონზე კი საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოაქვთ „მივიწყებული" საკითხები და მის გადახედვას ითხოვენ. შედეგად, წინა პერიოდისთვის სრულიად წარმოუდგენელ შეფასებებს აკეთებენ.

### დამოუკიდებლობის აჩრდილი

განსახილველ მაგალითად გამოდგება სამხრეთ ოსეთი. იქაური მოსახლეობა გულის სიღრმეში აღიარებს, რომ დამოუკიდებლობა მათ მოულოდნელად დაატყდათ თავს — აფხაზეთთან ერთად. თითქოს საშინელება არც მომხდარა და ეკონომიკური მოდელიც შეიქმნა: სამხრეთ ოსეთს ბედმა გაუღიმა, რომ იგი სამხრეთ კავკასიასთან და იმის იქით არსებულ „დიდ მსოფლიოსთან" რუსეთის დამაკავშირებელ გზაზე მდებარეობს. სამხრეთ ოსეთი გახდა ერთგვარი პორტო-ფრანკო, მისი თანამდევი უპირატესობებით. აქ მიმოქცევაში ერთდროულად იყო რუსული რუბლი და ქართული ლარი, აქედან ყოველ ნახევარ საათში ერთხელ გორისა და თბილისის მიმართულებით გადიოდა მარშრუტკები, ხოლო ვლადიკავკაზისკენ ავტობუსები მიემართებოდა. ყველაფერი ეს უკანონო, მაგრამ ეკონომიკურად დასაბუთებული იყო და ცხინვალში არავის ეთაკილებოდა თავისი ქართული სიმ-ბარათები.

მიღწეული დამოუკიდებლობის შენარჩუნება — საუკეთესო მაჩვენებელია მათი სიცოცხლისუნარიანობისა, რომლებმაც ბედის განგებითა თუ პოლიტიკური ჭირვეულობის შედეგად ამას მიაღწიეს. სოხუმელებს დღემდე შემორჩათ წყენა ქართველების მიმართ — თბილისმა მოახდინა აფხაზეთის დასავლეთისგან იზოლირება და ამით იგი მოსკოვის ხელში ჩასაგდებად გაიმეტაო... არადა, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობას ხომ მრავალი ათწლეულის განმავლობაში დაუფარავად ესწრაფვოდნენ?!

ყარაბაღში ყოველთვის ეამაყებოდათ, რომ მათი აზრის გაუთვალისწინებლად ერევანში ერთ გადაწყვეტილებასაც კი არ იღებდნენ; სინამდვილეში ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. დედა-სომხეთს ზემოდანაც კი დაჰყურებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ — დამოუკიდებლობის პირველ წლებში, ზამთარში მათი რადიატორები ოდნავ მაინც თბებოდა და ეს სომხეთის მოსახლეობის გაყინვის ხარჯზე ხდებოდა. ყარაბაღი არანაირი სახელმწიფო არ გამხდარა — რაში სჭირდებათ მათ რეგიონად ქცევა?! შესაძლო გაერთიანებაზე დისკუსია კი — ფილოსოფიური, ანუ თეორიული მიმდინარეობდა... მხოლოდ და მხოლოდ ყველა სომეხის ისტორიული გაერთიანების კონტექსტში.



### ზღვარი

ახალწარმოქმნილი სახელმწიფოების აუღიარებლობა სინამდვილეში ტექნიკური ხასიათის პრობლემაა და სურვილის შემთხვევაში გადაულახავი არ არის. არ შეიძლება, ახალგაზრდა ქვეყნებმა აუღიარებლობის პოლიტიკას დააბრალონ თავიანთი წარუმატებლობა.

აფხაზეთშიც, ყარაბაღშიც, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთშიც კი არიან რომანტიკოსები, რომლებსაც სჯერათ — თუ სტრატეგიას მოვიფიქრებთ და პატიოსნად ავირჩევთ, ყველაფერი გამოგვივაო. პრობლემა ის არის, რომ ბილ კლინტონიც რომ აირჩიონ სოხუმში, მას მაინც გუბერნატორად მუშაობა მოუწევს, ოღონდ არა არკანზასისა.

უტაქტობაა სტრატეგიაზე ფიქრი, როცა განვითარების დონეს მაინც მოსკოვი ან ერევანი განსაზღვრავს და არა სოხუმი ან სტეპანაკერტი. ამის ფონზე აღარ არის მნიშვნელოვანი, აფხაზეთში გამართული არჩევნები არის თუ არა ნამდვილი პოლიტიკური კონკურენციის ზეიმი; ყარაბაღში კი, პირიქით არის: ეს არჩევნები ისეთია, რომ ხელისუფლების პირველი პირისთვის პრეზიდენტის დარქმევა ერთგვარ ირონიას იწვევს.

აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის გმირობად შერაცხვა სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა მისთვის ფასის დადება. აფხაზი მოხელეების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობას მხოლოდ საოცრების დახმარებით თუ შეძლებენ. იმიტომაც, რომ ახლა ცუდი დრო და არახელსაყრელი კონტექსტია — უკრაინის სახით.

აფხაზეთში ყოველთვის სჯეროდათ — პრეზიდენტი, რომელიც აფხაზეთის სუვერენიტეტს დათმობს, თანამდებობაზე ერთი დღითაც კი ვერ დარჩებაო. ყარაბაღში კი ყველა დარწმუნებულია — სომხეთის შემადგენლობაში რომც შევიდეთ, მეორე დღესვე დაიწყება განმათავისუფლებელი ბრძოლა, ამიტომაც იდეას ნუ გავეკიდებითო.

### რა იქნება შემდეგ?

უკრაინაში მიმდინარე ომმა კიდევ ერთხელ შეარყია პოლიტიკური ზნეობრიობა. რა იქნება შემდეგ? ინერციით ცხოვრება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რესურსი, თანაც საკუთარი.

დემოკრატია მხოლოდ პატიოსანი არჩევნები როდია. უნდა შეგეძლოს მოთხოვნილი თამასა შეინარჩუნო. ახლა ბევრი ფიქრობს, რომ დამოუკიდებლობის გარეშე უფრო იოლი იქნებოდა ცხოვრება. შესაბამისად, რისთვისაც ამდენი საფასურია გადახდილი, თურმე არც ისე აუცილებელი ყოფილა. არც ყარაბაღსა და არც აფხაზეთს დამოუკიდებლობის დაკარგვა ფორმალურად არ ემუქრება; ყარაბაღი ცხოვრობს როგორც სომხეთის რეგიონი და ამას შეგუებულია. აფხაზეთში კი ისევ ელიან, როდის განიხილავენ მოსკოვში ოცი წლის წინანდელ მათ თხოვნას, რუსეთთან მიერთების შესახებ. სხვა რა ქნან, როცა სტრატეგია არ გააჩნიათ და არ იციან, რა იქნება შემდეგ.

**ელზა ნაბახტეველი**

# წარმართული წელიწდეული

## წერილი დომინიკ ინტერკაუფს საქართველოდან



კობა (იაკობ-აბა) არაბული

**დომინიკ ინტერკაუფი, ახალგაზრდა გერმანელი მწერალი და ფსიქოლოგი, დაინტერესდა კობა არაბულის ესსეებით: „ფხოვის საკრალური დრო – ათენგენიდან ყვავთ აღვსებამდე“, რომელიც „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა. შემდგომ მისი ერთი ნაწილი მეცნიერებათა აკადემიამ გამოაქვეყნა სამეცნიერო კრებულში (მცხეთა-მთიანეთზე).**

**კობა არაბულის ესსეებმა გერმანელ მწერალში აღძრა ფხოვისა და, ზოგადად, ქართული კულტურის შეცნობის სურვილი და იგი ხევსურეთშიც აიყვანა. მას სურს, რომ კობა არაბულის ესსე გამოიცეს წიგნად და ითარგმნოს გერმანულ ენაზე, რისთვისაც კულტურის სამინისტროს დახმარება იქნება საჭირო.**

**კობა არაბულის ეს წერილი არის დომინიკ ინტერკაუფის შეკითხვების პასუხი, რომელიც მან ინტერნეტით გადმოაგზავნა. იმასაც დავძენთ, რომ ინტერკაუფმა გერმანიაში წაიკითხა საჯარო ლექციები ამ თემაზე („მითოსის საკრალური დრო და სივრცე კავკასიაში“) და დაბეჭდა კობა არაბულთან საუბრები სპეციალურ გამოცემაში: „წარმართული წელიწდეული“.**

**ბატონო დომინიკ!**

ვიდრე თქვენს კითხვებზე კონკრეტულ პასუხებს გაგცემდეთ, მადლობას გიხდით მოვლენათა სწორად ხედვისთვის. თქვენს კითხვებში ჩანს თქვენი ინტერესი კავკასიის მიმართ, რომელიც ხევსურთა საკრალურ-სარიტუალო ტექსტებში „დედამიწის შუა სამანად“ იხსენიება. ხოლო მკვლევარნი მას 53 ტომის ენათა და რელიგიათა საკრალური კავშირის ქვეყანას და „ენათა მთას“ უწოდებენ: გერმანელი ჰეგელი ბრძანებს, რომ „კავკასიაში არის გონი, რომელსაც შეუძლია ცივილიზაციათა შობა“. ეს გენიოსის მიერ თქმული გენიალური ფრაზაა! და კიდევ: ულამაზესი მთების ქვეყანა ორ ზღვას შორის; ამირანისა და ოქროს საწმისის სამშობლო კავკასიაში აღწევს ადამიანი განვითარების უდიდეს ჰარმონიას და სწორად მიჰყავს მსოფლიოს ისტორია...

რადეც გერმანელი იყო, რომელიც იკვლევდა კავკასიას და, კერძოდ, საქართველოს, მებრახერიც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ის გახლავთ, რომ ისევ და ისევ გერმანელმა ანთროპოლოგმა და ეთნოლოგმა (კულტურათა და რასათა მკვლევარმა XVII ს.) ბლუმენბახმა – თეთრ რასას კავკასიური რასა უწოდა. მან გამოარჩია ურიცხვ თავის ქალათა შორის ქართველი ქალის ულამაზესი თავის ქალა, როგორც ყველაზე მშვენიერი და დახვეწილი დედამიწის ზურგზე, მას ინახავდა და უფრთხილდებოდა, როგორც საკრალურ-მისტიკურ რელიკვიას, მან – ბლუმენბახმა – დაასაბუთა, რომ ევროპაში თეთრი რასა კავკასიიდან არის მოსული!..

ინგლისელი ისტორიკოსი მორტონი წერს, რომ „პირველი მოსახლენი ინგლისისი კუნძულებზე იყვნენ მშვიდობისმოყვარე იბერები“. საგულისხმოა, ტექსტი: „მშვიდობისმოყვარეni“.

ფრანგი მეცნიერი ედუარდ დე მოლიმსი ამბობს, რომ: „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ირლანდიას. ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს მდინარეების და ადგილების სახელები... ეტრუსკები, ისევე, როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებული და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას“...

„რაც ევროპისთვის იყო (და არის) ბერძნული კულტურა, იგივე იყო საბერძნეთისთვის კრეტა-მიკენური ცივილიზაცია“, - წერს მიკენური კულტურის მკვლევარი ჩედვიკი.

მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ პირენეებზე მისული იბერები კავკასიელი იბერები არიან და ეს მოხდა მაშინ, როდესაც კონტინენტი გაიხლიჩა წყნარი ოკეანის წყალთა შემოჭრით ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზში... არსებობს უფრო გვიანდელი გადასახლების ვერსიაც რასათა დიდი გადაადგილების დროს (II-I ათასწლ. ძ.წ.) მიაწერენ.

გაეროს ოქსფორდის უნივერსიტეტის მოტოქონდრიული გენის მკვლევარნი ადასტურებენ და აცხადებენ სენსაციურ ინფორმაციას, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსული... იბერებმა ცხენებით გადალახეს საზღვარი და ევროპის კონტინენტზე 500 წლით შეასწრეს ინდოევროპელებს!..

ევროპელი „შვიდი დის“ კლანებიდან უძველესია „ქსენია/ზენას“, ანუ ქართული მითოლოგიით – „დალის“ კლანი, რომელიც კავკასიაში ჩამოყალიბდა 25 ათასი წლის წინ და ბოლო დიდ გამყინვარებამდე გავრცელდა მთელ ევროპაში... კავკასიაში ცივილიზაციათა და თეთრ რასათა დაბადების ვერსიას ადასტურებს დმანისის უახლესი არქეოლოგიური გათხრები და არაერთი სხვა მასალა და მითი..

ჰეროდოტე ბრძანებს: რომ ტროელმა პარისმა მედეას გატაცების საპასუხოდ წარსტაცა ბერძნებს ელენე... ე. ი. ტროელნი (პელაზგები) და კოლხები ნათესავნი არიან და შურს ერთმანეთისთვის იძიებენ...

ხოლო ჰომეროსის სიტყვით: ტროას დასაცავად ჩავიდნენ „ჰალიბები ოქროსა და ვერცხლის ქვეყნიდან!“. ხალიბები კი ფოლადის შემქმნელი ქართველი ტომები არიან. ეს არ არის დიდი ისტორიკოსის ხელწამოსაკრავი ინფორმაცია.

სტრაბონი ამბობს: რომ კავკასიელ მთიელებს აცვიათ ბუნებრივი ფერებით ნახატი სამოსელი, რომელიც არ ხუნდება და სამოსელთან ერთად ცვდება.

მე შემიძლია კიდევ სხვა, კიდევ არაერთი მეცნიერული ინფორმაციის მიწოდება, რომელთაც მე ვიზიარებ, თუმცა მე უპირატესობას საკრალურ-ეზოთერულ ცოდნას ვანიჭებ, რომელიც მთებში დევს (ინახება).



ბატონო დომინიკ! თუ მერწმუნებით, სწორედ ეს სამოსელი შემორჩათ დღემდე ფხოველ ხევსურებს. საქართველოს ჩრდილოეთის უძველეს პროვინციაში ამ სამოსელს ხადურ-შუმერული და ეგვიპტურ-ბაბილონური ჯვრები და ნიშნები ამკობს უხვად... და მაინც გეთანხმებით, რომ ევროპაში, და ზოგადად, მსოფლიოში მაინც მწირია ინფორმაცია საქართველოს შესახებ, უცნობია ცივილიზებული მსოფლიოსთვის მისი მითოლოგია და აქ „დამარხული“ კულტურათა, რელიგიათა და ენათა საიდუმლო. და ზოგადად, ერთ-ერთი უძველესი ანბანის შემქმნელი რასის გენეზისი... რაც, ჩემის ღრმა რწმენით, განპირობებულია ინფორმაციული ვაკუუმით და „მცირე ერის“ ბედისწერული სინდრომით...



თქვენივე კითხვის პასუხად აქვე დავძენ, რომ ბერძნული კულტურისგან განხვავებით, არამც თუ მცირედ მოიპოვება მითოლოგიური ტექსტები აქ, საქართველოში, არამედ დახუნძლულია უცნობი მითებით. შეიძლება ითქვას, რომ აქ არის გაუხსნელი „ნოეს კიდობანი“. ფხოვის (ხევსურეთის) საკრალურ სივრცეში ღვივის „შუბანის გველის“ ანდრეზი (მითად ქცეული სიბრძნე) და „უხორცო მეომართა“ მითი ქაჯებთან ომზე და კოპალა-იახსარის ომების მითი, სადაც არეკლილია „ტროას ცხენის“ ლეგენდაც და „თაბალხეთებთან“ ომიც! აქ ცხადად დგას მითი – მითში, მოვლენა – მოვლენაში, დრო – დროში, „დიდი – მცირეში და მცირე – დიდში“, როგორც ხევსური ქადაგი ბრძანებს.

ბერძნები სულ მცირე 2000 წლის წინ გამოვიდნენ ცოცხალი მითების სამყაროდან და მითი მათთვის (და გლობალური მსოფლიოსთვისაც), სამწუხაროდ (თქვენივე ფრაზას თუ გავიმეორებთ), მართლაც „სუპერ ჰეროიკული კომიქსების და ჰოლივუდური ზღაპარ-ფილმების მასალად იქცა!.. ბერძნები იმდენად დაშორდნენ მითოსურ დროს, რომ მითი მათთვის ზღაპრად იქცა, ხოლო მითი ქართველთათვის: სვანთათვის, მეგრელთათვის, ფშაველთათვის მთიულ-გუდამაყრელთათვის ცოცხალი რეალობაა, ხოლო ხევსურები პირდაპირ მითში და მითით ცხოვრობენ... ისინი ბრძანებენ: „მითი (ანდრეზი) მართალია, ზღაპარ-ტყუილი!“ ხევსურთათვის ტერმინი „მითი“ არ არსებობს, მითი მათთვის საკრალური ცოცხალი ინფორმაციაა, რომელიც დღემდე მოქმედებს საყმოს სივრცეზე, როგორც შეუმცდარი პროგნოზი მომხდარ და მოსახდენ მოვლენათა შესახებ.

ხევსურეთი კავკასიის „სოლარულ რკალზე“ დგას და ერთგვარ ტაბუირებულ, შეუვალ ზონას ქმნის ხაზაროიდულ-მონღოლურ-სკვითური რასებისთვის. იბერიის ამ ნაწილში, რომელიც ჩრდილოეთიდან არაგვის ხეობით მცხეთას (იბერიის ძველ დედაქალაქს) უდგებოდა, ვერც ერთმა დამპყრობელმა კონკისკადორმა და ფეოდალმა ვერ შეაღწია! აქ დღემდე შემორჩა თემურ-გვაროვნული განვითარებული თანასწორთა სამყაროში სალოცავთა რწმენით გაწონასწორებული ეგალიტარული საზოგადოება!

აქ მოხდა წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი ქრისტემდელი და ქრისტესშემდგომი რწმენათა და მოვლენათა სინთეზი და აკუმულაცია, „ანდრეზულ“ ცოდნათა შენახვა, ანუ „საფარველის დადება“, როგორც „საკრალურ ნაკრძალში“!.

აქ, ფხოვის საკრალურ სივრცეში, შევიდა „ქრისტეს დრო“ პირველსავე საუკუნეში და შეერწყა ფოლკლორულ-მითოლოგიურ ცნობიერებას უძველეს (ქრისტემდელ) რელიგიურ კულტებს და რიტუალებს, რომელიც „მზისა„ და „მთვარის“ რიტუალებში, საკულტო ტექსტებში, მითო-გენურ სიუჟეტებში ახალი ცნობიერების პლასტებად დალაგდა და აისახა ქადაგთა და ხუცესთა ტექსტებსა და რიტუალებში, რაც „მზის მისტერიას“ წარმოადგენს.

ხევსურთა რწმენით: მითი (რომელსაც აქ ანდრეზული ცოდნა ჰქვია) ენერგეტიკულ (დამცავ) ველში აყენებს თემს (ერს), რომელსაც ეს მითოსური ცოდნა აქვს, აწონასწორებს და განსაზღვრავს მათი არსებობის და ცხოვრების წესს და ა. შ. მე შევეცადე, რომ საექსპო-

ზიცით ნაწილი მოკლე ყოფილიყო, მაგრამ უდროობის (ანუ სიჩქარის გამო) მაინც გრძელი გამოვიდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით...

კიდევ ერთსაც დავძენ:

მითის საიდუმლოს ვერ ხსნის და ვერ აცნობიერებს ყველა თაობა, თუ ის უფლის მიერ არ არის ნიშანდებული... და მისთვის არ არის „მიცემული“ საიდუმლო მითოსური კარის (კოდის) გასაღები, რასაც ფოლკლორში „რა მექნას ციხის კარი“ ჰქვია.

ფშავ-ხევსურეთის ცნობიერებაში, ხატოვნად თუ ვიტყვით, ისეა შედედებული მითოსური ცოდნის დვრიტა, როგორც „ოკეანეთა მუსიკა“ წყლის წვეთში, ანუ მდინარეთა დენაში...

ხევსურთა მითოლოგიაზე და ფოლკლორზე კვლევები ჩაატარეს აკადემიკოსებმა: აკაკი შანიძემ, გიორგი ჩიტაიამ და ვერა ბარდაველიძემ, თამაზ ჩხენკელმა, ზურაბ კიკნაძემ, რისმაგ გორდეზიანმა და სხვებმა, მაგრამ ეს შრომა სრულიად „არა კმარ არს“ ჩვენს იდუმალი მითებში შესაღწევად.

გენიალურმა ვაჟა-ფშაველამ შეძლო იქ შესვლა და მერე პირდაპირ გამოსვლა მითოსის კარიდან!

მითოსური სინერგიით აღჭურვილი იყვნენ ძველი თაობის ბრწყინვალე მწერლები: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ოთარ ჭილაძე, ჯემალ ქარჩხაძე.

თანამედროვე (ახალი თაობისთვის) თითქმის დახურულია მითისკარი.

მითში შეაღწია აგრეთვე გენიალურმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ, ანუ მან გადაიღო ვაჟა-ფშაველას პოემები: „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“ (ფილმი „ვედრება“).





* * *

თუ ვირწმუნებთ იმ გარემოებას, რომ ბერძნები სხვათა ცივილიზაციაზე დაემყნენ, რომ ბერძნების წინარე ცივილიზაცია პელაზგურ-კოლხურ-იბერიული იყო და ეს მართლაც რეალობაა, რომ ბერძნებმა თანდათან მოახდინეს (განახორციელეს) ექსპანსია კოლხეთზე (აიეტის დროს, XIII-XIV ს. ძვ.წ.აღ.), ტროაზე (XIII ს. ძვ. წ. აღ.) პარისის დროს და კრეტა-მიკენზე (ანუ მინოსურ ცივილიზაციაზე) ტერაზე ამოფრქვეული ვულკანის გლობალური კატასტროფის შემდეგ XIV ს. ძვ. წ. აღ. მაშინ ცხადი გახდება, თუ როგორ იქცა ამირანი პრომეთედ!.. აგრეთვე პროტობერძნულ კულტურათა შეწოვა ზოგადად და „პაგანიზაცია“! ბერძნები გვიან გაჩენილი რასაა... თვით პლატონი ამბობს, რომ მან ეგვიპტელებისგან მოისმინა ინფორმაცია ატლანტიდის დაღუპვის შესახებ – თავად ბერძნებმა არაფერი იცოდნენ... ხოლო მინოსური ქალაქების ნანგრევებზე ცუნამით და ვულკანური ფერფლით განადგურებული რასის „ჰუმანიტარული“ დახმარებისთვის მხოლოდ ეგვიპტელები შევიდნენ...

ხევსურულ-ფხოვურ მითში კარგად ჩანს, როგორ ებრძვიან კოპალა-იახსარი და ამირანი „ჩაბალ-ხეთებს“ და დორიელ დევებს (ესენი ინდო-ევროპული რასებია, ბერძნები, კიმერიელები, სკვითები, ხაზარები რომელთაც ფხიტუს-საჩალის-კარატესხადუს მწვერვალებიდან უტევენ ფხოველი მეომრები. როგორც ეტყობა, იბერებმა სწორედ კავკასიის გარკვეულ „სოლარულ რკალში“ „მზის ტაძრებთან“ გადაირჩინეს არსებობა: ამირანი სწორედ აქ არის მიჯაჭვული, ანუ შეზღუდული, მაგრამ ბოლომდე მებრძოლი. დანარჩენი სივრცე ექსპანსირებულია მათ მიერ...

ფხოვი, ანუ ხევსურეთი უძველესი იბერიის ის ნაწილია, სადაც ციდან ჩამოდიან „ხვთის შვილები“ საკრალურ მწვერვალებზე და „ხორციელ ადამიანებთან“ ერთად მოქმედებენ... აქ, „ფხოვის საყმოში“ ხდება „ხვთის შვილთა“ ერთგვარი „გამიწრიელება“ და მიწიერ მოკვდავთა – ხვთისშვილთა რანგში ასვლა: ასეთია საკრალური მჭედლის „პირქუშის“ მითი, გახუას ამბავი, რომელიც ხორციდან (გვამიდან) გადის და „ქაჯავეთზე“ (იბერთა ფატალურ მტერზე) სულის ფორმით მიდის ღვთისშვილებთან ერთად და ომში გამარჯვების მერე კვლავ საკუთარ გვამში ბრუნდება, რომელიც დახვრეტილია თაგვებისგან?!. ეს მითი მიანიშნებს იმაზე, რომ იბერებმა რომელიღაცა ცივილიზაციათა ომებში გაიმარჯვეს და აქ, კავკასიაში მოიტანეს და შეინახეს ძველი წარღვნამდელი და წარღვნის შემდგომი (და ქრისტეს შემდგომიც) ცივილიზაციის ნაწილი. ამ მითში რეინკარნაციის ურთულესი მოვლენაც იკვეთება, რაც ცალკე კვლევის თემაა.

* * *

ჩემთვის, როგორც მწერლისთვის და საკრალურ ცოდნათა მკვლევარისთვის, მითოსური დრო მოიაზრება, როგორც ერთიანი ფენომენი, სადაც მოვლენები შედიან და გადიან ერთდროულად მომავლიდან და წარსულიდან! ჩვენი დრო (აწმყო) დილიდან საღამომდე წარსულად იქცევა და ხვალე კარებთან გვიდგას! კაცობრიობის ბედისწერა მისი ისტორიული ცივილიზაცია წარსულში და მომავალში დგას ერთდროულად! ვინც დროის მთლიანობას ვერ გრძნობს და ვთქვათ მხოლოდ აწმყოს ხედავს! მისი ცნობიერება და შემოქმედებაც წყვეტილია და ფრაგმენტული და მოკლებული დროთა და სინერგიას... მითის გარეთ მდგომი „მე“ ვერ ხედავს საკუთარ თავს და რასას დროთა სხვადასხვა განზომილებაში!

მითი ჩნდება და დგება ერის (თემის, საყმოს) ცაზე, როგორც მთვარე: იგი ჩნდება და ქრება, ცხადდება და უჩინარდება და, როგორც მთვარე წყალთა მოქცევაზე და ადამიანთა ბუნებაზე ახდენს გავლენას, ასევე შემოდის მითიდან უწყვეტი „სინერგია“ და უზარმაზარ გავლენას ახდენს შემოქმედის (პოეტის, მხატვრის, კომპოზიტორის) სულიერ „მატრიცაზე“... მითი გაძლევს დროში საკუთარი თავის და მისიის დანახვის სიგნალს! მითისეული დრამატიზმი და ემოცია შემოქმედისთვის შეიძლება გენიალური შედევრის შექმნის იმპულსად იქცეს – მასკულტურით და პოპკულტურით გაჯერებულ სივრცეში...

არა ვარ დარწმუნებული, რომ დღევანდელი ქართული საზოგადოება წვდებოდეს და აცნობიერებდეს მითოსური ცოდნის მნიშვნელობას, ასევე გენიალური ხევსურული პოეზიის არსს (რომელიც აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ გამოსცა 1930-იან წლებში და ახლა გაიმეორა მისმა ქალიშვილმა, დოქტორმა მზექალა შანიძემ), მაგრამ იგრძნობა, რომ ინტერესი თანდათან იზრდება, რაც იმედით აღმავსებს...

მე ვცდილობ, რომ ჩემი პოეზიით და ესსეებით ხელი შევუწყო მითოსური ხედვის გაცოცხლებას, რაც გულისხმობს უცნობი და უახლესი მხატვრული სამყაროს შექმნას და არა ბერძნული მითებივით „ჰოლივუდიზაციას“, ანდა მხოლოდ მითოსური სიუჟეტების გადაწერას.

* * *

თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღევანდელმა გლობალურმა პოპკულტურამ, რამდენადმე გადაუარა და გადაფარა კლასიკური მითოლოგია! მაგრამ კაცობრიობა ვერ გაექცევა საკუთარ ფესვებს და თუ ასე მოხდა, იგი დაიღუპება“ (ამაზე თვითონ მითებივე გვაფრთხილებენ!“ და ეს თქვენ ჩემზე უკეთ უწყით, ბატონო დომინიკ!

დროდადრო კაცობრიობა უახლოვდება და შორდება საკუთარ ისტორიას, შორდება „უფლის საკრალურ დროს“... და თუ მისი „დაცემა“ შეუქცევადი რჩება, იგი ისჯება წარღვნის



ტიპის კატასტროფებით, კოსმიური გლობალური მოვლენებით. ამის დასტურიც არსებობს „ხოგაის მინდიას“ ხევსურულ მითში, როდესაც ცაზე „ორი წითელი მზე დგება“ და სამყარო ინგრევა (იცვლება). შესაძლოა, „ორი წითელი“ მზის დადგომა „ნიბირუს“ გამოჩენას მოასწავებდეს, რომელიც შუმერთა მითოლოგიური ინფორმაციით დედამიწაზე მოვლენათა გადაადგილებას (შესსაძლოა, პოლუსთა ცვლასაც) იწვევს.

* * *

ჩვენ. ბატონო დომინიკ, შემოქმედების და კულტურის, რელიგიის და კოსმოგონიის მსახურთ, უნდა აღვძრათ და გავაღვიძოთ საზოგადოებაში მითოსისადმი ინტერესი, მითოსური ცნობიერება და ხედვა სამყაროში... თუ თაობებს განუწყვეტლად არ მივაწოდეთ საზრდო სულისთვის, ისიც ისევე იფიტება და ხმება, როგორც მცენარე უდაბნოში უწყლოდ... თაობაა ცოდვა თუ მითის გარეშე იზრდება, და თუ აქვს და კარგავს, ან აკარგვინებენ, ეს უკვე დანაშაულია...

* * *

არაგვის ხეობას სტრაბონი „პელორისად“ იხსენიებს, ეს ხეობა ულამაზესია დედამიწაზე (ჩემთვის). ამ ხეობაზე ახლა მცენარეები სხვა დროს ჰყვავიან. მათ კოსმოსიდან „მიიღეს სიგნალი“ და კვირტები გვამცნობენ სამყაროში „დროთა ცვლის“ („მოვლენათა გადაადგილების“) სიმპტომებს, რაც ხევსური ქადაგის ტექსტებშია ნაწინასწარმეტყველევი. მცენარეები და ცხოველები წინასწარ გრძნობენ მოვლენებს, ადამიანები სულ ბოლოს, როცა გემი ჩაძირვას იწყებს...

ამ ტიპის მოვლენაზე მიუთითებს კოლხური მითოსური სიუჟეტი ლექსად გარდასახული ჩემს მიერ:

პირველად თევზი ხედავს მთვარეს – რადგანაც წყალშია,

მერე ირემი ხედავს მთვარეს – რადგანაც მთაშია“ (მთაზეა)

სულ ბოლოს ადამიანი ხედავს მთვარეს – რადგანაც ჭურშია!!!

* * *

მიუხედავად მითოსური ფონისა, ჩემს შემოქმედებაში დღევანდელი ზნეობრივი და ფსიქოლოგიური სენტენციები და მოვლენათა დრამატიზმი ისახება! ადამიანები თვითონ ქმნიან მითს საკუთარი ცხოვრებისას, მითის მიღმა სხვა მითი დგას, ხოლო იმის მიღმა – უფალი! რა თქმა უნდა, მითზე მხოლოდ „სენტენციების“ წერა ნოსტალგიური პათოსია, მაგრამ, როგორც ვთქვი, მითიდან შემოსული უცნობი სინერგია, ისეთივე როგორც წყალი მცენარისთვის... ამიტომაც ჩემი წიგნის ლოგო (რომელიც მალე უნდა დაიბეჭდოს) ასეთია: „პოეზია აღვიძებს მითებს და მითები შობენ პოეზიას!“

მითი გლობალური ცოდნაა და ის, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუშლის შემოქმედებას. მითი ნოსტალგიად კი არ უნდა იქცეს, უნდა იქცეს ჩვენთვის საკრალური ცოდნის საფუძვლად, რომელიც ჰაერივით სჭირდება პოეტს და ყველა ტიპის შემოქმედს.

ამიტომ და ამდენად, მე ვიკავებ „თანამდებობას“, რომელსაც საზოგადოება და მედროვეთა კასტა ხშირად ივიწყებს, მაგრამ უფალი არ აუქმებს!..

**(წერილის I ნაწილის დასასრული. გაგრძელება იქნება)**

# მამა ბასილ მკალავიშვილი: დროა, პატრიარქმა თანამოსაყდრე აიყვანოს...

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან.**

**— მამაო ბასილ, გავიგე, საბერძნეთის წმიდა სინოდმა, რომელსაც დროებით ემორჩილებით, დაგაწინაურათ. გილოცავთ.**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ჩვენთან არს ღმერთი.

გმადლობთ მოლოცვისთვის. როგორც ვიცით, დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით დიდი ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. მონოფიზიტები ყოველნაირად ცდილობენ, მართლმადიდებლები ააცდინონ კანონიკას. მაგალითად, საბერძნეთში არის რამდენიმე სინოდი. თვით ოფიციალური ეკლესია ახალი სტილის მიმდევრები არიან, ანუ, როგორც კათოლიკეები, ისინიც ისე აღნიშნავენ ყოველ დღესასწაულს. ეს კი ფაქტია იმისა, რომ ამით უარყოფენ მსოფლიო საეკლესიო სასწაულებს, რომელიც აღესრულება იულიუსის კალენდრით, ანუ ძველი სტილით. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა წინააღმდგომთა სინოდი, რომლის სამღვდელოება ებრძვის ეკუმენიზმს. ძველ მესტილეთა ორი მძლავრი სინოდი, როგორც მიტროპოლიტ კვიპრიანეს, ასევე მეორე სინოდის თავმჯდომარეს მთავარეპისკოპოს კალენიკეს ჰყავს საქართველოში თავისი სამღვდელოება. ბუნებრივია, აქაც გაერთიანდა ეკუმენიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სამღვდელოება და სინოდის გადაწყვეტილებით, მე დავინიშნე ამ გაერთიანების ხელმძღვანელად. რა თქმა უნდა, დიდი მისია დამეკისრა, მაგრამ დამშვიდებული ვარ იმით, რომ ყველა მღვდელი და მრევლის წარმომადგენლები თავიანთ მოვალეობებს პირნათლად ასრულებენ.

**— მამაო, მართალია, კაზანტიპის ფესტივალი დამთავრდა, თუმცაღა ორგანიზატორებს გრანდიოზული გეგმები ჩაეშალათ. ხომ არ იცით, ვისი გავლენით მოხდა ეს?!**

— გარყვნილებას და უზნეობას საქართველოში სისხლისმსმელმა სააკაშვილმა და მისმა ლეკვებმა დაუდეს სათავე. კერძოდ, გიგა ბოკერია და მისი მეუღლე ხელმძღვანელობენ ყოველივე ამას. ასევე ამერიკის მიერ დაქირავებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია.

კაზანტიპის ფესტივალი ისე ვერ ჩაატარეს, როგორც ტრადიციულად ყირიმში ხდებოდა, მაგრამ იმ სამარცხვინო, უდიდესი ცოდვის ლაქას ვერ ჩამოირეცხავს საქართველოს პარლამენტის ის 150 დეპუტატი, რომელთაც ერთსულოვნად მოაწერეს ხელი უზნეობის კანონს. ასეთი სულიერი დაცემა საქართველოს, ალბათ, არც ახსოვს.



როგორც აღვნიშნეთ, ამორალობის აქტიური გამავრცელებელი სააკაშვილი არის საქართველოში, ხოლო მამათმავალთა და სხვა უზნეოთა უფლებების დაცვა კი ფაქტობრივმა ხელისუფლებამ ოკეანის გაღმელთა დაკვეთით აღასრულა. წარმოიდგინეთ, სადაც ყოვლადწმიდა დედის კვართი ასვენია, სწორედ იქ მოინდომეს ეს სიბილწე. უფალმაც არ დააყოვნა და მოგვცა ნიშანი, თუ კვლავ განმეორდება მსგავსი, ღვთის რისხვა დაგვატყდება. მე მოვუწოდებ მთელ ერს, მართლმადიდებლებს, ეს აღვირახსნილობა პირველი და უკანასკნელი ყოფილიყოს, მსგავსის განმეორება ხელისუფლებამ ვერც გაბედოს, რამეთუ საქართველო მარტო მაგათი არაა, ის ხალხისაა, იმ ადამიანებისაა, რომელთა ოფლით ნაშრომზე ნებივრობენ უღირსი მთავრობის წარმომადგენლები. მეტად მაოცებს მაცხოვრებელთა გულისტკივილი იმის გამო კი არა, რომ როგორმე ხელი შეეშალათ უზნეობისთვის, არამედ გამდიდრებას ელოდებოდნენ. რად უნდათ ასეთი ბინძური გზით მოსული ფული. მე ღვთის მსახური ვარ და დუმილის უფლება არ მაქვს, რამეთუ ამით ღმერთს ვღალატობთ. მართალია, ხიდაშელის თვალთახედვით, საქართველოში ქაჯები ვცხოვრობთ, მარგველაშვილის დიაგნოზით, გონებასუსტები ვართ. მაგრამ სიმართლე უყვარს ღმერთს.

**— იმის გარდა, რომ გიგა ბოკერია ეკლესიის რეიტინგის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს, რამდენიმე დღის წინ ერთ მსახიობს უთქვამს: სანამ ისეთი ხელისუფლება არ მოვა, რომელიც ილია II-ს დაიჭერს, არაფერი გვეშველებაო. რით ახსნით ამ დამოკიდებულებას ეკლესიისა და პატრიარქის მიმართ?**

— ახლავე აგიხსნით. არის ორი კატეგორიის ხალხი. პირველნი, ვინც ებრძვიან ეკლესიას. ისინი ურწმუნონი არიან, ვერ აუტანიათ, რომ ეკლესია ხელისუფლებაზე მაღლა დგას და კრიტიკულ მდგომარეობაში უფლება აქვს, მართოს ყოველივე. ამ კატეგორიას განეკუთვნება გიგა ბოკერია და ძმანი მისნი. ადამიანი რომ მართლმადიდებლებს ქვის სროლას დაუწყებს, კაცს, რომელსაც არა სწამს ჯვარი, ხატი, ეკლესია, მასზე შეიძლება რაიმე სერიოზული საქმის დაკისრება?

მეორე კატეგორიას განეკუთვნება ის ადამიანები, რომელთაც სურთ გადაარჩინონ საქართველოს ეკლესია, ებრძვიან იმ სასულიერო პირებს, რომლებიც სახელს უტეხენ ეკლესიას და სწორედ მათი უღირსი საქციელის გამო ბევრს გული უტყდება და ზურგს აქცევს ეკლესიას.

**— თქვენ რომელ კატეგორიას ეკუთვნით?**

— რა თქმა უნდა, მეორეს, რამეთუ იმთავიდან აქამომდე მოყოლებული, ეკლესიის მოწესრიგებისთვის ვიბრძოდი და არ ვპატიობდი სასულიერო პირებს შეუფერებელ საქციელს. მოჩვენებითი ლოცვა უფალთან არ მიდის. ყოველი ღმრთის მსახური ვალდებულია მთელი რწმენით და არსებით აღასრულებდეს საეკლესიო საიდუმლოებებს. როგორი ასატანია, მარხვაში მღვდელი რესტორანში შედის და ქეიფობს, სიგარეტს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს ეტანება, ან სისტემატურად ლოთობს. ამის შემხედვარე, გარკვეული პიროვნებები ეკლესიაში აღარ შედიან, ბევრი კი სანთლით დაეძებს ჭეშმარიტ მოძღვარს. ჩემთან მოდიან ატირებულნი, განაწყენებულნი სხვა ეკლესიებიდან, იმიტომ რომ, მათ დიდ თანხას სთხოვენ ჯვრისწერაში, ნათლობაში, მიცვალებულთა წესის აგებაში, პანაშვიდების შესრულებისთვის. ზოგიერთ პიროვნებებს ნამდვილად ვეთანხმები, რომლებიც აკრიტიკებენ სასულიერო პირებს და ქვეყნის დალუპვაშიც კი მათ ადანაშაულებენ.

ამ შემთხვევაში მეც იგივე აზრისა ვარ. როგორ, ადამიანი ცხონების გზაზე მოდის და შენ მას ჯიბეში უყურებ, ამას ღმერთი გაპატიებს? ამ გაგებით მეტად მკაცრი ვარ და ვიტყვი, თუ საქართველოს ეკლესია არ მოწესრიგდა და არ დადგა მოწოდების სიმაღლეზე, არ გააკონტროლებს ქვეყანას სულიერი თვალსაზრისით, ნამდვილად არაფერი გვეშველება.

ფაქტობრივად, პატრიარქს დღეს არავინ უსმენს, არ ემორჩილებიან. ყველა სასულიერო პირი თავის ნებაზეა მიშვებული, რასაც მოინდომებენ, იმას აკეთებენ. ამ ფონზე ეკლესია თავის ფუნქციას საერთოდ დაკარგავს, რაც დიდი განსაცდელის მომასწავებელია, ამიტომ დროა, პატრიარქმა, ვინაიდან ის ხანდაზმულია, უნდა აიყვანოს მოსაყდრე, რომელიც სულიერად დააპურებს ერს, მიხედავს დისციპლინას ეკლესიაში.

**— მამაო, საზოგადოების ნაწილი პატრიარქის შეურაცხყოფის გამო სასამართლოში ჩივილს აპირებენ.**



— ჩვენ გვახსოვს რომის პაპი იოანე-პავლე II, რომელიც კათოლიკებმა ღმერთს გაუტოლეს და უცოდველად გამოაცხადეს. მართლმადიდებლები მსგავსს არ ჩავიდენთ, რამეთუ ჩვენ მიწიერნი, ცოდვისგან აღმოცენებულნი, ვერ ვიქნებით უცოდველნი. ამიტომ **ყოველნი, უპირველეს ყოვლისა, ვმონებდეთ მართლაც უცოდველ უფალს, მხოლოს ეს მიგვიყვანს ცხონების სავანეში**.

რაც შეეხება სასამართლოს, ხალხის სასარგებლოდ არაფერი გადაწყდება, რამეთუ ყველა ხელისუფლებას თავის ნოტებზე აწყობილი სასამართლო ჰყავს, სააკაშვილის დროს უღირს სამღვდელოებას და ხელისუფლებას ერთ ხმაზე ჰქონდათ „ჩონგური“ აწყობილი. ერთმანეთის ქებასა და პატივისცემაში იყვნენ, ქვეყანა კი უფსკრულისკენ მიემართებოდა.

**— მიუხედავად იმისა, რომ ბევრს შრომობთ, ვიცი, ყველა გაზეთს კითხულობთ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პრობლემებს თვალს ადევნებთ. თქვენი აზრით, რისი ბრალია ერთმანეთის ლანძღვა-გინება, აგრესია, სიძულვილი რომ დაგროვდა საზოგადოებაში?**

— მართლაც ბევრს ვშრომობთ. სახარება გვეუბნება: საქმემან შენმან გამოგაჩინოსო და ხე ნაყოფით იცნობაო. სასულიერო პირი უნდა იყოს სარკე ერისა. თავისი საქმიანობით მაგალითის მიმცემი, სიწმიდით უნდა უჩვენოს ყველას ცხოვრების გზა. მე, ერთი უბრალო მღვდელი, ყოველთვის იმას ვცდილობ, კეთილი საქმე ვაკეთო, რომ მომავალ თაობას დავუტოვო სულიერი საგანძური. ამიტომ დგას გლდანში 33 მეტრი სიმაღლის გრანდიოზული ჯვარგუმბათოვანი ტაძარი თავისი სამრეკლოთი, რომლის მოპირკეთება ახლახან დამთავრდა და დავიწყეთ ტაძრის შემოსვა.

რაც შეეხება პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პრობლემებს, ვადევნებ თვალს და მეტად მაოცებს დღევანდელი რეალობა, საიდ აქვს ამ ხალხს ამდენი ბოღმა და სიძულვილი. ზოგჯერ ვფიქრობ, გაზეთები საერთოდ არ წავიკითხო. ახლა ვისაუბრებ თქვენი პროფესიის ჭრილში, რამეთუ ინფორმაცია თქვენგან მოდის. ზოგს ავიწყდება, რომ ჟურნალისტობა იოლია, თუმცა, ეს სულაც არ არის ადვილი. არ უნდა იყო მიმკერძოებელი, **ყოველივეს სალი, მართალი თვალით უნდა შეხედო, სიძულვილი და შეურაცხყოფა შორს უნდა იყოს, მით უმეტეს, როცა შეურაცხყოფენ მნიშვნელოვან, ობიექტურ პიროვნებას, როგორიცაა თქვენი რედაქტორი**. წმიდა მამები გვეუბნებიან, ცხოვნების ყველაზე დიდი

17 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# „დაჩაგრული“



## რატომ იშვერენ ხელს „არაფორმალური პირისკენ“ მაშინ როდესაც კონსტიტუციის 73-ე მუხლში პირდაპირ წერია, რომ პრეზიდენტი ვალდებულია საერთაშორისო სახის მოლაპარაკებების საკითხი მთავრობას შეუთანხმოს?

როგორც-კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბოლოოდ გადაწყდა, პრეზიდენტი მარგველაშვილი „კლიმატურ ცვლილებებთან“ დაკავშირებით გაერო-ს სამიტზე აღარ გაემგზავრებოდა, ატყდა პოლიტხმაური, ბოლო-ბოლო, ვინ არის ქვეყნის პირველი პირი, პრეზიდენტი თუ პრემიერიო. პრეზიდენტზე მეტად მისი „გულშემატკივარი ნაციონალები“ ახმაურდნენ, მრგველაშვილის ვიზიტი მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ჩაშალესო. ჩაშლის მექანიზმი როგორ მუშაობდა, ვინ — ვის რა უთხრა და იმან კიდევ ვის უთხრა, ან რატომ, არ ამბობენ, მხოლოდ „დასკვნა-შეფასება“ დაიდო სერგო რატიანის მიერ, რომ სამარცხვინოა, როდესაც არაფორმალური პირის მითითებით იშლება ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი; რომ ეს არის ქვეყნის ინსტიტუციური განვითარების წინააღმდეგ მიმართული ქმედება და სამარცხვინოა მთავრობა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტს არაფორმარული პირის მითითებით ჩაშლის.

„არაფორმალური პირი“ — ვისაც გულისხმობენ, გასაგებია, მაგრამ ის კი ნამდვილად გაუგებარია, რატომ არ იციან საკუთარივე მიღებული კონსტიტუციის ის მცირე ნაწილი მაინც, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ეხება? თუ, იციან და ვინაიდან ფართო საზოგადოებისთვის ვერაფერი სახალისო საკითხავია კონსტიტუცია და შესაბამისად, არც წაუკითხავთ, ჩვეულებრივ შავ პიარს აქვს ადგილი მთავრობისა და კონკრეტულად ღარიბაშვილის წინააღმდეგ?

იმდენჯერ შეიცვალა საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული მუხლები, მართლაც რომ წაეკითხა რიგით მოქალაქეს, მაინც თავგზა აერეოდა, ამდენად, საზოგადოებას ვინმე უნდა აწოდებდეს კანონით გამყარებულ სწორ ინფორმაციას.

**ცალკეულ პირთა არაფრისმთქმელ და დაზეპირებულ სიტყვებზე ადვილი გასაგებია კონსტიტუციის ახალი (ბოლო) რედაქციის მუხლი 73. (15. 10. 2010. №3710 ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)**

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს“;**

როგორც ვხედავთ, ყველაფერი ძალზე მარტივადაა ჩამოყალიბებული, ამდენად, ხმაურს, რომელიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ატყდა და ისტერიის სახე მიეცა, ხელოვნურად თუ არაა გამოწვეული, მაშინ, ცალკეული პოლიტიკოსების კონსტიტუციის უცოდინარობის გამოვლენა ყოფილა...

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გახდა ცნობილი, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იქნებოდა პირველი პირი, ხოლო პრეზიდენტი იქნებოდა წარმომადგენლობითი ფუნქციის მატარებელი, ასევე სერიოზული პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ არა პირველი პირი. (ამის გამო თავის დროზე ხმაურიც კი ატყდა, სააკაშვილი პრეზიდენტი რადგან ველარ იქნება, პრემიერობას უმიზნებს პუტინის მსგავსად და ისევ საკუთარ თავზე მოირგო ქვეყნის პირველპირობაო) ამდენად, „ვიღაც არაფორმალურ პირზე“ საუბარი, ცოტა არ იყოს, შიშისა თუ დაუფარავი სიძულვილის გამოხატულებაა და არაფერი აქვს საერთო პირად კაპრიზებთან, როგორადაც ამას ხატავენ...

მივუბრუნდეთ ბატონი მარგველაშვილის ვიზიტს, ბოლო-ბოლო, სად მიდიოდა, ვის უნდა შეხვედროდა და რატომ? (ვინ იყო ამ შეხვედრების ორგანიზატორი, თემურ იაკობაშვილი თუ იაკობ თემურაშვილი, უკვე მნიშვნელობა არ აქვს და სხვა საკითხია)

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აშშ-ში ვიზიტის ჩაშლამდე, შეთანხმებული იყო პრესიდენტ მარგველაშვილის შეხვედრა მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობასთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორთან.

უცნაურია, მაგრამ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენა არ ჰქონიათ რა თემების განხილვა იგეგმებოდა აწ უკვე გაუქმებულ შეხვედრებზე. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარმოადგენს საქართველოს, როგორც ალტერნატიული მმართველი, ხოლო მსოფლიო ბანკში — როგორც მმართველი. პრეზიდენტის ადმინისტრაციას (ანუ ქვეყნის პრეზიდენტს) ქვეყნის ფინანსთა სამინისტროდან არ გამოუთხოვია არანაირი ინფორმაცია, თუნდაც იმ პოლიტიკის შესახებ, რომელსაც ქვეყანა აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში ატარებს და სხვა, რა მიჰქონდა, ან უკეთეს შემთხვევაში, რა მოჰქონდა? სულაც, შეხვედრის შემთხვევაში, ნეტავ, რა თემების შესახებ უნდა ესაუბრა ფილოსოფიისგან აბსოლუტურად დაშორებულ სფეროს წარმომადგენლებთან?

(ამბობენ, ახლადდაქორწინებულ პრეზიდენტს საჩუქრად უჩალიჩებდნენ აშშ-ში თაფლობის კვირის გატარებას ის მეგობრები, რომლებიც ბავშვობიდან მოჰყვებიან, შემდგომში „ნაცრეჟიმის“ იდეოლოგები იყვნენ, დღეს კი უპირველეს ოპოზიციურ ძალად არიან დაწესებულებიო... გარდა ამისა, ვითომ ამგვარი ხრიკით აშშ-ში წარმოჩინდებოდა ვინ არის ნამდვილი „პირველი ლედი“ და კიდევ ერთხელ შექმნიდნენ უხერხულობას და ერთგვარ მაპროვოცირებელ ილეთს ჩაუტარებდნენ ირაკლი ღარიბაშვილსო; რომ სწორედ ამასვე ემსახურებოდა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლის ფოტოს დადება და შეხედულებისამებრ, ქება ან ლანძღვაო)

ახლა, როცა ვიღაცები მეტნაკლებად რაღაცებში გაერკვნენ, სიომ სხვა მხრიდან დაბერა, „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკა არ არის, საქართველო არის ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკა და ჰყავს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, საპარლამენტო რესპუბლიკაში კი, ნიშნავენო“, — განაცხადა პრეზიდენტმა მარგველაშვილმა და გაწყდა კიდევ ხალხის მოთმინების ძაფი.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ „არაფორმალურმა პირმა“, იგივე ბიძინა ივანიშვილმა იმ დროს რიგითი მოქალაქე მარგველაშვილის კანდიდატურა რომ წამოაყენა პრეზიდენტად, მარგველაშვილისავე ნათქვამი ფრაზის გამო „პლასტელინივით კაცი ვარო“, ხალხმა „პლასტელინა“ შეარქვა, მაგრამ მერე, ხელჩაკიდებული რომ დაატარებდა, ჩემი ხათრით პრეზიდენტად ეს უნდა აირჩიოთო, ქართული მხატვრული ფილმის („ნატვრის ხე“) პერსონაჟთან გააიგივეს და „შემოულაწუნე“ დაარქვეს. დღეს დამდგარა „არაფორმალური პირის“ ხათრით, ფაქტობრივად, პრეზიდენტად მის მიერვე დანიშნული გიორგი მარგველაშვილი და აცხადებს, ხალხის მიერ ვარ არჩეულიაო... — ეს განსჯისათვის, თორემ დღევანდელი კონსტიტუცია რომ ჩამოუყალიბებელი და დასახვეწია, რის გამოც რაღაცები სადავო ხდება, თვით კონსტიტუციის ავტორი (თუ ავტორები) არ უარჰყოფს. (შერეული მმართველობა მხოლოდ საქართველოში არ იწვევს გაუგებრობას, ასე მოხდა საფრანგეთში და ასე მოხდა პოლონეთშიც, მაგრამ ასეთი ამბავი არსად ატეხილა)

მოკლედ რომ ვთქვათ, ბატონ პრეზიდენტს კონკრეტულად რა საქმე ჰქონდა სადღაცებში, მაინც გაურკვეველი დარჩა, მაგრამ აი, სხვებს რა საქმე ჰქონდათ აშშ-ში, მყისიერად გამოჩნდა. საქართველოს საპარლამენტო უმცირესობა სასწრაფოდ შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ვიქტორია ნულანდს. რის შესახებ ისაუბრეს „სტრატეგიულმა მეგობრებმა“? — ერთ-ერთი მთავარი თემა პრეზიდენტ მარგველაშვილის ჩაშლილი ვიზიტი ყოფილა; კიდევ ერთ-ერთი — რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები; კიდევ ერთ-ერთი — ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების განხილვა, უმთავრესი კი ის, რომ „არაფორმალურ პირს“ და მის გუნდს ზიანი მოაქვს საქართველოსთვის — თუ დავუჯერებთ, ასე ამბობს გიგა ბოკერია.

საქართველოს კონსტიტუციაში არსებული შეუთავსებლობისა არ იყოს, უმცირესობის ვიზიტშიც რაღაც აირია, მარგველაშვილი ვის გახსენებია! — უმცირესობის ვიზიტ-საჩივარს აშშ-ში პასუხად მოჰყვა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის მოადგილის მარი ჰარფის განცხადება, სადაც ვკითხულობთ, რომ „ისინი“ შეშფოთებულები არიან საქართველოში ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიებებით და სასხლის სამართლებრივი დევნით; ასევე, იმ რისკებით, რასაც პოლიტიზირებული სამართლებრივი დევნა შეუქმნის საქართველოს დემოკრატიას...

ე.წ დასავლეთის „შეშფოთება“ რას ნიშნავს, კარგად იციან საქართველოში; აშშ-ში რომ გაიქცეოდნენ საჩივლელად სავარაუდო დანაშაულში (არა ერთ) ეჭვმიტანილი პირები — ესეც; (ამ გახსენებაზე, ის რომელი ქვეყნებია, ან ვინ არიან ის პირები, რომელთა შესახებაც საქართველოს ექს-პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა პირდაპირ ეთერში სკაიპით ჩართვისას, ზოგ ქვეყანაში იმიტომ დავდიოდით, რომ ძვირფას საჩუქრებს ვჩუქნიდით ქვეყნის მხარდაჭერისთვისო; ან კარლ ბილდტი როგორა ბრძანდება?)

ყველა — ყველა, მაგრამ გიორგი მაგველაშვილი რატომ მიდიოდა იქ, სადაც მიდიოდა ასე ცარიელ-ტარიელი, რომ ერთი კონსულტაციაც კი არ გაიარა სასაუბრო თემებთან დაკავშირებით იმ კონკრეტული სფეროების წარმომადგენლებთან, მაინც ისეთივე გაუგებარი დარჩა, როგორც მისი ჯერ გაჯინიანება, არავის ხათრითა და მითითებით არ დავქორწინდებიო, მერე კი უცბად იფსკვნა ჯვარი...

**დავით ქავთარია**

**P.S. დაიჩაგრა მარგველაშვილიო — ხშირად გაიგონებთ. არ გადამრიოთ, რა — 1%-იანი რეტინგის მქონე კაცი პრეზიდენტი გახდა და კიდევ ეგ არის დაჩაგრული?**

# სკანდალური ისტორიები კრიმინალური სამყაროს ლაბირინთებიდან



დავით გაგნიძე

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს ინტერვიუს პროფესიონალ სამართალდამცავთან, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.

დავით გაგნიძე: „ადრეც მითქვამს, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ანუ შევარდნაძის მმართველობისას, ქართველი სამართალდამცავები ასე თუ ისე, ნარკოტიკების დიდ პარტიებს მაინც აკავებდნენ, მართალია ტონობით არა, მაგრამ კილოგრამობით „ჰეროინიც“ განსაკუთრებით დიდ ოდენობად ითვლება. „ვარდოსნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ასეთი ფაქტებიც კი არ მახსენდება, ასეულ კილოგრამებზე აღარაფერს ვამბობ. სააკაშვილის რეჟიმის დროს საქართველოში ვითომ შეწყდა ნარკოტრანზიტი? არაფერი ამგვარი, უბრალოდ ნაცხელისუფლებამ უსინდისობაში შევარდნაძის ხელისუფლებასაც კი ბევრად გაუსწრო, რომელსაც საზოგადოებისადმი გარკვეული მორიდება მაინც ჰქონდა. შევარდნაძის მმართველობისას, როდესაც საზოგადოების ინტერესი იზრდებოდა ამ საშინელი სენის, ნარკომანიის მიმართ და ხელისუფლებას უმოქმედობაში სდებდნენ ბრალს, მაშინვე ხან შსს და ხანაც უშიშროების სამინისტრო „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე ამოიღებდნენ ხოლმე ხუთ კილოგრამზე ცოტა მეტ „ოპიუმს“ (ეს წონა საოცრად „მოდური“ იყო 90-იან წლებში). ნაცბანდას ესეც არ სურდა, რადგან „ჰეროინი“ „ოპიუმზე“ გაცილებით ძვირი ღირს, თანაც მათ „თავისიანის“ გაშიფვრა არ უნდოდათ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებს პირდაპირ აუკრძალეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციების რეალიზება (დამნაშავე პირის დადგენისა და დაკავების ღონისძიება) და ყველაფერი სპეცოპერატიულ დეპარტამენტს (სოდ-ი) დაუქვემდებარეს. რატომ? იმიტომ, რომ მათი „მოღვაწეობა“ არ გაშიფრულიყო, არავის სცოდნოდა მათი ნარკორეალიზატორების ვინაობა, რომლების ლიკვიდაციაც მოგვიანებით, ანუ არჩევნების შემდეგ მოახდინეს. ოფიციალური ინფორმაციით, ისინი თურმე სხვადასხვა ავადმყოფობების შედეგად გარდაიცვალნენ, ეს არის სრული აბსურდი, რა მოკლავდა უაღრესად ჯანმრთელ ყოფილ პოლიციელებს. ეს აბსურდის თეატრი იქამდეც კი მივიდა, რომ ნაცხელისუფლებამ ზოგიერთ ქვეყანასთან, რომელშიც სასტიკად ებრძვიან ხსენებულ საშინელ სენს, მაგრამ მაინც რჩება ავღანური „ჰეროინის“ ერთ-ერთ მსხვილ ტრანზიტულ ქვეყნად, უვიზო მიმოსვლა შემოიღეს (იგულისხმება ირანი, რომელთანაც საქართველომ 2010 წელს გააუქმა სავიზო რეჟიმი – მ.ს.). ნაციონალების უკრაინის „ნარინჯოვან“ ხელისუფლებასთან „ჩახუტებაც“ ამ „ოპერიდანაა“, თურქეთში საერთაშორისო ანტინარკოტიკული ცენტრის გახსნის შემდეგ ეს ნარკოდერეფანი ფაქტობრივად ამოიკეტა და ნარკოტიკის ევროპაში გასასვლელად სხვა გზა მოიძებნა.

ამის დამადასტურებელ ფაქტებსაც მოგიყვანთ, რაზეც 90-იანი წლების ბოლოს ქართულ პრესაშიც იწერებოდა. 1999 წლის ზაფხულში თურქეთში, კონტრაბანდის ბრალდებით საქართველოს ექვსი მოქალაქე დააკავეს. ამის გამო სარფის საბაჟოზე თურქი სამართალდამცავები და მებაჟეები გამკაცრებული რეჟიმით მუშაობდნენ. თურქეთს 12 სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აქვს, ამ ქვეყნის საბაჟო სამსახურის ცნობით, ერთ წელიწადში დაკავებული კონტრაბანდის 60% სწორედ სარფის საბაჟოზე მოდიოდა. მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში თურქეთის პოლიციამ საქართველოდან გამავალი 488.000 აშშ დოლარის ღირებულების კონტრაბანდა ამოიღო. სარფის თურქულ ტერიტორიაზე რეჟიმის გამკაცრების საფუძველი წინა წელს (1998 წ.) ამ საბაჟოდან „გაპარული“ დიდი რაოდენობის „ჰეროინის“ აღმოჩენაც გახდა. სარფის თურქული საბაჟოს დაცვის უფროსი იუსუფ დინჩი აცხადებდა, რომ მათ 480 კგ. „ჰეროინი“ დააკავეს, რომლის საბაზრო ღირებულება 20 ტრილიონ თურქულ ლირას (49 მილიონი აშშ დოლარი) შეადგენდა. სხვათა შორის, ამავე სტატიაში ძალზე საინტერესო კვლევაც იყო გამოქვეყნებული, განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული შესაბამისი კვლევებით დადგენილია, რომ გამოვლენილი კონტრაბანდული ნარკოტიკი, რეალურად გატარებული ტვირთების მხოლოდ 10%-ს შეადგენს. თუ დავუშვებთ, რომ საქართველოშიც ისეთივე მაღალი ხარისხის კონტროლი არსებობს, როგორიც გერმანიაშია, გამოდის, რომ ჩვენს ტერიტორიაზე 490 მილიონი დოლარის ღირებულების „ჰეროინმა“ გაიარაო. უცხოეთში ჩატარებული კვლევებით ისიც დადგინდა, რომ სატრანზიტო ქვეყანაში კონტრაბანდული წესით გატარებული ნარკოტიკების 5-10% ადგილობრივ ბაზარზე ილექება. საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი ბუნებრივია, ნარკომაფიისთვისაც ძალზე მიმზიდველია და ყოველთვის იყენებდა. პრესაში ისიც დაიბეჭდა თუ როგორ ამოიღო ქართულმა პოლიციამ 1998 წლის გაზაფხულზე თურქეთში მიმავალი უზბეკური ბამბიდან შვიდი მილიონი დოლარის ღირებულების „ჰეროინი“, ოღონდ ამ შემთხვევაში ინფორმაციის მიმწოდებელი უცხოური სპეცსამსახურები იყო. ხსენებული ტვირთი ცნობილ ბამბით მოვაჭრეს ტუაფ მისკავილს ეკუთვნოდა. ქართველმა სამართალდამცავებმა ეს ფაქტი ოფიციალურად არ დაადასტურეს, თურქული გაზეთი „ქარადენიზი“ კი აცხადებდა, რომ ამ ოპერაციას ინტერპოლი ახორციელებდა, თუმცა ინტერპოლის შეფები ამტკიცებდნენ, ჩვენი ხალხი ამ ოპერაციაში არ მონაწილეობდაო. სიმართლე გითხრათ, ამ ოპერაციის შესახებ შსს-ს თანამშრომლებმაც არაფერი ვიცოდით, იმდენად გასაიდუმლოებული იყო ყველაფერი, მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის, როგორც იტყვიან ჭორის დონეზე იყო საუბრები სამინისტროში, რაც შემდეგ პრესამაც დაადასტურა. კითხვა არ გიჩნდებათ, საიდან გაიგეს ჟურნალისტებმა ამ ოპერაციის შესახებ, ხომ აშკარაა, რომ შიგნიდან მიაწოდეს ეს ინფორმაცია. ინფორმაციის „მიმწოდებელი“ ცხადია, დაპირისპირებული მხარე იყო, მაგრამ ეს ცალკე საუბრის თემაა. დავუბრუნდეთ ხსენებულ საგაზეთო პუბლიკაციებს. ნარკოტიკის ამოღების ფაქტს დაემთხვა სარფის საბაჟოს ყოფილი უფროსის შუქრი თურმანიძის საკმაოდ საეჭვო ბრალდებით დაკავება, მას იარაღის უკანონოდ ტარებასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას ედავებოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, მაშინ თურმანიძეს პირად ანგარიშზე სწორედ შვიდი მილიონი დოლარი ჩაერიცხა. ჟურნალისტი კითხვას სვამდა, როგორ მოხვდა სარფის საბაჟოზე ამხელა ოდენობის ნარკოტიკი, აშკარაა სამართალდამცავების გარეშე ეს „ტვირთი“ სარფამდე ვერ ჩააღწევდა, საქართველოს უცხოეთთან რამდენიმე სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აკავშირებს და საკითხავია როგორ კონტროლდება ეს პუნქტები და თვითინ ადგილობრივი მაკონტროლებლები. საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ ძალოვანი სტრუქტურები დღემდე (90-იანი წლების ბოლოს) რჩებიან ნარკომაფიის მფარველად თუ არა, ხელშემწყობად მაინც. ეს მოსაზრება საფუძვლიანია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ნარკოტიკებით დატვირთულმა ბამბამ ყოველგვარი შეფერხების გარეშე, სარფამდე მიაღწიაო.

**- ბატონო დავით, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნდა სტატიები, სადაც კომპეტენტური, სანდო წყაროები საუბრობდნენ, რომ აჭარის მაშინდელი ლიდერი ასლან აბაშიძეც იყო გარკვეულწილად ჩართული ნარკობიზნესში, გამორიცხულია ამ ადამიანს არ სცოდნოდა მის ასე ვთქვათ, სამოქმედო ტერიტორიაზე რა ხდებოდაო. წყაროს განცხადებით, პანკისის ხეობასთან დაკავშირებით იმიტომაც იყო ამხელა აჟიოტაჟი ატეხილი, რომ რეალური ნარკოტრეფიკიდან ყურადღება ჩამოეცილებინათ.**

- ამ მოსაზრებებს მეც ვეთანხმები, პანკისში მართლაც იყო ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, მაგრამ იმ დოზით ნამდვილად არა, რაზეც საუბრობდნენ. 90-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნებულ იმ საგაზეთო სტატიებში, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, ეს თემაც საკმაოდ ფართოდ იყო გაშუქებული, ნარკოკონტრაბანდის შემთხვევაში სარფის საბაჟოს ნამდვილად პოლიტიკური დატვირთვა აქვს, უმთავრესია ის გარემოება, რომ საბაჟოსაც და საზღვარსაც ასლან აბაშიძეზე დაქვემდებარებული ხალხი აკონტროლებს. „აჭარის ლომმა“ ხსენებული საბაჟო იმ დონემდე მაინც უნდა გააკონტროლოს, რომ სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბამბაში ჩამალული „ჰეროინი“ მაინც არ „გაეპაროთ“. ასლან აბაშიძის პოზიცია, რომ „აჭარა საბაჟოს გეგმას გადაჭარბებით ასრულებს“, დოკუმენტურად მტკიცდება თურქეთის ოფიციალური წრეების სტატისტიკური მონაცემებით, სარფის საბაჟომ კონტრაბანდის გეგმას სხვა „მეზობლებთან“ შედარებით, ბევრად გადააჭარბაო. თურქეთის საბაჟო სამსახურის მიერ გაზეთ „ქარადენიზში“ გამოქვეყნებული ცნობების მიხედვით 1998 წელს თურქეთის საზღვრებზე დაკავებული კონტრაბანდის საბაზრო ღირებულებამ 85 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან მხოლოდ სარფში დაკავებული კონტრაბანდის წილი 52 მილიონი დოლარი იყო. თავის დროზე ოფიციალურმა ბათუმმა ამ გაზეთის („ქარადენიზი“) კომპეტენტურობაში და პროფესიონალიზმში ეჭვი შეიტანა, იქ გამოქვეყნებული ცნობები სიმართლეს არ შეესაბამებაო. ზემო ხსენებული იუსუფ დინჩი სარწმუნო წყარო კი არა, მოქმედი პოლიციელი იყო, რომელიც ვინაობას არ მალავდა, თუ იტყუებოდა, პასუხი მოეთხოვათ. იმ ორი კვირის განმავლობაში, როცა 1999 წლის ზაფხულში გაძლიერებულ ღონისძიებებს ატარებდნენ თურქი სამართალდამცავები და მებაჟეები სარფის საბაჟოზე, მრავალფეროვანი კონტრაბანდული ტვირთები დააკავეს, ვერცხლის ნაკეთობები, ჩარხები, სამშენებლო დანადგარები, ამწე ანძაც კი და ა.შ.

ჰეროინიანი უზბეკური ბამბის დაკავებიდან რამდენიმე თვეში, 1998 წლის ოქტომბერში ათკაციანი ჯგუფი დააკავეს ნარკოტიკის „იმპორტის“ ბრალდებით. დაკავებულთა შორის აჭარის კრიმინალური პოლიციის უფროსი მერაბ მეფარიშვილიც გახლდათ, რომელსაც ნარკოტიკები მაცივარში, სამუშაო მაგიდასა და ტანსაცმლის კარადაში აღმოუჩინეს. ფაქტობრივად, ეს უკვე მეორე მაღალჩინოსანი იყო. შუქრი თურმანიძეს ოფიციალურ ბრალდებად იარაღის უკანონო ტარება და უფლებამოსილების გადამეტება დაუტოვეს. დღემდე საეჭვოა რისთვის დაჭირდათ სარფის საბაჟოს უფროსის „გაფუჭება“ მხოლოდ იარაღისთვისო. მეფარიშვილის დაკავებაზე კი გაზეთის მხრიდან ასეთი კომენტარი კეთდებოდა, სრულიად მოულოდნელად კრიმინალური პოლიციის უფროსი დააპატიმრეს, რომელზეც ბათუმიდან მიღებული ინფორმაციით, უშიშროების სამსახურს კარგა ხანია ჰქონდა „ნაკოლი“, ამ სამსახურზე კი ხშირად გაისმის ბრალდებები, რომ ნარკომაფიას მფარველობს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ საქართველო ნარკოტრანზიტული ქვეყანაა და სამართალდამცავებს მასში აქტიური როლი უკავიათ. ოფიციალური ბათუმი საგულდაგულოდ მალავს ინფორმაციას, თუ რა რაოდენობის ნარკოტიკი შემოიტანა იმ ათკაციანმა ჯგუფმა, რომლის ერთი წევრიც აჭარის მნიშვნელოვანი თანამდებობის პირია. კრიმინალური პოლიციის უფროსის თანამდებობა იმდენად მაღალია, რომ მისი დაკავებით ქულებს ჩაიწერს ასლან აბაშიძეც და ჯემალ გახოკიძეც (უშიშროების მაშინდელი მინისტრი), ამასთან დაკავშირებით ჩნდება აზრი, „კრიშების“ გადასარჩენად



გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

„ღლავებს“ ხომ არ აპატიმრებენ?

**- ეჭვი არ მეპარება, რომ ამ პუბლიკაციებში სიმართლეა ასახული, მაგრამ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორების გავლენა აშკარად იგრძნობა. რატომღაც „ვარდოსნების“ მმართველობის პერიოდში არ მახსოვს თუნდაც ამ გაზეთის მხრიდან ასეთი საინტერესო კვლევები სააკაშვილის სამართალდამცავებთან დაკავშირებით. სააკაშვილის მმართველობისას ხომ ნარკოტრანზიტი შემცირების მაგივრად, გაცილებით გაიზარდა და საქართველოშიც ნარკომომხმარებელთა რაოდენობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია?**

- ვფიქრობ, ეს საკითხი ჩემი განსჯის საგანი არ არის, ყველა თავისი სინდისის წინაშეა პასუხისმგებელი. დავუბრუნდეთ ჩვენი ინტერვიუს ძირითად თემას, ნაცბანდამ გაითვალისწინა ყოველივე ზემოთქმული თურქეთთან დაკავშირებით და უკრაინაში დაიწყო ძრომიალი, მით უმეტეს, რომ თურქეთში უკვე გახსნილი იყო ანტინარკოტიკული ცენტრი. „პირველი მერცხლები“ რასაკვირველია, მიხეილის „ნაცადი ლომები“ იყვნენ სოდიდან. ცალკე თემაა ნაციონალების მმართველობის ბოლო პერიოდში შემოტანილი „სუბოტექსი“ (რომელიც ახლა ე.წ. ბიომ ჩაანაცვლა – მ.ს.), ამ „იმპორტის“ მიზეზი ორი ფაქტორი იყო, პირველი, რომ ჩვენი მოსახლეობა საგრძნობლად გაღარიბდა და აღარ შეეძლო დიდი თანხების გადახდა, აქ არ ვგულისხმობ ნაცბანდის წევრ ნარკომომხმარებლებს და მეორე, ყურადღების გადატანა უნდოდათ ევროპაზე, რათა ჩრდილში დარჩენილიყო ავღანეთი. დააკვირდით, ჩვენთან ყოველგვარი სახელისუფლებო ცვლილება შემოდგომაზე ხდება, „დიდმა“ მიხეილმაც ხომ შემოდგომამდე გადასწია თავისი „სასწაულებრივი“ მმართველობის პერიოდი, ეს შემთხვევით არ ხდება. 2014 წლიდან იწყება ავღანეთიდან ნატოს ჯარების გაყვანა, 2013 წლის „ყაყაჩოს“ მოსავალი სანამ არ „დაბინავდება“, რაც შემოდგომამდე არ მოხდება, ამ კუთხით რაიმე „ცვლილებებს“ არ უნდა ველოდოთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მთელ მსოფლიოში პროცენტულად ყველაზე მეტი ნარკომანი იმ ქვეყანაშია, რომელშიც ნარკოტრანზიტის მაღალი მაჩვენებელია. ბოლო ხანს მსოფლიო პრესაში ჩნდება ინფორმაციები, რომ უკანასკნელი ეკონომიკური კრიზისის დროს მსოფლიოს მსხვილი ბანკები ნარკომაფიის ფულმა გადაარჩინა, ე.ი. ლამის მთელი მსოფლიოა ჩართული ნარკობიზნესში. ავღანეთსა და ვიეტნამში მიმდინარე ომები სწორედ „ოპიუმს“ უკავშირდება.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის 50-იან წლებამდე მხოლოდ სამმა ქვეყანამ, ინგლისმა, აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა შეძლო სწრაფი ტემპებით მოეხდინათ ინდუსტრიალიზაცია, ინგლისმა და ამერიკამ ეს ჩაის, ყავისა და „ოპიუმის“ მეშვეობით განახორციელეს, ხოლო საბჭოთა კავშირმა იაფი მუშახელის ხარჯზე. მკითხველმა თავად განსაჯოს, რომელია ნაკლები ბოროტება. ნარკოტიკების თემაზე უმნიშვნელო საუბარიც კი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაგვიყვანს, ეს არ არის შემთხვევითი, რადგან სწორედ საქართველოს გავლით მიედინება „ჰეროინის“ დიდი პარტიები ევროპისკენ, სწორედ ჩვენს ქვეყანაში მატულობს საგრძნობლად მისი ფასი, საქართველოს გავლით „ჰეროინის“ ფასმა შეიძლება სამჯერ მოიმატოს. პრესაში გამოქვეყნდა ექს-გუბერნატორ ცეზარ ჩოჩელის კომენტარი, რომ თურმე ახალი ხელისუფლება მას ებრძვის, მისი ბიზნესის განადგურება უნდათ და იმიტომ აღმოუჩენიათ „ზედაზენის“ პროდუქციით დატვირთულ ავტომანქანაში 85 კგ ნარკოტიკი, რა შეფასება უნდა გაუკეთო ჩოჩელის ამ ნათქვამს? თუ მართლა გებრძვიან, 5 კგ „ჰეროინს“ „ჩაგიდებდნენ, არ გეყოფოდა? იმ საგაზეთო სტატიაში ისე წერია, რომ თითქოს ეს ნარკოტიკი საქართველოდან პირდაპირ ბელორუსიაში მოხვდა და იქიდან ლიტვაში შედიოდა. კი მაგრამ, ბელორუსიაში პირდაპირ როგორ მოხვდა, რომელიც საერთოდ არ გვესაზღვრება, შემთხვევით უკრაინიდან ხომ არა? სწორედ უკრაინიდან ნაწილდება საქართველოდან გასული ნარკოტიკი, ნაწილი ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებში, ნაწილი კი ჩეხეთში, საიდანაც შემდეგ დანარჩენ ევროპაში ნაწილდება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სოდ-ს თვეების განმავლობაში უკრაინაშიც ყავდა თავისი პირადი წარმომადგენელი მჭედლიშვილი, რომელიც უკრაინელ კოლეგებს კრიმინალებთან ბრძოლის „ქართულ მეთოდებს“ უზიარებდა. საერთოდაც რატომ იყო, რომ მიხეილ სააკაშვილი „ვარდები რევოლუციის“ მოხდენისთანავე ეცა აჭარას და მანამდე არ დაანება თავი, სანამ ასლან აბაშიძე იქიდან არ გააქცია? სიმართლე გითხრათ, არც აბაშიძე იყო გაუსვრელი, მაგრამ სააკაშვილთან შედარებით ანგელოზი აღმოჩნდა. „დიდი“ მიხეილის ამ გაცხოველებულ ინტერესს ერთი მიზეზი ჰქონდა, ეს იყო ზღვა, რომელიც კონტრაბანდასთან და აღურიცხავ საქონელთან ასოცირდება, თუმცა სააკაშვილს კონტრაბანდულ საქონელში ძირითადად ნარკოტიკი და იარაღი აინტერესდება. ნარკოტიკები ეს უზარმაზარი ფულია, ყველა სახის ნარკოტიკული ნივთიერების დიდი ოდენობით ტრანზიტს და შემდგომში მის რეალიზაციას გარკვეული სახელმწიფოების სპეცსამსახურები აწარმოებენ, თან ისე, რომ პირველ წყარომდე ვერასოდეს მიხვალ. ვგულისხმობ მტკიცებულებებს, თორემ ოპერატიული ინფორმაციით და ანალიზით კი მიხვალ, მაგრამ მტკიცებულებების მოძიებას რომ დაიწყებ, ისეთ უხილავ, მონოლითურ კედელს შეეჯახები, რომ გაოგნდები. ამ სპეცსამსახურებში ჭკვიანი, გამობრძმედილი ხალხი მუშაობს, მათ გათვითცნობიერებული აქვთ, რომ თუ ნარკოსფეროს თვითონ ვერ გააკონტროლებენ, ნარკოტიკები მაინც იპოვნიან უკონტროლო პატრონს, რაც ძალზე სახიფათოა მათი ქვეყნების „ინტერესებისთვის“. ერთი სიტყვით, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ოფიციოზი და კრიმინალური სამყარო ხელიხელ გადახვეულები მიდიან ცხოვრების მრუდე გზაზე, მით უმეტეს, რომ ფულს სუნი არ აქვს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ნებისმიერი ნარკოტიკისა და მისი დიდი ოდენობით ტრანზიტის შესახებ ინფორმაციას ვერ მიიღებ, თუ დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირი არ გაგაჩნია.



ნარკოტრანზიტს უკავშირდება 1993 წლის ზაფხულში მომხდარი მკვლელობა („საერთო გაზეთი“ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე წერდა – მ.ს.) ოფიციალური ინფორმაციით, 1993 წლის 8 აგვისტოს, თბილისი-ყაზბეგის ავტომაგისტრალის მონაკვეთზე, სოფელ ნატახტართან ნასროლმა ტყვიამ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს თანამშრომელი ფრედ ვუდროფი იმსხვერპლა. შს სამინისტრომ „ცხელ კვალზე“ გატარებული ღონისძიების შედეგად ანზორ შარმაიძე დააკავა. რამდენადაც ვიცი ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიურო დღესაც აწარმოებს გამოძიებას და ამ საქმისთვის მილიონობით დოლარიც დაიხარჯა. ავტომანქანა „ნივას“, რომელშიც ვითომდა ვუდროფი მოკლეს, ედუარდ შევარდნაძის დაცვის მაშინდელი უფროსი ელდარ გოგოლაძე მართავდა. ამერიკელების თქმით, ერთდროულად ორი ტრაგედია მოხდა, ადამიანის მკვლელობა და უდანაშაულო ადამიანის გასამართლება-დასჯა. ოფიციალური ვერსიით, შარმაიძის ნასროლი ტყვია თითქოს ჯერ „ნივას“ მოხვდა, ხოლო შემდეგ ვუდროფს, თუმცა ავტომანქანის დათვალიერების შედეგად, რაც თავად ამერიკელებმა განახორციელეს, ავტომანქანაზე დაზიანების კვალი არ აღმოჩნდა. ეს ნატყვიარი მოგვიანებით თავად შექნა ძიებამ, ამას გარდა, ყველა საბუთი იმაზე მეტყველებს, რომ ვუდროფი გაცილებით ადრე იყო გარდაცვლილი, ვიდრე ეს ოფიციალურად გამოცხადდა.

**- ანუ ნატახტარის ინციდენტის დროს ის უკვე მკვდარი იყო?**

- დიახ, ამ ფაქტზე ბევრი გარემოება მიანიშნებს. ვფიქრობ, ის ორი ქალბატონი, რომლებიც ოფიციალური ინფორმაციით, ხსენებული ინციდენტის დროს გოგოლაძესა და ვუდროფს ახლდნენ, იქ საერთოდ არ ყოფილან. ანზორ შარმაიძე მაშინვე დაიჭირეს და მრავალწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, იგი 2001 წელს ციხიდან გაიქცა, მაგრამ დაახლოებით ორ კვირაში იპოვეს და უკან დააბრუნეს. ამ საქმეში ერთადერთი უტყუარი მტკიცებულება ის არის, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი ტყვიის მასრა შარმაიძის იარაღიდან არის გასროლილი, მაგრამ, როგორც გითხარით, ვუდროფი ამ ტყვიას არ მოუკლავს.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

**(გაგრძელება იქნება)**

# დროა, პატრიარქმა თანამოსაყდრე აიყვანოს...

14 gv.

გზა მოთმინებაა, შენ როცა დაითმენ შეურაცხყოფას და არ პასუხობ, ამით მაღლდები. შეურაცხმყოფელი კი მდაბლდება და საზოგადოების გულისწყრომას იმსახურებს. და საერთოდ, დაიღალა ხალხი ამდენი დაპირისპირებით მთავრობასა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს შორის. მეტად სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ ერთმანეთის სიძულვილი, შური, უპატივცემულობა პიროვნული ანგარიშსწორებიდან გამომდინარეობს. ეს კი მართლაც სიბეცეა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. ხალხი ბრძენია. არჩევს შავს და თეთრს.

მე ვთვლი, რომ ადამიანთა ასეთი ურთიერთსიძულვილი ეკლესიის ბრალია. სწორედ მათ ევალებათ სულიერი თვალსაზრისით ხალხში ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის მარცვალი ჩათესონ.

**— ეკლესია როგორ უნდა მოიქცეს?**

— აკი, მოგახსენეთ, სწორედ ეკლესიის პრეროგატივაა ხალხს სიყვარული უქადაგოს.




ამას გვამცნებს წმიდა წერილები: გიყვარდეს მტერი შენი, ებრძოლე მტერს მამულისა და გძულდეს მტერი უფლისა. თუმცაღა მეორედ მოსვლის ჟამის შესახებ სახარებაში ვკითხულობთ, რომ ოჯახებიც კი გაიყოფიანო. სწორედ აქ ვიცლებით სულიერად თითოეული ჩვენგანი. ბევრმა შეიძლება გამამტყუნოს, მაგრამ მე მოგიყვანთ ფაქტებს: 19991-92 წლებში სწორედ ეკლესიაში შეფარებულმა **ჯაბა იოსელიანმა** მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. უღირსმა სამღვდელოებამ ის კი არ დასაჯა ამისთვის, პირიქით, ხოტბას ასხამდნენ. უფრო მეტიც, 1992 წლის 8 მარტს სპორტის სასახლეში იკურთხა „მხედრიონი“ და მთელი ხუნტა და შემდეგ რაც მოხდა სამეგრელოში, ყველამ ვუწყით. მე ნამდვილად მიმძიმს იმ დღეებვის მოგონება, მაგრამ ფაქტია ის, რომ ეს შავი ლაქა წარუშლელია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ჩვენი ეკლესიის ისტორიაში. ასეთი სამღვდელოება სიყვარულს ვერ იქადაგებს (მომიტევოს გარკვეულმა ნაწილმა). უფალი ბრძანებს, „უმეტესღა ამხილებდით“. მხილება მტრობა არაა, პირიქით, ქებას იმსახურებს, რომ მომავალში მსგავსი არ განმეორდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ ვერაფერი გამოსწორდა. ეს იმის ბრალია, რომ **ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან სფეროში კვლავ სააკაშვილის მსტოვრები არიან მოკალათებულნი და, რა თქმა უნდა, სიკეთისკენ ვერ წარიმართება საქმე**. ბატონი ზვიად გამსახურდია ბრძანებდა, ჩვენ მტრებს ყვავილები ვესროლოთ, ჩვენ კი, სამაგიეროდ, მას ზარბაზნები დავუშინეთ და მოვკალით. ამ სავალალო შემთხვევაშიც კვლავ ეკლესიამ დადო ლომის წილი. ფაქტებს ვერსად გავექცევით.

ჩემო კარგო, მე ნათელი სურათი დაგიხატეთ, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ეკლესია. სწორედ ის უნდა მოუწოდებდეს სიყვარულისა და მშვიდობისკენ, რამეთუ ეკლესიაში იკითხება მშვიდობიანი კვერექსი: „მშვიდობით, უფლისა მიმართ ვილოცოთ“... ამ სიტყვებში ყველაფერი იგულისხმება.

მე გარწმუნებთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უდიდეს გასაჭირში ვიმყოფებით სულიერად, თუ ეკონომიურად ღმერთი არ გაგვწირავს, რამეთუ წარსულ საუკუნეებში მართლმადიდებლობას შეწირულთა სულები გამუდმებით ევედრებიან ღმერთს საქართველოს გადასარჩენად, ყოველ დაღმართს აღმართი მოჰყვება. მთავარია, ჩვენ არ გავიმეოროთ დაშვებული შეცდომები. და თუ არ შევიგნებთ და გავათვითცნობიერებთ იმას, რომ თითოეული ჩვენგანის უღირსი საქციელი ავნებს ერის წინსვლასა და სარწმუნოების განმტკიცებას, არ აგვცდება სოდომ-გომორისეული სასჯელი. ვევედროთ უფალს, ყოვლადწმიდა დედას, დაგვაძლევინოს ყოველი განსაცდელი, განგვაძლიეროს სულიერად, რათა ვმსახურებდეთ ჩვენ ბედკრულ ქვეყანას.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# მარგველაშვილი „კალიგულას“ სასახლეში კაი გულიანად „გულაობს“

ვესაუბრებით „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს ბატონ **პეტრე მამრაძეს**

**— ბატონო პეტრე, რას იტყვით იმ სახელისუფლებო კრიზისზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყველასთვის თვალნათელი გახდა, ცალკეულ პიროვნებებზე რომ არაფერი ვთქვათ, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ყველა გააკვირვა თავისი ქმედებებით, დამოუკიდებელი ამბიციებითა თუ არასახელმწიფოებრივი აზროვნებით, ჩანს, მას გუნდთან მუშაობა უჭირს, როგორ შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორება?**

— მარტო მარგველაშვილი რომ იყოს პრობლემა, რა უჭირს. პრობლემა ქართული სახელმწიფოსთვის არის ის, რომ ერთი მხრივ კი გადაარჩინა ბიძინა ივანიშვილმა საქართველო სააკაშვილის სადისტური რეჟიმისგან თავისი დიდი რესურსის შესაძლებლობებისა და თავგანწირვის ფასად, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის წავიდა ხელისუფლებიდან, მალე აღმოჩნდა, რომ **ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ თანამდებობებზე მოსულან ადამიანები, რომელნიც სათოფეზე არ უნდა მიუშვა არა თუ უზენაეს თანამდებობებზე,** არამედ საზოგადოდ სახელმწიფო სამსახურში. მე ვგულისხმობ როგორც მარგველაშვილს, ისე ჭიკაიძეს, დუმბაძეს და სხვებს. ბოლო თვეებში განვითარებულმა მოვლენებმა მათმა ღია ქმედებებმა ეს მრავალჯერ დაადასტურა. რაც შეეხება პრეზიდენტ მარგველაშვილს, მე მახსოვს, როცა ის გახდა განათლების მინისტრი და შემდეგგ ვიცე-პრემიერი, ადამიანები, რომელნიც ახლოს იცნობდნენ მას ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ის გახლდათ ჟვანიას მრჩეველი, ამბობდნენ, **რომ ის რომ მინისტრი გახდა, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას დედა აღარა ჰყავსო.** ამას ამბობდნენ იმიტომ, რომ იცნობდნენ მის ფსიქიკას, მის ცხოვრების წესს და საქციელს. დღეს უკვე ჩვენ ამ ყოველივეს ფაქტის წინაშე დავდექით. მინდა შეგახსენოთ, რომ შარშან, განათლების მინისტრობის დროს „ჯიპას“ სტუდენტებს განუცხადა, რომ შრომის კოდექსი, რომელიც მთავრობამ შეუგზავნა პარლამენტს როზა ლუქსემბურგის ოცნება იყო და ის ზიანს მიაყენებდა ქვეყანას. ამის შემდეგ მინისტრები წავიდნენ თანამდებობებიდან, როდესაც ნახეს, რომ გუნდის პოლიტიკას არ იზიარებდნენ. მარგველაშვილმა ეს განცხადება გასული წლის 3 მაისს გააკეთა, ხოლო 11 მაისს ის პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგინა ივანიშვილმა, თანაც დასძინა, რომ მას ალტერნატივა არ ჰყავსო. საინტერესო რამ მოხდა ოთხი დღის შემდეგ პარლამენტში. **15 მაისს ნუგზარ წიკლაურმა წაიკითხა შემდეგი გამონათქვამები, რომ ივანიშვილი არის რუსული პროექტი, რომელიც რუსეთმა შეუთანხმა დასავლეთს, რომ მათ ტანკები კი არა სურთ დიდი ძალა გამოიყენონ საქართველოში, ამ დროს დარბაზში ატყდა ხმაური „ოცნების“ დეპუტატების მხრიდან, წიკლაურმა კი მათ მშვიდად განუცხადა, რას ხმაურობთ, ეს ხომ მარგველაშვილის საჯარო გამონათქვამებიაო.**

მე მაშინვე დავინტერესდი და ვკითხე „ოცნების“ დეპუტატს, ივანიშვილი აქამდე რომ არ იცნობდა მარგველაშვილს გასაგებია, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ თუ ეტყვის ვინმე ახლა ივანიშვილს-მეთქი, მან ხელი ჩაიქნია და თქვა, ვინ არის მთქმელიო. ასეც მოხდა, ეს ფაქტი ფაქტად დარჩა, მარგველაშვილი კი პრეზიდენტი გახდა. პირველი არაადეკვატური ქმედება იყო მისი პრეზიდენტობის დროს ის, რომ ის სააკაშვილის რეზიდენციაში, რომელსაც უცხოელმა **პოლიტიკოსებმა „კალიგულას“ სასახლე შეარქვეს,** საკუთარი გადაწყვეტილებით შევიდა, არჩევნებამდე კი ამბობდა რომ ამ შენობაში არავინ, არასოდეს არ შევიდოდა, რადგანაც **ეს იყო სიმბოლო სააკაშვილის დანაშაულებრივი ქმედებებისა.**



პრაქტიკულად ამ შენობაში შესვლით შეწყდა გამოკვლევა იმისა, თუ რა გზით აშენდა ის და რა თანხები დაიხარჯა — ეს ფაქტი კი ყველაზე მეტად ასყობდათ ნაცებს. ეს მან შეგნებულად ჩაიდინა თუ შეუგნებლად — ეს უკვე საინტერესო აღარ არის, პრაქტიკულად მან მიჩქმალა სააკაშვილის ერთ-ერთი დანასაული.

ჩვენ ასევე გვახსოვს კინკლაობა ევროპასთან ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რომელმაც გააოცა ევროპელები.როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს? უცხოელი პოლიტიკოსები ხშირად იმასაც მეუბნებიან, რომ **ისევ მავნე საბავშვო ბაღი მართავს თქვენს ქვეყანასო** — ეს ხომ სამარცხვინოა.



მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა უკვე, რომ ღარიბაშვილი წავიდოდა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, როდესაც მარგველაშვილმა მიიღო **პირადი მოწვევა პან გიმონისგან** კლიმატის სამიტზე. ამ ღია კამათებმა უფრო მეტი ზიანი მიაყენა საქართველოს ავტორიტეტს, ვიდრე ის, რომ წასულიყო კლიმატის სამიტზე, იმდენად პატარა ქვეყანა ვართ, ამას იქ ყურადღებას არავინ მიაქცევდა, დღეს კი უკვე ამ ფაქტების გაშუქებით დაინტერესებულია მთელი მსოფლიოს პრესა — ეს სამარცხვინოა! კიდევ ერთი, მე **მახსენდება ერთი წერილი მარგველაშვილისა, სადაც ის ამბობს, რომ საქართველო სახელმწიფო კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრიობანას თამაშობსო** — ასეთია დღევანდელი ჩვენი პრეზიდენტი!

**— ნაციონალების ვიზიტი მაკკეინთან აშშ-ში რაზე მეტყველებს, მართულნი არიან ამ ქვეყნიდან? რჩევებს და დახმარებას რატომ სთხოვენ ამერიკას? პარალელურად, ნათელაშვილის ვიზიტიც დაემთხვა ამ ქვეყანაში, რომელიც საარჩევნო გარემოს შეცვლას სთხოვს ამერიკას, ჩვენ კი, მაგრამ ამ ყველაფერს უყურებს რუსეთი, ხომ არ გააუარესებს ჩვენს მიმართ დამოკიდებულებას?**

— მე სხვანაირად ვუყურებ ამ ყველაფერს, დავიწყოთ მაკკეინით, მისთვის მთავარია, რომ მხარი დაუჭიროს იმას, ვინც თუ არ ებრძვის რუსეთს, გამოდის მაინც მის წინააღმდეგ. პოლიტოლოგები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ თვალებს დახუჭავს იგი ყველაფერზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე თუ სხვა რამეზე ნებისმიერ ქვეყანაში, ანუ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს, ოღონდ ის ქვეყანა იყოს აშშ-ს მომხრე და რუსეთის წინააღმდეგი. თუმცა, 2012 წელს, როცა ის იყო საქართველოში, **პოლიტიკური სილა გააწნა სააკაშვილს,** როცა განაცხადა, რომ ჩვენ გადავამოწმეთ და ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლაში არავითარი რუსული ხელი და ფული არ ურევიაო. მან ღიად თქვა მაშინ სააკაშვილის საპირისპირო აზრი. **იმასაც დავამატებდი, რომ არანაირი რეალური გავლენა მას, როგორც სენატორს, აშშ-ს ადმინისტრაციაზე არა აქვს! ის არის ერთი ჩვეულებრივი სენატორი, საკმაოდ მარგინალიზებული, ეს არის და ეს!** კარგად მახსოვს, 2008 წელს, აგვისტოს მოვლენების შესახებ, **კოლინ პაუელმა** „სიენენზე“ გამოსვლისას აღნიშნა, რომ სააკაშვილმა ამ ომით ანთებული ასანთი ჩააგდო დენთის კასრში, ვინაიდან ის ჭკუანაღრძობიაო, რის შემდეგაც მიუგეს, მაკკეინი რომ ამბობს, დღეს ჩვენ ყველა ქართველები ვართო! ამაზე მან უპასუხა, რომ მაკკეინი მხოლოდ ერთი ადამიანია აშშ-ში და მარტო ის ამბობს ამას, ამიტომ პასუხიც მას მოჰკითხეთო. ასე რომ, სხვანაირად არის საქმე, „პატრონები“ დღეს არც ერთ პოლიტიკოსს და არც ერთ **პოლიტიკურ ძალას არსად აღარა ჰყავთ.** იყო დრო, როცა ჯორჯ ბუშისთვის სააკაშვილი რჩებოდა **„სარეკლამო ბიჭუნად“ — რადგანაც „ვარდების რევოლუცია“ იყო ერთადერთი, რომელმაც გაამართლა.** 7 ნოემბრის მოვლენებზეც დახუჭა ბუშმა თვალები და ბევრ სხვა სისაძაგლეზე, რომელსაც „ნაცები“ სჩადიოდნენ, პრაქტიკულად **მას ჩაუვარდა გეგმა ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიებზე რევოლუციების მოწყობისა,** ეს მხოლოდ აქ მოხდა. დღეს უკვე სხვა ვიტარებაა, ის დრო წავიდა. ბარაკ ობამა ორჯერ შეხვდა სააკაშვილს, პირველად იმიტომ რომ მადლობა უთხრა იმისთვის, რომ დათანხმდა საქართველო რუსეთის შესვლას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში, მეორედ კი კატეგორიულად მოსთხოვა, რომ წასულიყო ხელისუფლებიდან და გადაებირებინა ახალი პიროვნებებისთვის მთავრობა. ეს იყო და ეს.



დღეს ყველას აქვს უფლება იარონ ამერიკაში თუკი აქვთ მოწვევა და საშუალებამ თუმცა იქ „პატრონი“ მათ არა ჰყავთ. იყო ბუშის დროს ასეთი სიტუაცია, ასევე იყვნენ ლობისტები, რომელთაც სააკაშვილი ათეულობით მილიონ დოლარს უხდიდა მხარდამჭერისთვის ხალხის ჯიბიდან და ბიუჯეტიდან, არა საქართველოს ლობისტობისთვის, არამედ პირადად თავისი პიროვნების ანუ სააკაშვილის მხარდამჭერისთვის. ამის მაგალითია კარლ ბილდტისათვის გადარიცხული თანხები მიშას მიერ.

ცალკეული შემთხვევები იყო, შეიძლება შემდგომშიც იყოს, მაგრამ პოლიტიკა იმისა, რომ ვინმემ უპატრონოს საქართველოს ან რომელიმე პოლიტიკურ ძალას — დღეს არ არის.

**— უელსის სამიტის შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ ნატო დაეხმარება საქართველოს უსაფრთხოების საკითხში, კერძოდ აქ დადგება ე. წ. რადარები ანუ უსაფრთხოების ტექნიკური მოწყობილობა, დაუშვებს ამას რუსეთი?**

— ნატო ამაზე არ წავა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ წესდებიდან გამომდინარე ის არ ეხმარება პარტნიორ ქვეყნებს იარაღით, ეს შეიძლება მხოლოდ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მიყიდოს ნატოს წევრმა რომელიმე ქვეყანამ საქართველოს იარაღი. 2008 წლის ომის დროს აშშ-მ ვერ მიყიდა საქართველოს იარაღი, ემბარგო იყო დაწესებული, უელსის სამიტზე კი გადაწყდა, რომ უკრაინასაც კი არ დაეხმარებიან ამ მდგომარეობაში, ასევე ამ სამიტზე გადაწყდა, რომ არც ბალტიისპირეთში არც პოლონეთში და არც სხვაგან, ნატო არ განათავსებს თავის სამხედრო ბაზებს და სამხედრო ძალებს, არ სურთ, რომ რუსეთი გააღიზიანონ. პრაქტიკულად ამ სამიტზე გადაწყდა, რომ ნატოს ბაზები თუ ჯარი იდგება იქ, სადაც ამჟამად არიან, მაგრამ მის აღმოსავლეთით ისინი პასუხს არ აგებენ არაფერზე და თუ პუტინი რომელიმე ტერიტორიას დაიკავებს, ისინი ამაზე პასუხს გასცემენ მკვეთრი სანქციებით, მაგრამ არა სამხედრო ძალით. ეს ერთმნიშვნელოვნად ითქვა.

თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ ნატოს წევრი ქვეყნებიდან საქართველოს მიერ მოხდება იარაღის შესყიდვა, რომელიც ნებადართულია კანონით, ეს შეიძლება გახდეს სერიოზული მიზეზი რუსეთისთვის, რომ გაიტანოს აქედან სამხედრო ტექნიკა, როგორც გაიტანა 2008 წელს უბრძოლველად და მერე მოიხმარეს უკრაინის სეპარატისტებს რომ გადასცეს. რა იყო სენაკის ბაზიდან წაღებული დღეს ამას ვინმე აკონტროლებს? ან ვინმემ გასცა მაშინ პასუხი რატომ? ეს ომი წამოიწყეს მაშინ იმიტომ, რომ ეს სამხედრო ტექნიტა ხელში ჩაეგდოთ. **მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ უელსის სამიტის შემდეგ საქართველოს უსაფრთხოება და დაცულობა იოტისოდენადაც არ გაზრდილა.**

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

# ელისო კილაძე — ღრმა დაშიფვრის აგენტი თუ უკვე გაშიფრული ფალსიფიკატორი?

ვახტანგ ხარჩილავა

სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, მინდა ქალბატონ ელისო კილაძეს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან სკანდალური, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, ზესკანდალური ინფორმაცია მივაწოდო: „საერთო გაზეთს“ უშუალოდ ოკუპანტი ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აფინანსებს თავისი სპეციალური, ასევე ზესაიდუმლო ფონდიდან!

ბატონი პუტინის და „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის ვახტანგ ხარჩილავას ძმობის და მეგობრობის აქამდე გასაიდუმლოებულ ამბავს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჩვენს მეგობრობას საფუძველი კასპის რაიონის სოფელ მეტეხის საშუალო სკოლაში ჩაეყარა, სადაც მე და პატარა ვოვა წლების განმავლობაში ერთად ვსწავლობდით.

ბედის უკუღმართობამ ინება ასე, თორემ რა გვინდოდა მეტეხში მე, მეგრელ კაცს და პეტერბურგელ ვალოდიას, მაგრამ რას იზამ, ბედისწერას ვერსად წაუხვალ.

მეტეხში დაწყებული მეგობრობა შემდგომშიც გაგრძელდა და ჩვენ დღემდე ერთგულ მეგობრებად ვრჩებით (სხვათა შორის, მე და ვალოდია ერთად ვვარჯიშობდით ძიუდოშიც...).

ერთხელაც ვალოდიამ თავისთან კრემლში გამომიძახა და ასეთი რამ მითხრა: ჩემო ვახტანგ, ხომ ხედავ, არც ამერიკელების მეშინია, არც ევროპელების, მაგრამ გული მიგრძნობს, ჟურნალისტი ელისო კილაძე დამამარცხებს და ბეჭებზე დამდებს. ეგ ისეთი მაგარი ვინმეა, იმპერიას დამიშლის, თუ დროზე არ მივხედეთ საქმეს. აგერ, ძმაო, შენ ფული განუსაზღვრელი რაოდენობით, ოღონდ მაგ ქალს მიხედე და როგორმე გააჩერეო.

— ეჰ, ძმაო ვალოდია, ელისო კილაძის გაჩერება ასე ადვილი გგონია შენ? მაგას მთელი საქართველო ვერ აჩერებს და მე, ერთმა კაცმა, რა ვუყო, მაგრამ ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის ხათრით მაინც ვცდი, იქნებ რაიმე გამოვიდეს-მეთქი, — ვუთხარი ვალოდიას და შეფიქრიანებულმა დავტოვე მეგობრის კაბინეტი.

მას შემდეგ უწყვეტად მოედინება ფულის ნაკადი ვალოდიას საიდუმლო ფონდიდან „საერთო გაზეთი“ ჰყვავის და იფურჩქნება (მომავალი თვიდან 64-გვერდიანი უნდა გახდეს...). თუმცა ოკუპანტზე სასტიკად გაბრაზებული ელისო კილაძის საბრძოლო შემართება და მისი პატრიოტული სულისკვეთება ვერა და ვერ დავაცხრეთ.

აი, ნახეთ, რას წერს იგი „ქრონიკა+“-ის ბოლოსწინა (№34) ნომერში:

„მე მინდა მოვიკითხო მათი „პატივცემული“ დამფინანსებელი „ფეესბეს“ სტაჟიანი და შტატიანი თანამშრომელი ვლადიმერ ხომერიკი. ხომერიკის დაფინანსებული გაზეთი მე უნდა მებრძოდეს და ეს არის კიდეც ლოგიკა. ჩემზე კარგი რომ დაწერონ, ეს იქნება ჩემთვის ძალიან ცუდი. ადამიანები, რომლებიც იღებენ შენი ქვეყნის ოკუპანტისგან ფულს იმისთვის, რომ ბინძური პროვოკაციებითა და ფეკალიებით გაავსონ თავიანთი გაზეთი, ნამდვილად არ უნდა იყოს კეთილგანწობილი ჩემი მისამართით. ამიტომ ვლადიმერ ხომერიკს ვურჩევდი, მგელი როცა გარეთ გამოდის და იმაზე ფიქრობს, ისეთი ვინმე არ გადამეყაროს, რომ აქეთ არ შემჭამოსო, ყელზე არ დაადგეს ელისო კილაძე და „ქრონიკა+“.

ჩემი პოზიცია რადიკალური და საყოველთაოდ ცნობილია ოკუპანტი ქვეყნის მისამართით, აქვე მინდა მკითხველს შევახსენო, რომ მე ვიყავი პირველი ადამიანი, რომელმაც გააჟღერა „ფეესბეს“ მეხუთე განყოფილების შეფის, სერგეი ბესედას სახელი და გვარი — ადამიანის, რომელიც არის კავკასიის კურატორი და აფინანსებდა ქართული ოპოზიციის ნაწილს. ამიტომ მათი არაკეთილგანწყობა ჩემი მისამართით გასაგებია. უბრალოდ, ძალიან ვწუხვარ, რომ ქვეყანაში პრორუსული ძალები ამდენს ბედავენ და არ კონტროლირდება ის ფინანსები, რომელიც ოკუპანტი ქვეყნიდან შემოდის არასამთავრობო ორგანიზაციების, საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების დასაფინანსებლად“.

გენაცვალეთ მე თქვენ თქვენს პატრიოტულ სულისკვეთებაში ქ-ნო ელისო, როგორ გმირულად იქნევთ ხმალს, რა უშიშრად უტევთ მტერს.

თქვენ რომ არ გვყავდეთ, ვინ დაიცავდა ამ უბედურ საქართველოს?!

მართალია, რუსის ჯარს კეტით გამოდევნებული არავის უნახიხართ, მაგრამ ეგ არაფერი — აწი გნახავენ!

საინტერესოა, ამ ბოლო ხანებში ვის უგორებთ კოჭს და ვის აწონებთ თავს ამ თქვენი ვითომდა ანტიოკუპანტური სულისკვეთებით?

შემთხვევით „ნაციონალებს“ ხომ არა, ძვირფასო ქალბატონო ელისო, რომელთა მიმართაც სიმპათიას ხან პირდაპირ, ხანაც ირიბად, სოციალურ ქსელებში შაირობისას ხშირად ამჟღავნებთ ხოლმე და „ნაციონალების“ ფანებს ისე ხმატკბილად ეჟღურტულებით, მე რომ ეჭვიანი კაცი ვიყო, აუცილებლად ვიფიქრებდი, რომ თქვენ სწორედ რომ „ნაციონალების“ შეკვეთას ასრულებთ და დიდი ალბათობით, სწორედ მათგან ფინანსდებით.

ერთი რამ მიკვირს, ქალბატონო ელისო: თქვენ ყოვლისმცოდნეს, თქვენ, ყველა საიდუმლო ინფორმაციის მფლობელს, ჩემი და პუტინის მეგობრობის ამბავი როგორ გამოგეპარათ და ის როგორ იფიქრეთ, რომ მე, ბატონი ვლადიმერის უახლოესი მეგობარი, ფსბ-ს რიგით თანამშრომელთან, ვინმე ხომერიკთან დავიჭერდი საქმეს?

რატომ მაყენებთ შეურაცხყოფას, ამის ფასი რა დაგიშავეთ?

თუმცა იმედი უნდა გაგიცრუოთ, ქალბატონო ელისო, — რაც ახლა მოვყევი, ყველაფერი ეს ხუმრობაა!

გეხუმრეთ, ქალბატონო ელისო, გეხუმრეთ, გენაცვალე და ემანდ ღმერთი არ გაგიწყრეთ და ეს ჩემი ხუმრობა ნამდვილ „დანოსად“ არ მიიღოთ!

ჩემი და პუტინის მეგობრობის ამბავი ისეთივე ნამდვილია, როგორც ჩემი და ვინმე აკობიას, ჩემი და ვინმე ყავლაშვილის, ჩემი და ვინმე მესხელის „ნაცნობობის“ ამბავი.

თუმცა იქ, სადაც ზემოთ ჩამოთვლილ „ამხანაგებთან“ ჩემი „ნაცნობობა“-თანამშრომლობის“ ამბავი დაიჯერეთ, სულაც არ არის გასაკვირი, ჩემი და პუტინის მეგობრობის ამბავიც დაიჯეროთ და „ქრონიკა+“-ის მომდევნო ნომერში გამოაქვეყნოთ.

ხასიათი უნდა გაგიფუჭოთ, ქალბატონო ელისო, თქვენს მუდამ ზეაწეულ განწყობასა და შემართებას ცივი წყალი უნდა გადავასხა: არც აკობიას ვიცნობ, არც ყავლაშვილს, არც მესხელს. ამ ადამიანებთან არასოდეს არანაირი შეხება არ მქონია. ასევე არასოდეს არავის არ უცდია ჩემი გადაბირება ანუ ბუნებაში არ არსებობს გადაბირების არანაირი ხელწერილი, ისევე, როგორც არ არსებობს არანაირი „პიკანტური“ კადრები.

კიდევ გიმეორებთ: არასოდეს არავინ არ მოსულა ჩწემთან, არავისარ უცდია ჩემი დაშანტაჟება, არავის არ უცდია ჩემი გადაბირება და არასოდეს არ მომიწერია ხელი გადაბირების რაიმე ხელწერილზე.

გესმით, თქვენ, ქალბატონო ელისო, რა შარში ხართ გახვეული?

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ფრაგმენტი თქვენს გაზეთში თქვენს მიერ გამოქვეყნებული თქვენი სტატიიდან, რომ უკეთ გააცნობიეროთ, თუ რა უსიამოვნო ამბები გელით წინ:

„აჰა, ბატონო ვახტანგ, მოგმართავთ, — ახლა თქვენი ფირის ამბავი გამჟღავნებულია. ვიცი, რომ ეს ძალიან არაეთიკურია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დამიტოვეთ და ნუ გახდებით იმ შანტაჟის მსხვერპლი, რა შანტაჟის მსხვერპლიც წლების განმავლობაში თქვენ იყავით. მე ვიცი კონკრეტული ადამიანის სახელი და გვარი, რომელმაც თქვენზე გადაღებული ფირი კუდში მიიტანა, ეს გახლავთ **ნიკა აკობია**. თქვენი გადაბირების ხელწერილი კი **გიორგი ყავლაშვილმა** ჩაიბარა. ამიტომ მე გირჩევთ, განთავისუფლდეთ ამ წნეხისგან, მიმართეთ გამოძიებას, რომ დაასრულოთ წლების განმავლობაში მიმდინარე შანტაჟი“.

აი, ეს არის ის მახე, სადაც თქვენ ან საკუთარი ნებით შეაბიჯეთ, ან ვიღაცამ შეგიტყუათ და საიდანაც, რამდენიც არ უნდა იფართხალოთ, ვერ გამოძვრებით!

მე ნამდვილად არ ვიცი, სინამდვილეში არსებობს თუ არა ასეთი ადამიანი ნიკა აკობია და საიდან და როგორ დაესიზმრა ის ქ-ნ ელისოს, თუმცა ის კი ვიცი, რომ ქ-ნ ელისოს მეორე „მოწმე“ ამირან მესხელი საქართველოდან გაქცეულია და, თუ არ ვცდები, ძებნაშია.

**ქალბატონი ელისო, როგორც ჩანს, სპეციალურად აკეთებს აქცენტებს ორგანოებიდან დათხოვნილებზე, ძებნილებსა და გაქცეულებზე, რომ ამით გაექცეს პასუხისმგებლობას, მაგრამ არ გაგივათ თქვენ ეს ტრიუკი, პატივცემულო ელისო — თქვენ ხომ აქ ხართ და თქვენი ოქროს ბაგეებით მოგიწევთ იმის დამლერება, რატომ შეთითხნეთ და რატომ გამოაქვეყნეთ ეს სულმდაბლობა, ეს „კაგებეშნიკური“ მეთოდებით შეთხზული ამაზრზენი სიცრუე?**

ქალბატონმა ელისომ მიზანმიმართულად შეუგდო ჩემზე ნაწყენ ადამიანებს (მათ განაწყენების საბაბი ნამდვილად ჰქონდათ და მე ამის გამო ბოდიში მოვიხადე) „დაზუსტებული“ ინფორმაცია, რომ მე რაღაც „პიკანტური“ კადრებით მაშანტაჟებენ.

კილაძემ, რა თქმა უნდა, ეს შეგნებულად გააკეთა, რომ ცეცხლზე ნავთი დაესხა და ამ ადამიანებისთვის ჩემი ლანძღვისთვის საჭირო „მასალა“ მიეწოდებინა.

მე შენახული მაქვს კილაძის ეს ინფორმაცია (სხვათა შორის, შენახული მაქვს არამარტო კილაძის, არამედ სხვების შეურაცხმყოფელი „კომენტარებიც“ და თუ საჭიროდ ჩავთვლი, იქ წარვადგენ, სადაც ჯერ არს...) და აქვე მინდა ვკითხო მას: **ქ-ნო კილაძევ, დიდ ჟურნალისტობაზე რომ დებთ თავს, თქვენ საერთოდ თუ გესმით, რას ნიშნავს დაზუსტებული ინფორმაცია?**

აჰ, არ იცით? არ გესმით?

ჰოდა, სულ მალე დაგიზუსტებენ, რას ნიშნავს დაზუსტებული ინფორმაცია და რა ჰქვია იმ საქციელს, როცა დაზუსტებული ინფორმაციის სახელით სიცრუეს ავრცელებთ...

**ელისო კილაძის ჟურნალისტურ საქმიანობას რომ ვაკვირდები და მის უსაფუძვლო ბრალდებებით გადატრელებულ პუბლიკაციებს რომ ვკითხულობ, ორი აზრი მიტრიალებს თავში: ეს ქალბატონი ან**

20 gv.

# ელისო კილაძე — ღრმა დაშიფვრის აგენტი თუ უკვე გაშიფრული ფალსიფიკატორი?

18 gv.

**თვითონვე თხზავს და თვითონვე იგონებს ამ, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის გამომრიცხავ სისულელეებს, მერე კი თავისივე შეთხზულს თვითონვე იჯერებს და მისი მხურვალე ფანტაზიის ნაყოფი უტყუარი სიმართლე ჰგონია ან მას ვილაც-ვილაცები „ეხმარებიან“ — ამ სისულელეებს სპეციალურად უთხზავენ და „დაზუსტებულ“ ინფორმაციად შეასაღებენ ხოლმე, რომ ერთხელაც იქნება და კისერი წაიტეხოს.**

ნორმალური, ასე თუ ისე საღად მოაზროვნე ადამიანი სანამ ვიღაცაზე ჭორს შეთხზავდეს და გაზეთში გამოაქვეყნებდეს, აუცილებლად დაფიქრდება იმაზე, რომ თავის ნამოქმედარზე პასუხისმგებლობა მოუწევს და ცუდად აცუნდრუკებულ ენას და კალამს ლაგამს ამოდებს.

**მიკვირს ძალიან — ქალბატონ ელისოს ნუთუ არ ესმის, რომ ის ვიღაც ბაზრის დედაკაცი კი არ არის, სქელტანიანი, სოლიდური გამოცემის მთავარი რედაქტორია, ჟურნალისტია და მის თითოეულ სიტყვას სხვა საზომით ზომავს საზოგადოება.**

**ამ წუთას, უბრალოდ, იმდენი დრო არ მაქვს, რომ კილაძის პუბლიკაციებში გაბნეული თვალმარგალიტები ამოვკრიფო, თორემ მკითხველს ვაჩვენებდი, როგორ შეურაცხყოფას აყენებს იგი ადამიანებს, როგორ ლანძღავს, როგორ ცდილობს, მორალურად გათელოს, გაანადგუროს, მოსპოს ოპონენტი.**

ეს დაუნდობლობა, ეს ხაზგასმული სისასტიკე, ეს ხაზგასმული სიძულვილი მაფიქრებინებს, რომ ელისო კილაძეს ადამიანები არ უყვარს და მათ მომხმარებლური თვალით უყურებს — ვიღაცას დაუყვავებს, ვიღაცას თავზე ხელს გადაუსვამს, მისგან რაც სჭირდება, იმას ამოქაჩავს, მერე კი ხელთათმანივით მოისვრის.

ეს სხვა თემაა და ამ თემას, ალბათ, სხვა დროს მივუტრიალდები, ახლა კი შევეცადოთ, იმ კითხვას გავცეთ პასუხი, თუ რით შეიძლება აიხსნას კილაძის ლოგიკას მოკლებული ქმედებები და საიდან მოაქვს მას ამდენი ჭორი, ამდენი ,,კრიმინალურ-დეტექტიური“ ხასიათის სიუჟეტი, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში სიცრუესა და სიყალბეზეა აგებული?

თუ ის მართლაც თვითონ თხზავს ამ ყველაფერს და მერე თავისივე შეთხზულისა თვითონვე სჯერა, მაშინ ნამდვილად ცუდად ყოფილა საქმე და ქალბატონ ელისოსთან დავას და კამათს, ქალბატონ ელისოზე საუბარს საერთოდ არ აქვს აზრი, თუმცა მე მაინც მგონია, რომ პრობლემის სათავე მის ფსიქიკურ მდგომარეობაში კი არა სხვაგან არის საძიებელი.

**ჩემი აზრით, ვიღაც ან ვიღაცები, იციან რა კილაძის ხარბი მიდრეკილება სკანდალებისა და სენსაციებისადმი, შეგნებულად აწვდიან მას დეზინფორმაციებს, სპეციალურად მისთვის თხზავენ ათასგვარ ჭორსას და მონაჩმახს, კილაძე კი დაუყოვნებლად ისრუტავს ამ ყველაფერს და ხან სოციალურ ქსელში, ხან თავისი გაზეთის ფურცლებზე უყოყმანოდ განათავსებს ხოლმე, როგორც „დაზუსტებულ“ ინფორმაციაზე აგებულ სენსაციურ მასალას.**

არ არის გამორიცხული, ელისო კილაძე თავის მეგობრებად თვლიდეს ამ გამოქექილ დეზინფორმატორებს და ბრმად ენდობოდეს მათ, ისინი კი, სარგებლობენ რა ამ ნდობით, ზურგს უკან სამარეს უთხრიან ,,მეგობარს“.

მათ კარგად იციან, რომ კოკა ყოველთვის ვერ მოიტანს წყალს და ერთხელაც იქნება და გატყდება.

**დეზინფორმატორებს შეუძლიათ იზეიმონ — კოკა უკვე გატყდა!**

ელისო კილაძის პორტრეტი სრულყოფილი ვერ იქნება, თუ გაკვრით მაინც არ გავიხსენებთ იმ სვლებს, რაც ამ ქალბატონმა თუნდაც ბოლო სამი წლის განმავლობაში გააკეთა.

თავდაპირველად ელისო კილაძე მიზანმიმართულად უტევდა ბიძინა ივანიშვილს სხვადასხვა გამოცემების ფურცლებიდან (ამის დამადასტურებელი მრავალი პუბლიკაცია არსებობს) თუმცა, როგორც კი ,,ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მყისვე ივანიშვილის უერთგულეს მხარდამჭერად გამოაცხადა თავი, მოგვიანებით კი ისიც გაგვიმჟღავნა ამაყად, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულება გახსნა, რითაც სიცოცხლე შეუნარჩუნა ბატონ ბიძინას და, ფაქტობრივად, მთელი საქართველო იხსნა დიდი უბედურებისა და დესტაბილიზაციისგან.

როგორც ჩანს, სათანადო შემოწმება-გადამოწმების შემდეგ, კილაძის მიერ შემოთავაზებული ვერსია სარწმუნოდ არ მიიჩნიეს და საჩინმედლოდ გახაზირებული კილაძე ხახამშრალი დატოვეს.

**ეჰ, პატივცემულო კილაძევ, რომელი ლავრენტი ბერია თქვენ მყავხართ, მსგავსი სპექტაკლები ისე დადგათ, რომ იქ გათამაშებული სცენები ვიღაცას დამაჯერებლად მოეჩვენოს.**

ხელმოცარულ კილაძეს იხტიბარი არ გაუტეხია და ახლა ირაკლი ღარიბაშვილისკენ აიღო გეზი, თუმცა არც იქ გაუღეს კარები და ამით განაწყენებული ღარიბაშვილის სიმამრს თამაზ თამაზაშვილს მიუხტა თავისი ,,სანჩოპანსათი“ (თ.კენკებაშვილით).

ამანაც რომ არ გაჭრა, ახლა იმის მტკიცება დაიწყო, რომ გელა ხვედელიძე უდანაშაულოდ დაიჭირეს და ალალ-მართალი კაცი უდანაშაულოდ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

ვინ ჩაიდინა ეს ,,საშინელი“ საქმე?

ვინ ჩიდინა და იმჟამინდელმა შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც მიუხედავად ,,ჩადენილი ქმედებისა“, საქართველოს პრემიერ-მინისტრად დაწინაურდა, ეს იმ დროს, როცა ამგვარი საქციელი სამართლებრივ სახელმწიფოში სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ,,დამნაშავე“ პრემიერმა დაუყოვნებლივ დატოვოს თანამდებობა.

აი, საითკენ უკაკუნებდა ქ-ნი ელისო იმ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით, რომლებიც ,,ქრონიკა+“-ში ერთმანეთის მიყოლებით იბეჭდებოდა და რომლებშიც ხვედელიძის უდანაშაულობის დამტკიცებას ისტერიული სიკაპასით ცდილობდა, თუმცა უშიშროების სისტემაში გამოწვრთნილ-გამობრძმედილი ხვედელიძე არ აჰყვა ,,სიმართლის დამცველი“ კილაძის ფანდს და სასამართლოზე დანაშაულიც აღიარა და ის ფულადი ჯარიმაც უდრტვინველად გადაიხადა, რომელიც მას პიროვნების ღირსებისა და პატივის შელახვისთვის დააკისრეს.

კილაძე ხვედელიძის ამ ,,მოღალატურმა“ ნაბიჯმა ფრიად განარისხა და, ჩვეულებისამებრ, ქოში უკუღმა ყარა, მაგრამ ჩაფლავებულ საქმეს ამით რას უშველიდა?

ასე იარა, იარა კილაძემ და ბოლოს, როგორც ჩანს, იმ წიაღშივე დაბრუნდა, საიდანაც ქართულ საზოგადოებას მოევლინა, ეს წიაღი კი, ჩემი ვარაუდით, ,,ნაციონალური მოძრაობაა“.

წარმოდგენილი მაქვს, ამის გაგონებაზე როგორ მოჰყვება ე. კილაძე იმის მტკიცებას, რომ ის და მთელი მისი ოჯახი გაავთრებული ებრძოდნენ ,,ნაცმოძრაობას“.

არ არის ეს მყარი არგუმენტი, უფრო ზუსტად, ეს საერთოდ არ არის არგუმენტი ისეთი მუდმივად ცვალებადი და არამდგრადი პოზიციის ადამიანისთვის, როგორიც ელისო კილაძეა.

შეიძლება მას რაღაც უთანხმოება მართლაც ჰქონდა ,,ნაცმოძრაობასთან“, მაგრამ ეს იყო წარსულში, ხოლო ის, რასაც დღეს კილაძე აკეთებს, პირდაპირ ,,ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს.

მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან ამის დასადასტურებლად და ამით დავკმაყოფილდები.

,,ქრონიკა+“-ში, ერთმანეთის მიყოლებით, ხუთ თუ ექვს ნომერში, იბეჭდებოდა და იბეჭდებოდა ვრცელი სტატიები, რომლებშიც ვალერი გელაშვილს ცოცხლად ,,მარხავდნენ“ და ათასნაირ ბრალდებას უყენებდნენ.

თავიდან ვერა და ვერ მივხვდი, რატომ აიკვიატა და რატომ ამოიღო მიზანში ,,ქრონიკა+,,-მა ეს ვალერი გელაშვილი, მაგრამ ყველაფერს ნათელი მოეფინა, როცა საქართველოს პროკურატურამ გამოაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ვალერი გელაშვილის საჩივრის საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მოგვიანებით სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და სააკაშვილს პატიმრობა შეუფარდა (დაუსწრებლად).

აი, თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული...

**ელისო კილაძემ, ეტყობა, იცოდა, რა სამზადისი მიმდინარეობდა პროკურატურაში სააკაშვილის წინააღმდეგ და მთავარ „დამნაშავეს“, ვალერი გელაშვილს, წინასწარ დააყარა ქვა და ღორღი.**

სხვათა შორის, რამდენადაც მახსოვს, ივანიშვილის ლიკვიდაციის მიზნით დაგეგმილ ,,ტერაქტშიც“, რომელიც, როგორც იცით, ქართველმა შერლოკ ჰოლმსმა, ელისო კილაძემ, გახსნა, ისევ და ისევ ვალერი გელაშვილი ფიგურირებს.

**აი, ასე ებრძვის ელისო კილაძე მიხეილ სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ მტრებს, ასე „მარხავს“ წინასწარ, რომ მათ საფლავიდან თავის წამოწევა ვერ მოახერხონ.**

მაქვს ეჭვი, რომ სწორედ ამიტომ გადაეკიდა იგი სააკაშვილისა და ,,ნაციონალების“ მეორე მტერს, ლადო ბედუკაძეს.

კილაძემ, რა თქმა უნდა, შესანიშნავად იცის, რომ ,,ნაციონალებისთვის“ ბედუკაძეზე საძულველი ადამიანი დედამიწაზე არ არსებობს.

,,ქრონიკა+“-ის მთავარი რედაქტორიც ,,ნაციონალების“ გულის ჯავრის ამოსაყრელად თავს არ ზოგავს, რომ როგორმე დაამციროს, ,,დააჩმოროს“, მორალურად გაანადგუროს და მოსპოს ,,ნაციონალების“ უბედურების მიზეზი — ბედუკაძე.

**ამ ლოგიკით ელისო კილაძე „ნაციონალების“ მეგობარია, შეიძლება მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ არა, მაგრამ მისი რომელიღაც შტოს მეგობარი და აქტიური მხარდამჭერი რომ არის, ეს ნათლად იკვეთება მის ჟურნალისტურ საქმიანობაში და „ქრონიკა+“-ის სარედაქციო პოლიტიკაში.**

საინტერესოა, იციან თუ არა ეს იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც ,,ქრონიკა+“-ში მუშაობენ?

ქალბატონი კილაძე ხშირად იმეორებს, რომ ის პოლიტიკაში აპირებს მოსვლას, თუმცა არ აზუსტებს, ვისთან ერთად აპირებს ამის გაკეთებას.

— გარწმუნებთ, მე იმ პოლიტიკურ გუნდში წამყვან პოზიციებზე ვიქნებიო, — აცხადებს კილაძე და პოლიტიკური კარიერის მწვერვალებისკენ მიმავალი მარჯვნივ და მარცხნივ ლაფსა და ტალახს ისვრის, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დასვაროს, პასუხის მომთხოვნი კი არავინაა.

ქალბატონ ელისო კილაძეს თითქოს ექსკლუზიური უფლება აქვს ადამიანებს შეურაცხყოფა მიაყენოს, ათასგვარი ბინძური ჭორი მოუგონოს, ცილი დასწამოს, ლანძღოს, თათხოს, პასუხს კი არავინ სთხოვს.

**ძალიან მაინტერესებს და არა მარტო მე, კილაძის არნახული მასშტაბების უზნეობით შეწუხებულ მთელ ქართულ სა-**

**ზოგადოებას აინტერესებს, ვინ აღჭურვა ელისო კილაძე ადამიანების სულში ჩაფურთხების ექსკლუზიური უფლებით და ვინ მისცა მას ხელშეუხებლობის გარანტია?**

ჭორად გამიგია, ელისო კილაძე ღრმა დაშიფვრის აგენტიაო და იქვე მის „კლიჩკასაც" ასახელებენ — „ნუკრი".

სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ღრმა დაშიფვრის აგენტი, არც ის ვიცი, ისეთი რა იმუნიტეტი იცავს ამ ღრმა დაშიფვრის აგენტებს და ისეთი რა უფლებები აქვთ მინიჭებული, რომ მთელი ქვეყანა ფეხქვეშ გაიდონ და ზედ თავიანთი ტალახიანი ფეხები შეაწმინდონ.

**მივმართავ შესაბამის სტრუქტურებს — თუ მართლა ირიცხება თქვენთან ვინმე ღრმა დაშიფრვის აგენტი, სახელად „ნუკრი", დროულად „ამოშიფრეთ", თორემ ეს ადამიანი უკვე ვერ აკონტროლებს საკუთარ თავს და საზოგადოებისთვის, ქვეყნისთვის საშიში ხდება.**

ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, რამდენიც არ უნდა ვიჩივლოთ და სადაც არ უნდა ვიჩივლოთ, ამ პრობლემას ვერ მოვერევით, ამ პრობლემის დარეგულირება, დამიჯერეთ, სახელმწიფო სტრუქტურების პირდაპირი მოვალეობაა და სამართლებრივად მოწესრიგებულ სახელმწიფოში ეს ასეც ხდება.

**სახელმწიფო ვახსენეთ და ბარემ აქვე ვიტყვი, ელისო კილაძემ ქართული სახელმწიფოს თავზეც არხეინად გაიარ-გამოიარა, როცა თავის გაზეთში ვითომდა „ქართულ ოცნებაში" ჩანერგილი რვა „აგენტის" აგენტობის დამადასტურებელი „დოკუმენტები" გამოაქვეყნა და ისე ჩაიფარცხა ეს საქმე, ვითომც არაფერი მომხდარა.**

არადა, როგორ არ მოხდა, ძვირფასო მეგობრებო, დიახაც რომ ძალიან დიდი კურიოზი მოხდა.

ეს დოკუმენტები, თუ ის მართლაც არსებობდა, სეიფში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი. და იქიდან მათი გამოტანა და ვიღაცებისთვის გადაცემა მხოლოდ სამსახურებრივად პასუხისმგებელ პირს შეეძლო.

მაშინ როგორ მოხვდა ის კერძო პირის, ელისო კილაძის, ხელში, იქიდან კი „ქრონიკა+"-ის ფურცლებზე?

„აგენტები", რომელთა უმრავლესობა ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები არიან, რამდენიმე ზედაპირული კომენტარით შემოიფარგლნენ და კილაძესთან დავა ამით ამოწურეს: — მეტი საქმე არ გვაქვს, კილაძეს თავი გავუყადროთო.

აგენტობაში ეჭვმიტანილო პატივცემულო მეგობრებო, ტყუილად გგონიათ თქვენ, რომ საქმე მხოლოდ თქვენ გეხებათ.

**ელისო კილაძემ, ფაქტობრივად, ეჭვქვეშ დააყენა ქართული სახელმწიფოს არსებობის და მისი ქმედითუნარიანობის საკითხი და ამის გამო მისთვის ზედმეტი სიტყვა არავის უკადრებია.**

ბარაქალა, თქვენს ქალობას, ქალბატონო ელისო, მართლაც მაგარი ყოფილხართ, სახელმწიფოსაც კი ფეხებზე რომ იკიდებთ.

სხვათა შორის, დღემდე არც ისაა გამოძიებული, თუ ის დოკუმენტები ყალბი იყო, ვინ გააყალბა ისინი და ვინ მიაწოდა „ქრონიკა+"-ს გამოსაქვეყნებლად.

**დაბოლოს,** შეიძლება ქ-ნ ელისოს იმის იმედი აქვს, რომ ჩემს „საქმესთან" დაკავშირებით მისგან დასახელებული პირები ცრუმოწმეებად დაუდგებიან და მისგან მოხლაფორთებული ბინძური ჭორის „გასაპრავებლად" ციხეში წავლენ, როგორც ცრუმოწმეები.

**მაშ ასე, ქალბატონო ელისო კილაძევ,** მე თქვენ ერთდროულად პროკურატურაშიც გიჩივით და სასამართლოშიც შემაქვს სარჩელი თქვენს წინააღმდეგ.

**არასოდეს არავისთვის არ მიჩივლია, მაგრამ ცხოვრებაში პირველად თქვენ უნდა გიჩივლოთ, ქალბატონო ელისო, მიუხედავად იმისა, რომ ისე მეზარება ამის გაკეთება, როგორც წუმპეში ფეხის ჩადგმა.**

**თუმცა სანამ სარჩელს შევიტანდე, კიდევ ერთ შანსს გაძლევთ: გამოდით და თქვით, ვინ ხართ სინამდვილეში, ვის დავალებებს ასრულებდით და ვის დავალებებს ასრულებთ ახლა, თქვით, ვინ გაწვდით ამ დეზინფორმაციებს, ვისგან მარაგდებით, ვის დაკვეთებს ასრულებთ, საერთოდ, რა გინდათ, რა მიზნებს და ამოცანებს ემსახურებით, ეს ისედაც ანტისანიტარიულ მდგომარეობაში მყოფი ქართული მედიასივრცე ასე ულმერთოდ რომ დაანაგვიანეთ.**

თუ ამას გააკეთებთ, პირობას გაძლევთ, **სარჩელს არ შევიტან!**

**მინაწერი:** მართალია, ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ეს ქვეყანა მხოლოდ სულელებით და იდიოტებით არის დასახლებული და ვერავინ ვერაფერს ხედავს, ვერაფერს ამჩნევს და ვერაფერს არჩევს...

ჩემი ვარაუდით, ელისო კილაძე ერთ-ერთი რგოლია იმ კარგად ორგანიზებული და უხვად დაფინანსებული მედია-ქსელისა, რომლის უკანაც ასევე კარგად ორგანიზებული და უხვად დაფინანსებული პოლიტიკური ძალა დგას და რომელიც ახლო ხანებში ემზადება პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად.

**„ქრონიკა+"-ის ბოლო ნომერს თვალს თუ გადაავლებთ, დარწმუნდებით, ელისო კილაძე ბიძინა ივანიშვილის და ხელისუფლების წინააღმდეგ ღია შეტევაზე გადავიდა, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ის ძალა, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, მალე გახსნის ფრონტს...**

# „საერთო გაზეთის" მიმართვა

ქალბატონ
**ირმა ინაშვილს**
ბატონ
**დავით თარხან-მოურავს**
ჟურნალისტებს —
**ნინო ჯღარკავას**
**ირაკლი მანაგაძეს**
**ილია ჩაჩიბაიას**

მინდა გულწრფელი ბოდიში მოვუხადო ქალბატონ ირმა ინაშვილს, ბატონ დავით თარხან-მოურავს, ჟურნალისტებს — ნინო ჯღარკავას, ირაკლი მანაგაძეს, ილია ჩაჩიბაიას და საერთოდ, ყველა იმ ადამიანს, რომლებიც თვლიან, რომ „საერთო გაზეთის" 29-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში („ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ გრეიბის კოშმარები") მათი ღირსების და პატივის შემლახველი ფრაზები დაიბეჭდა, რამაც მათი სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

მე ვიზიარებ და ვუერთდები ამ აღშფოთებას და აქვე მინდა ერთი განმარტება გავაკეთო: სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ გაზეთის გამოშვების დღეს გარკვეული მიზეზების გამო რედაქციაში დროულად მისვლა დამაგვიანდა, რის გამოც აღნიშნული პუბლიკაციის წაკითხვა ვერ მოვახერხე, თორემ აუცილებლად ვურჩევდი ავტორს, ამოეღო ის უხერხული და არაკორექტული ფრაზები, რასაც ამდენი ვნებათაღელვა მოჰყვა.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ, როგორც გაირკვა, მასალა გვიან შემოვიდა რედაქციაში და მისი ყურადღებით და საფუძვლიანად წაკითხვა, დროის სიმცირის გამო, ნომერზე პასუხისმგებელმა პირმაც ვერ შეძლო.

ეს იყო და ეს...

პირადად ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ადამიანების ლანძღვა, მათთვის შეურაცხყოფის მიყენება, მათზე ჭორაობის და უსაფუძვლო ბრალდებების გავრცელება.

აქედან გამომდინარე, **იმ გაზეთში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გაზეთის არსებობის მანძილზე, მკითხველი ვერ ნახავს ვერც ერთ პუბლიკაციას, სადაც ვინმესთვის პიროვნული შეურაცხყოფა მიგვეყენებინოს.**

ყოველივე ამის შემდეგ მით უმეტეს დასანანია, რომ უყურადღებობის და დაუდევრობის გამო ამ გაზეთის ფურცლებზე ასეთი სამწუხარო გამონაკლისი მაინც მოხდა.

გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან არავინ არ არის დაზღვეული, მათ შორის არც „საერთო გაზეთი", მაგრამ რა ვუყოთ უზნეობის იმ ჭაობს, რომელშიც ქართული მედიის ერთი ნაწილი უკვე ყელამდეა ჩაფლული. (სწორედ ამ ჭაობის ანაშხეფი და ანასხლეტი მოხვდა „საერთო გაზეთის" ფურცლებზე).

კი, ბატონო, დავმალოთ, მივაფუჩეჩოთ, არ გავამხილოთ ეს უბედურება, მაგრამ როგორ და რანაირად?

შეიხედეთ სოციალურ ქსელებში, გადაფურცლეთ გაზეთები, დაათვალიერეთ ინტერნეტსაიტები და ფორუმები და ნახავთ, ცილისწამებების, ურთიერთბრალდებების რა კორიანტელი დგას იქ.

რა ჰქვია ყოველივე ამას და მორალის და ზნეობის რომელ ჩარჩოებში ეტევა ყოველივე ეს?

ვიმეორებ: ვინმეს დისკრედიტაციის და ვინმესთვის შეურაცხყოფის მიყენების წინასწარ გამიზნული ზრახვა ნამდვილად არ მქონია, მით უმეტეს, არ მქონია ამის სურვილი ირმა ინაშვილის და დავით თარხან-მოურავის მისამართით, რომლებსაც წლებია ვიცნობ და თუ დამიჯერებენ ეს ადამიანები, ძალიან მიყვარს და დიდ პატივსაც ვცემ მათ, როგორც პიროვნებებს, რომლებმაც ბევრი კარგი საქმე გააკეთეს ქვეყნისთვის.

არ ზის ჩემს ხასიათში და ბუნებაში, რომ ადამიანებს, რომლებსაც მეგობრებად ვთვლი და პატივს ვცემ, ვუმუხთლო, თუმცა ყველაფერი ისე გამოვიდა, რომ შეიძლება ადამიანს ეჭვი გაუჩნდეს და არ დაგიჯეროს, რომ სიმართლეს ამბობ.

სწორედ ეს მთრგუნავს და მაწუხებს ყველაზე მეტად და სწორედ ამის გამო ვიხდი ბოდიშს და არა იმის გამო, რომ მუქარების მეშინია ან პასუხისმგებლობას გავურბივარ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ნამდვილად არ წამიკითხავს და ნამდვილად არაფერი ვიცოდი იმ ალმაშფოთებელი ფრაზების შესახებ, რაც ამ პუბლიკაციაში იყო გაბნეული!

თუმცა თქვენ, ვინც ახლა „საერთო გაზეთსა" და ჩემზე ხართ გაბრაზებული, ხომ ძალიან კარგად იცით, რომ არც მე და არც „საერთო გაზეთის" რომელიმე თანამშრომელს ეს ფრაზები არ შეუთხზავს და თვითმიზნურად არ ჩაუსვამს ტექსტში?!

„საერთო გაზეთმა", უბრალოდ, სარკის როლი შეასრულა და მისდაუნებურად, ის რეალობა აირეკლა, რომელშიც დიდი ხანია ვცხოვრობთ.

ამის გამო სარკის დამტვრევას კი ნუ შეეცდებით, იქნებ სჯობდეს იმ მიზეზებზე დავფიქრდეთ, რატომ აქვს ამ რეალობას ასეთი სახე...

**ვახტანგ ხარჩილავა**
„საერთო გაზეთის"
მთავარი რედაქტორი

**P.S.** ეს ტექსტი სოციალურ ქსელში „საერთო გაზეთის" ფეისბუკ-გვერდზე გამოქვეყნდა, თუმცა ირმა ინაშვილმა ბოდიშის მიღებაზე უარი განაცხადა.

კი, მაგრამ, ბოდიშზე დიდი და მნიშვნელოვანი რა შეიძლება ერთმა ადამიანმა, თუნდაც ძალიან ნაწყენმა და გაბრაზებულმა, მეორე ადამიანისგან მოითხოვოს?

ნაცნობ-მეგობრებმა მისაყვედურეს — რატომ მოიხადე ბოდიში, ვიღაც უშვერად თუ ბილწსიტყვაობს, შენ რა შუაში ხარო?

არა, შუაში როგორ არ ვარ, ჩემი უყურადღებობის გამო ადამიანებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და გული ეტკინათ, რის გამოც, როგორც ბევრჯერ განვაცხადე, გულწრფელად ვწუხვარ.

მიუხედავად ბოდიშის მოხდისა, სოციალურ ქსელში ჩემი მისამართით შეურაცხმყოფელი კომენტარები და მუქარები დღემდე გრძელდება.

აბსოლუტურად ვეთანხმები ირმა ინაშვილს, რომ „ხელისუფლებას ადრე თუ გვიან აუცილებლად მოუწევს კიბერ-პოლიციის შექმნა. სოციალურ ქსელში აფურთხეს ადამიანს? უნდა აღიძრას საქმე და ამ ტიპისთვის სამუდამოდ დაიხუროს სოციალური ქსელის სივრცე. ამასთან მკაცრად აგოს პასუხი. გამორიცხული არაა, პატიმრობის მუხლის გამოყენებაც გახდეს საჭირო".

კარგი იქნება ამ სიტყვებს ის ადამიანებიც თუ წაიკითხავენ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ჩემდამი მომართული ბინძური ფრაზებით ვითომ ირმა ინაშვილს უჭერენ მხარს, მაგრამ სინამდვილეში დათვურ სამსახურს უწევენ მას...

ქართულ სოციალურ ქსელებში იმდენი სიბინძურე, იმდენი სიმყრალე დაგროვდა, კიბერ-პოლიციის შექმნა, როგორც ჩანს, აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა.

ვ.ხ.

**„საერთო გაზეთი"** უახლოეს დღეებში თხოვნით მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დადგინდეს „საერთო გაზეთის" №29, 2014წ. გამოქვეყნებული ფეისბუკ-მიმოწერის ავთენტურობა.

# რამდენი გმირი ქალი და გმირი დედა გვყავდა და როგორ გვჭირდებიან ასეთები ახლა...

ამ წერილით ქალბატონ ელისო კილაძეს მინდა მივმართო: მე გიცნობთ, როგორც ჟურნალისტს, მაგრამ თქვე კაი ადამიანო, წერა მარტო მაგისთვის ხომ არ ისწავლეთ, რომ, რაც პირზე მოგადგებათ, წეროთ, დაუპირისპირდეთ იმ ადამიანებს, ვისაც საზოგადოება პატივს სცემს. ბოლო ხანებში სოსო მანჯავიძე ამოიღეთ მიზანში და უშვერი სიტყვებით ლანძღავთ. ბატონი სოსო ის კაცია, რომელიც სუფთა ხელებითაა მოსული და როგორც გავიგე, თბილისში დაბადებულ-გაზრდილი კაცი დღესაც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს თავის ქალაქში. მიუხედავად ამისა, მას ზრუნვა არ შეუწყვეტია, ყველაზე გაჭირვებულ და უფლებააყრილ ადამიანებზე შეძლებისდაგვარად.

სწორედ მისი ასეთი ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი და ადამიანური მიდგომა გახდა საზოგადოების მხრიდან მისი აქტიური მხარდაჭერის მიზეზი. მე ამ ფაქტს ვადასტურებ, რადგანაც თვითონ გახლდით საარჩევნო მარათონში ჩაბმული, ვხედავდი ხალხის განწყობას მის მიმართ და მის მაღალ რეიტინგს.

თქვენ კი უკვე მიზანში ამოიღეთ და ჟურნალისტურ სკანდალშიც კი გახვიეთ, ამით რა გსურთ, ქ-ნო ელისო, ის, რომ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც მას ნდობა გამოუცხადა, თვალში ნაცარი შეაყაროთ და უთხრათ, შეცდით, აგენტი აირჩიეთო? — იცოდეთ, მისი ამომრჩეველი, და ეს არც ისე ცოტაა, თქვენ რომ გგონიათ, ნათქვამის დამტიცებას მოგთხოვთ და დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, პასუხსაც.

ისე, თქვენს მიმართ, ცნობისთვის გეტყვით, კითხვები ჩნდება, ერთი ჩვეულებრივი, რიგითი ჟურნალისტი, ელისო კილაძე, ქუთაისიდან ჩამოსული, ასე უცებ როგორ გახდა გაზეთ „ქრონიკა+“-ის მთავარი რედაქტორი და როგორ ქირაობს შუაგულ ვერაზე, ჯანაშიას ქუჩაზე, სერიოზულ აპარტამენტებს? როცა სხვა გაზეთები მოკრძალებულ ფართში არიან შეყუჟულები და მათი ჰონორარი ისეთი მწირია, ხანდახან გადაადგილებაც კი უჭირთ. და ყველაზე მეტად, იცით, რა მტკენს გულს? ჟურნალისტებმა კოლეგიალობა რომ არ იცით, დაუნდობლად ებრძვით ერთმანეთს, გაგიგიათ, ომში ყველა ფანდი დასაშვებიაო და თქვენც, არც ავანტიურას, შანტაჟს, ინტრიგას არ აკლებთ ერთმანეთს, ოღონდ საზოგადოების ყურადღება მიიპყროთ, როცა პროფესიონალი მძღოლებიც კი პატივს სცემენ თავიანთ კოლეგა მძღოლებს და თუ გაჭირვებაში ნახეს მეორე მძღოლი, ეხმარებიან კიდეც.

მე პროფესიით პედაგოგი გახლავართ და ჩემი ყველა კოლეგა მიყვარს, ვაფასებ და ვუფრთხილდები მათ რეპუტაციას.

რაც შეეხება აგენტობას და ცრუმოწმეობას, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მეექვსე საუკუნეში, ვახტანგ მეექვსის მეფობის დროს, როდესაც „სჯულის კანონი“ მიიღეს, მაშინ ითვლებოდა საძრახისად. და დამსმენებს



„მთხრობელები“ ერქვათ, ხოლო კაცი, რომელიც ვინმეს დაასმენდა და ცილს სწამებდა, ის გარიყული და მოკვეთილი იყო საზოგადოებისგან. ქალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ახლა კი „მთხრობელობა“ ქალებმა გაიხადეს პროფესიად. მე ძალიან მიყვარს პრესა და აქტიური მკითხველიცა ვარ, როდემდე არ ამოვიღოთ ხმა, ჩემი საყვარელი ჟურნალისტები მედროვეებს დაემსგავსნენ და, იცით, რატომ, ვინ დარჩა ახალ ხელისუფლებაში, ღირსეული, არჩევით მოსული, რომ თქვენი მელნის ლაქით არ დაისვარა? დავიწყოთ: ივანიშვილი, კაცმა, რომელმაც საქართველოს ურჩხული მოაშორა, ღარიბაშვილი, პატიოსანი და ხალხის ერთგული ადამიანი, წულუკიანი, სამართლიანობის აღდგენისთვის მებრძოლი ქალი, კალაძე, ნარმანია, კიდევ რამდენი ჩამოვთვალო?!

მე კოალიცია „ქართული ოცნების“ დაარსების დღიდან, მისი აქტიური წევრი ვარ, მარგამ ისინიც კი, ვინც „ქართულ ოცნებას“ ლანძღავენ, განა ჩემები არა ხართ? საქართველოში ხომ ყველა ერთმანეთის სისხლი და ხორცია, რა გემართებათ, რატომ გძულთ ასე ყველა და ყველაფერი? ნუთუ ვერ ხვდებით, მოგვწყინდა ამდენი ლანძღვა-გინება, ისედაც სხვადასხვა პრობლემებით გულდამძიმებულ ადამიანებს. ჩემი პროგნოზი კი თქვენს მიმართ ასეთია, ვიღაცა დგას თქვენს ზურგს უკან და აინტერესებს მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, მის პირად ინტერესებში შედის, ქვეყანაში იყოს ქაოსი, რაც ნაცების ხელწერასა ჰგავს. ამ ყველაფრის უკან ისინი დგანან, ჯერ გამოგიყენებენ, შემდეგ მოგისვრიან დაუნდობლად. ვაი იმ უბედურს, ვინც მათ მიჰყიდის სულს. ახლა ამ წერილს თუ წაიკითხავთ, ვიცი, ჩემგან მტრის ხატს შექმნით, მაგრამ თქვენი აზრი უკვე აღარ მაინტერესებს. აფსუს, რამდენი გმირი ქალი და გმირი დედა გვყავდა და როგორ გვჭირდებიან ასეთები ახლა...

**მზია უზუნაშვილი**

**570 44 47 37**

# დეპუტატის ცოდვები, ანუ ღია წერილი გურამ მისაბიშვილს

...70-80-იან წლებში ქუჩის კაცს ეძახდნენ, აბირჟავებდა. მერე კომკავშირში შეტენა დედამისმა და რა იწვნია სავარძლის თბილი გემო, 35 წელია, შევარდნაძის მსგავსად, ვერ „ააზიეს“ ამ სკამს. მაგრამ იმდენი მაწყევარი გაიჩინა, დაემსგავსა ნაწუწნ კანფეტს. მარჯვენა უნდა მოვიკვეთო, ვისთვისაც დავწერე შესანიშნავი ლექსი, მაგრამ იმდენად ინილბებოდა და მაჯერებდა მის მეგობრობაში, აქამდე ვერაფერი შევნიშნე. თუმცა ბევრი მეუბნებოდა, ტყუილია, ნუ გჯერა მაგისიო.

ტრაგიკული პიროვნებაა გურამი, ზოგიერთებისთვის გურიევიჩი. მისი ჯანმრთელობა ნამდვილად შეეწირა სავარძლის დაკარგვის შიშს.

რაც შეეხება მის ცოდვებს, ამაზე ძალიან ბევრიც დაიწერა და ითქვა, ახალს ვერაფერს ვიტყვი. მისი ერთჯერადი ქალები ისევ თანამდებობებზეა, მისი მარიონეტი კაცები კი მართავენ სენაკს. ფურთხის ღირსი ხარ, ჩემო მშობლიურო ქალაქო, რომ ვერ ამოხვედი ამ ერთი კაცის კლანჭებიდან. ზოგი არქიფოს ეძახის, ზოგი დირიჟორს, ზოგიც — მამამარჩენალს. ამ სახელით დადის და ამაყობს. ნეტავ ერთი საათით მაინც წამოახედა სულმნათ თამაზ კანკია, პირში მიახლიდა ყველაფერს... მხოლოდ მისი ეშინოდა.



გადაგდების მაესტრო! როგორ მოისროლა კახა რუსია? არადა, რუსიას ის და მისი ამფსონები ვერასდროს შეედრებიან, ვერასდროს დაეწევიან.

ყველა ხვრელში მძრომიალე, ქვეწარმავალმა გული საშინლად მატკინა, დამგესლა, მეც და ჩემი შვილიც. თუმცა ჩვენ არასდრის ვყოფილვართ სხვებზე დამოკიდებული. თავს ყველგან გავიტანთ, მაგრამ მისაბიშვილებს ჩვენი ცოდვა ამოაგდებს.

გურამი სანთელს ანთებს. სატანა დანაშაულს ჩადის და მერე ინანიებს. ჯოჯოხეთის ცეცხლში დაიწვება. მალე ადუღებულ წყალში ჩააგდებენ, რადგანაც რამდენიმე ადამიანი შურისძიების მიზნით სამსახურიდან გააგდო, უღირსებით და ხეპრეებით გაავსო ქალაქ სენაკის სამსახურები. ხალხი დაუცველია... არჩევნების გაყალბების მაესტრო ქაფავს და ქაფავს. ვერ აივსო მისი უკვე დაავადებული კუჭი. დაგრიალებს ჯიპებით, სახლები, ქალები, ოფისები არ ეყო და ახლა უდანაშაულო ხალხზე იყრის ჯავრს. ნუთუ ღმერთის არ ეშინია? თუმცა რა უნდა გამიკვირდეს — მის გამზრდელ შევარდნაძეს უღალატა, შეძვრა სააკაშვილთან, გიგი უგულავას დახმარებით, შემდეგ იქიდან გამოძვრა, უღალატა „ნაცმოძრაობას“ და „ქართულ ოცნებაში“ გადაბარგდა.

ვიწრო წრეებში იმუქრება. მე მისი მუქარის არ მეშინია, როგორც სხვებს. მე და ჩემს შვილს ბეწვი თუ აგვიფრინდება, პირველ რიგში, მაგას მიადგებიან, აი, მაშინ კი დაუდგება განკითხვის ჟამი, კოკა ყოველთვის არ მოიტანს წყალს.

საიდან დააგროვა ამდენი ქონება, ვისზე უკეთესია. ჯახირით დამთავრებული (დედამისის ძალისხმევით) ინსტიტუტი გამოიყენა. მე სამი ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ პატიოსანი შრომით, ზოგჯერ პურის ფულიც არ გამაჩნია.

ათასნაირ მაქინაციებში აქვს თავისი ბინძური ხელი ჩაყოფილი, ახლა მენჯს მიადგნენ, იპოვეს ინვესტორი და იმაზე ფიქრობენ, როგორ იშოვონ იქიდან ახალი სარჩო.

მისგან გამწარებული ადამიანების მცირე რიცხვს დაგისახელებთ. სრულიად უკანონოდ გაათავისუფლა სამუსიკო სკოლის დირექტორი ქ-ნი ლია ქობალია თანამდებობიდან, შესანიშნავ იურისტს ინეზა სალაყაიას სამსახური წაართვეს დათვითონ მიიტვისეს, რომან მამულია (უნიჭიერესი იურისტი) სახლში დასვა უსამსახუროდ. ათი წელი მოსამართლე იყო კაცი და ერთი გადაცდომა არ ჰქონდა. ასევე მოუღო ბოლო თავის „მეგობრებს“: კობა კილასონიას (ყოფილ გამგებელს), ციხეში „გაუშვა“ ბუთხუზ გვარამია. ათასობით ლარის სამშენებლო მასალა შეაწერა ილია შენგელიას, „მეგობრულად“ უზრუნველყო გია მიქაიას სამსახურიდან წასვლა, ასევე კოკა ოდიშარიას გათავისუფლება. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ახლა კი კახა რუსიას გამოეკიდა, კაცს, რომელმაც გურამ მისაბიშვილის გამგებლის სკამზე მოხვედრაში დიდი წვლილი შეიტანა. აი, ასე უხდის „მეგობრებს“ სიკეთეს მისაბიშვილი. სიცოცხლე გაუმწარა სიმართლის მთქმელ ინგა ქარდავას. თუ გიგი უგულავა ციხეშია, რატომ მისი მიმდევრები არ არიან კუდიგორის გზას გაყენებულნი? ისინი არ იყვნენ „ნაციონალების“ ყურმოჭრილი მონები? აზრთა და ზართა გამზიარებლები: გუბერნატორად მაშინ არ იჯდა „ბატონი გურამი“? მაგის ცოდვებს ვინ მოთვლის? თავიდან ბოლომდე შესასწავლია ეს პიროვნება.

თქვენ გგონიათ, „ქართულო ოცნებავ“, თქვენ არ გღალატობთ მისაბიშვილი? „ნაციონალებით“ გაავსო მუნიციპალიტეტი. რამდენი გლახაობა, სხვისი ცოლების გაბახება, კაბინეტში მათი შეტყუება (ზოგიერთი, სირცხვილის გამო, ამას ყველაფერს მორჩილად თმობდა, ხოლო ზურგს უკან ამ ქალების მეუღლეებზე ქალაქში ქირქილებდნენ). ეს კაცი, სენაკის რაიონში „დირიჟორობს“. რამდენი დანაშაული უნდა ეპატიოს მას. მაგრამ უვიცი ორკესტრი (მისი გუნდი) მუდამ უსმენს და მის დაკრულზე ცეკვავს.

ჩემი ბავშვობის, მეგობრობის და მთელი წარსული წლების ნაწილი მეგონა გურამ მისაბიშვილი, რომელიც სულ მუდამ „ჯიგაროს“ მეძახდა. თავისებურად გული მაინც მტკივა, როგორ ჩალეწა ეს ბავშვობის ხიდი უსინდისომ. როგორ არ იფიქრა გაჭირვებით, უმამოდ გამოზრდილ ჩემს ერთადერთ შვილზე, რომელსაც ჩემს მეტი ქვეყანაზე არავინ ჰყავს დამკვალიანებელი. მე თუ ვერ მოგერიე, გურამ, უფალი მოგხედავს.

**ლანდა მასხულია,**

**საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი,**

**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი,**

**საერთაშორისო ადამიანთა უფლებების დაცვის წევრი**

# ქალაქის ტრანსპორტის პრობლემები მწვავდება

იმ მძიმე მემკვიდრეობაში, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ დაგვიტოვა, ერთ-ერთი პირველი ადგილი დედაქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ეკუთვნის. დავიწყოთ იმით, რომ თბილისი, აგერ უკვე რამდენი წელია, ელექტროტრანსპორტის, ტრამვაი-ტროლეიბუსის გარეშეა დარჩენილი. იმჟამინდელმა ხელისუფლებამ მოიმიზეზა, რომ მოძრაობას აფერხებდნენ. ამასთან, იმასაც ამბობდნენ, პარკი მოძველდაო. ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკი, განახლების ნაცვლად, საერთოდ გააუქმეს. სად გაქრა აყრილი რელსები (რომლებიც უმაღლესი ხარისხის ფოლადისგან იყო დამზადებული და მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ ძვირადღირებულია), ან ფერადი ლითონის შემცველი ელექტროსადენები, მოსახლეობისთვის დღესაც უცნობია. ბოროტი ხმები კი ამბობენ, ჯართად გაყიდული ქონებით მიღებული ფული იმდროინდელი მაღალჩინოსნების ჯიბეებში დაილექაო.

სამაგიეროდ, ჰოლანდიიდან გადასაყრელი ავტობუსები (რომლებსაც ხალხმა „მოფერებით“



„სანდრაბუსები“ უწოდა) შემოიტანეს. მანქანებს ფანჯრები არ ეღებოდათ, სიცხეში მგზავრებს დიდი გამძლეობის გამოჩენა სჭირდებოდათ, წვიმის დროს კი ავტობუსების უმრავლესობაში წყალი სახურავიდან ჩამოდიოდა. ხალხი უკმაყოფილო იყო, სამაგიეროდ, როგორც ამბობენ, მაღალჩინოსნებმა საკმაოდ დიდი სარგებელი ნახეს, რადგან გადასაყრელი მანქანები თითქმის ახლების ფასად შეისყიდეს.

მთავარი მოვლენები მას შემდეგ დაიწყო, როცა თბილისში უკრაინული წარმოების ავტობუსები გამოიყვანეს. ყოფილი ხელისუფლება ხალხს აყვედრიდა, ნახეთ, თქვენზე როგორ ვზრუნავთო. ხალხზე ფიქრით მგზავრობის ღირებულება ქალაქის ტრანსპორტში გააძვირეს. ამის გარდა, მარშრუტების მანძილი გაანახევრეს. ადრე ადამიანს გარკვეულ მანძილზე ერთი ტრანსპორტი სჭირდებოდა, ახლა ორის გამოცვლა უხდება. ყოველივე ეს კი ზედმეტ ფინანსურ ხარჯებს უკავშირდება, რაც ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება.

მგზავრობის ფასის გაზრდით და მარშრუტების მანძილის შემცირებით საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა ოდნავ მაინც რომ გაუმჯობესებულიყო, კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მარშრუტი საერთოდ გააუქმეს. როდესაც თბილისის მერიის ტრანსპორტის განყოფილებაში ვიკითხე, რატომ გაუქმდა 97 ნომერი მარშრუტი, ცინიკურად მიპასუხეს, ხალხის მოთხოვნა გავითვალისწინეთო. რომელი საღად მოაზროვნე მოითხოვდა, არ გვინდა, ბატონო, ტრანსპორტით კომფორტული თუ არა ადამიანურად მგზავრობაო, ნამდვილად გაუგებარია.

დიახ, როგორც ზემოთ ვთქვით, თბილისში საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა აუტანელია. ქალაქში, ძირითადად, პატარა ავტობუსები მოძრაობენ, სადაც დასაჯდომი 24 ადგილია. როდესაც ადამიანს ეჩქარება, დასაჯდომ ადგილს რას დაეძებს, იმას ცდილობს, როგორმე ფეხზე დასადგომი ადგილი ნახოს, რადგან ზოგიერთ მარშრუტს მგზავრი 30-40 წუთი ელოდება. პრეტენზიაზე მძღოლები და კონტროლიორები (ეს უკანასკნელნი გადატვირთულ ტრანსპორტში წინ და უკან სიარულით უფრო მეტ დისკომფორტს ქმნიან, ვიდრე საქმეს აკეთებენ) პასუხობენ, რომ ისინი გრაფიკით მოძრაობენ. ვინ და როგორ ადგენს გამოუსადეგარ გრაფიკს, უცნობია.

საღამოს 8 საათის შემდეგ კი მგზავრი ავტობუსს შეიძლება ერთ საათზე მეტიც ელოდოს. ასეთია სამწუხარო რეალობა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს მძღოლების მძიმე სამუშაო პირობები. აბა, წარმოიდგინეთ, მინიმუმ 14 საათი საჭესთან ჯდომა. ბოლო გაჩერებაზე ელემენტარულად სველი წერტილებიც არ გააჩნიათ, რომ არაფერი ვთქვათ კვების ობიექტებზე. 20-30-წუთიანი შესვენება ხომ ადამიანების დაცინვაა. რა უნდა მოასწროს თუნდაც ნახევარ საათში ადამიანმა, საკვების ყიდვა თუ წახემსება? მძღოლს ელემენტარულად თვალების დასვენება მაინც ხომ სჭირდება. ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ავტობუსებში მოტორი მძღოლის გვერდით მდებარეობს, მანქანები კი არაკონდიცირებულია, შედეგად კი მძღოლებში პროფესიულმა დაავადებებმა მოიმატა. ამის შესახებ მძღოლები კერძო საუბრებში აცხადებენ, თორემ ხმამაღლა სამუშაოს დაკარგვის შიშით ვერ ამბობენ.

მონიტორინგის სამსახური და მათი ზედამხედველობის სამსახური ხომ ცალკე საკითხია. მძღოლებზე მეტი უფლებები და პირობები მათ აქვთ, განსაკუთრებით ზედამხედველებს, რომლებსაც ორი წლის წინ თბილისის მერიამ სამსახურებრივი საჭიროებისთვის მსუბუქი ავტომობილებიც გადასცა.

თბილისის მეტროპოლიტენით საბჭოეთის დროს დედაქალაქის მოსახლეობის 70 პროცენტი სარგებლობდა. ახლა ეს ციფრი საგრძნობლად შემცირებულია, რადგან არც მეტროთი მგზავრობაა მოსახლეობისთვის სასიამოვნო — ხანგრძლივი ინტერვალი, გადაჭედილი ვაგონები, ანტისანიტარია... წლევანდელი ცხელი ზაფხული ისე გავიდა, მეტროს ვაგონებში კონდიციონერები არ მუშაობდა. დახუთული ჰაერი და ათასი ჯურის მათხოვრები თბილისის მეტროს ატრიბუტად იქცა.

ახლადარჩეულ თბილისის საკრებულოს და მერიას, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მემკვიდრეობად უამრავი გადასაჭრელი პრობლემა დახვდათ.




ერთ-ერთი მთავარი, ალბათ, საქალაქო ტრანსპორტის მოგვარებაა. ახალი ავტობუსების შეძენაზე თითქმის ორი წელია საუბრობენ და მოუთმენლად ელოდებიან მძღოლები და მგზავრები. თუ ავტოპარკის მოკლე დროში განახლება არ ხერხდება, ვფიქრობთ, შეიძლება, არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენება, მგზავრების და მძღოლებისთვის პირობების ცოტა მაინც გაუმჯობესება. თბილისის მთავრობის და საკრებულოს წევრებს შევახსენებთ გამოთქმას — „გაგონილს ნანახი სჯობიაო“. ეგებ, თქვენც გამობრძანებულიყავით ქალაქის ქუჩებში და თავადვე გეხილათ არსებული ვითარება, რაც, ალბათ, თქვენს მუშაობასაც დადებითად წაადგება.

**გია ბურდული**
**551 71 27 07**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69**

* * *

**—როგორია შვებულების მიცემის წესი კერძო დაწესებულებებში?**

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

მუხლი 22. შვებულების მიცემის წესი

1. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

2. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს.

3. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

4. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

5. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

* * *

**—როდესაც მიმიღეს სამუშაოდ, ჩვენ შევთანხმდით გარკვეულ პირობებზე. ეს პირობები ჩავდეთ შესაბამის ხელშეკრულებაში. შრომით კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა ჩემი პირობები შეცვალა, რაც მე არ მაწყობდა. ჰქონდა თუ არა ჩემს დამსაქმებელს, ჩემი თანხმობის გარეშე ამ პირობების შეცვლის უფლება?**

—ჰქონდა.

საქართველოს შრომითი კოდექსის მე–11 მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს დასაქმებულის თანხმობას.

აქვე მოგახსენებთ შემდეგს:

ამავე კოდექსის მე–4 ნაწილის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად არ მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარზომიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

ამ ორივე გარემოების ერთდროულად შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლად.

* * *

**— ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. ქმრის ოჯახმა ბავშვი წაართვა და ნახვის საშუალებას არ აძლევს. როგორ მოვიქცეთ?**

- მიმართეთ სასამართლოს და სარჩელით მოითხოვეთ, რომ ბავშვის საცხოვრებელ ადგილად განისაზღვროს თქვენი საცხოვრებელი მისამართი. სანამ ეს მოხდება, თქვენ შეგიძლიათ, ასევე, მიმართოთ განცხადებით სასამართლოს, განგისაზღვროთ ბავშვის ნახვის დღეები და საათები.

* * *

**—არის თუ არა შესაძლებელი, პირველად ჩადენილი დანაშაულის დროს პირი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან?**

—დიახ, ეს შესაძლებელია. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ის, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით გამოცხადდა ბრალის აღიარებით, ხელი შეუწყო დანაშაულის გახსნას და აანაზღაურა ზიანი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ის, ვინც ჩაიდინა სხვა კატეგორიის დანაშაული, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ ეს გათვალისწინებულია ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით.

## ხალები სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მიუთითებს

ინგლისელი მეცნიერები კარგა ხანს ირწმუნებოდნენ, რომ ხალების სიმრავლე ჯანმრთელობისთვის საშიშროებას წარმოადგენს. მაგრამ აღმოჩნდა პირიქით, ხალები სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ჯანმრთელობაზე მიუთითებს.



კვლევა ლონდონის სამეფო კოლეჯის ექსპერტებმა ჩაატარეს. მათი მტკიცებით, ადამიანები, რომელთა ტანზეც შესაძლებელია 100-მდე ხალის აღმოჩენა, ნელა ბერდებიან და 7 წლით უფრო ახალგაზრდად გამოიყურებიან, ვიდრე მისი ასაკის სხვა ადამიანები. ამასთანავე, მათ აქვთ უფრო ძლიერი ძვლები, რაც იცავს ოსტეოპოროზისაგან, ხალები კუნთების განვითარებასაც უწყობენ ხელს, პასუხისმგებელია თვალების და გულის ჯანმრთელობაზე. აგრეთვე ხალები იცავენ კიბოს დაავადებისაგან. ასე, რომ ხალები უფრო მეტი სიკეთის მომტანია, ვიდრე ბოროტების.

გამოიკვლიეს 1200 მდედრობითი სქესის ტყუპი 18-დან 79 წლამდე. აღმოჩნდა, რომ მათ, ვისაც 100-ზე მეტი ხალი ჰქონდათ, ნაკლებად ავადდებიან ოსტეოპოროზით და გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებიან.

## უმნიშვნელო სტრესიც კი ზრდის სიკვდილის რისკს



ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კვლევა ჩაატარეს, გამოიკითხა 68000 ზრდასრული ადამიანი 35 წლისა და უფროსი ასაკისა.

მკვლევარებმა ფსიქოლოგიური სტრესი სხვადასხვა სასიკვდილო დაავადების მიზეზად დაასახელეს, მათ შორის გულ-სისხლძარღვთა დაავადების, კიბოს და სხვა მომაკვდინებელი დაავადებებისა. ასე, რომ, ერიდეთ სტრესს.

## ფულის ხის საიდუმლოებანი



თითქმის ყველა ოჯახში შენიშნავთ ფულის ხეს, რომელიც ფენ-შუის მიხედვით, ბარაქას მოასწავებს, მაგრამ ბევრმა არც იცის, როგორ მოუაროს მას.

იგი უნდა მოათავსოთ საცხოვრებელი სახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, რადგან ეს სიმდიდრის საიდუმლო ადგილია. ზუსტად ამ ადგილიდან შეძლებს იგი მოუტანოს თქვენს ოჯახს ბარაქა და სიმდიდრე.

უფრო მეტი წარმატებისთვის მცენარის ყლორტს წითელი ლენტი შეაბით, რომელზეც სასურველია ჩინური ფული და კვადრატული ფიგურები იყოს ჩამოკიდებული.

## კლეოპატრა ნარკოტიკების გადაჭარბებულმა დოზამ იმსხვერპლა



გერმანელი მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დედოფალმა კლეოპატრა VII-მ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მან მიიღო ოპიუმი და სხვა დამათრობელი საშუალებები, რომლებიც იწვევს უმტკივნეულო, ნელ სიკვდილს რამდენიმე საათის განმავლობაში.

ადრე ცნობილი იყო, რომ იგი შხამიანი კობრის ნაკბენისგან გარდაიცვალა, მაგრამ მეცნიერებმა უარყვეს ეს ვერსია, რადგან დედოფალი ცნობილი იყო თავისი სილამაზით და გველის ნაკბენის შემდეგ მისი სხეული ლაქებით დაიფარებოდა.

„ასეთ სიკვდილამდე ადამიანი ნელ-ნელა მიდის, რამდენიმე საათის განმავლობაში, ყოველგვარი ტკივილის და გარეგნული ცვლილების გარეშე. აფასებდა თავის სილამაზეს და ამიტომაც არ სურდა განეცადა ხანგრძლივი სასიკვდილო აგონია, რაც გველის ნაკბენის შედეგად იყო მოსალოდნელი", — წერს მკვლევარი კრისტოფ შეფერი. — დოკუმენტების მიხედვით, მას სურდა სიკვდილის შემდეგაც ლამაზი ყოფილიყო, რათა ლეგენდად დარჩენილიყო ისტორიაში. მან იცოდა ამის ფასი".

კვლევის მიხედვით, კლეოპატრა ჩვ.წ.აღ-მდე 69 წელს დაბადებულა და გარდაცვლილა ჩვ.წ.აღ.-მდე 30 წლის 12 აგვისტოს.

## არქეოლოგებმა უძველესი კბილის პროთეზი აღმოაჩინეს



ანაპის გათხრებში არქეოლოგებმა უძველესი კბილის პროთეზი აღმოაჩინეს, რომელიც ყველაზე ძველია კაცობრიობის ისტორიაში. უნიკალური აღმოჩენა „როზა ლუქსემბურგი-1"-ის სამარხში იპოვეს ანაპაში. სამარხში მამაკაცის ძვლები იქნა აღმოჩენილი. მიცვალებული 35 წლის იქნებოდა, ხოლო ქალბატონები, დაახლოებით, 22-35 წლისა. სამარხები ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება (II ათასწლეული ჩვ.წ.აღ-მდე).

ექსპედიციის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ სამარხში ბრინჯაოს მონეტებიც არის აღმოჩენილი, კერამიკაც.

თავის ქალის დათვალიერების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დიდგვაროვანი მამაკაცები კბილის ხელოვნურ პროთეზს ატარებდნენ. სავარაუდოდ, მიცვალებულებს კბილების დაავადების — პარადონტოზის გამო კბილების უმრავლესობა ჩამოსცვივდა. პროთეზის ზედა ნაწილი 24X12 მილიმეტრის ოვალური ფორმის ფიგურა იყო. ისეთი პროთეზი შესაძლებელი იყო მფლობელს ეტარებინა წლების განმავლობაში.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**



## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.



წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — კვირის დასაწყისში ემოციურ გადაღლილობას იგრძნობთ, რაც გააძლებინებს ურთიერთობების დარეგულირების და საჭირბოროტო კითხვების დადებითი კუთხით გადაწყვეტას.

**კურო** — ეს კვირა თქვენთვის საკმარისზე მეტად დატვირთული იქნება. ამიტომ ყველა ცხოვრებისეულ პრობლემას სერიოზულად და ყურადღებით მოეკიდეთ. ნუ გამოავლენთ ხასიათის უარყოფით ნიშნებს.

**ტყუპები** — კვირის დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემები გარკვეულწილად გაგანერვიულებთ, რის გამოც, მოსალოდნელია კონფლიქტურ სიტუაციებშიც აღმოჩნდეთ ჩართული. შეეცადეთ იყოთ ზომიერი.

**კირჩხიბი** — არ იზარმაცოთ და არ მოდუნდეთ, რომ თქვენი გეგმებისა თუ საქმეების ჩაშლა არ მოხდეს. საჭიროა აქტიურად იმოქმედოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოთ წინ. გაფრთხილდით საუბრის დროსაც, რომ რაღაც მნიშვნელოვანი არ წამოგცდეთ და თქვენი სიტყვა მომავალში თქვენს წინააღმდეგ არ გამოიყენონ.

**ლომი** — მიმდინარე კვირაში მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა მოგიწევთ — ამ საქმეთა უმრავლესობა კოლექტიურ საქმიანობასთან და მოგზაურობა-გადაადგილებასთან იქნება დაკავშირებული.

**ქალწული** — გირჩევთ, ამ კვირაში არ მოინდომოთ სერიოზული საკითხების გადაჭრა, ნურც რაიმე „გმირობის" ჩადენას მოიწადინებთ, რადგან მოსალოდნელია, რომ მაქსიმალური ძალთა ხარჯვით მინიმალურ შედეგს მიაღწიოთ.

**სასწორი** — წარმატებით გააგრძელეთ ადრე დაწყებული საქმეები. მოგიწევთ უამრავი სასარგებლო შეხვედრა. მოსალოდნელია წინსვლა ცხოვრების მრავალ სფეროში.

**მორიელი** — მეტ-ნაკლებად სასიკეთო პერიოდი იქნება, გამოავლინეთ მეტი თავდაჭერა და ინტუიცია. კვირის ბოლოს შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვან საკითხზე გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიოთ.

**მშვილდოსანი** — მოსალოდნელია, მოგეჩვენოთ, რომ საქმე ერთ წერტილზეა გაყინული და წინ აღარ მიდის, თუმცა ეს ასე არ არის.

**თხის რქა** — მოერიდეთ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას და არაფრისმომცემ საუბრებს. შესაძლოა, იმპულსურობა და მოუთმენლობაც გამოამჟღავნოთ, რასაც, ბუნებრივია, შეცდომების დაშვება მოჰყვება.

**მერწყული** — თქვენთვის ეს პერიოდი სასიკეთო იქნება. მნიშვნელოვნად გაძლიერდება თქვენი გონებრივი შესაძლებლობები, რაც ცხადია, თქვენს წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

**თევზები** — შეეცადეთ, არ იყოთ უსაქმოდ და მიმდინარე პერიოდი ნაყოფიერად გამოიყენოთ. თქვენთვის მეტად პროდუქტიული იქნება კვირის დასაწყისი — იმოქმედეთ და დადებითი შედეგიც არ დააყოვნებს.

ISSN 2233-3983
9 772233 398001